

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნანა ავაგუმაშვილი

ფინანსური ინფორმაციის ანალიზი ენერგოსაწარმოებში

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: "ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია"

შიფრი: 0405

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი, 2019 წ.

საავტორო უფლება © 2019 წელი, ნანა ავაგუმაშვილი

თბილისი

2019 წელი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნანა ავაგუმაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ფინანსური ინფორმაციის ანალიზი ენერგოსაწარმოებში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

_____ , 2019 წელი

ხელმძღვანელი: _____ პროფესორი ლ. ბოჭორიშვილი

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019

ავტორი: ნანა ავაგუმაშვილი

თემის დასახელება: „ფინანსური ინფორმაციის ანალიზი
ენერგოსაწარმოებში“

ფაკულტეტი: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის

ხარისხი: აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა: _____, 2019 წ.

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ელექტროენერგია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ძირითადი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, კერძოდ, მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველყოფისა და საშინაო მეურნეობების მოხმარება, საქონლისა და მომსახურების წარმოება, ეროვნული უსაფრთხოებას, გარემოს დაცვის უზრუნველყოფას. ენერგეტიკის სექტორი წარმოადგენს სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობის წინაპირობას უველა ქვეყნისთვის.

ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული პრიორიტეტები ეფუძნება რეგიონულ ენერგეტიკულ ბაზრებზე ვაჭრობის პოტენციური შესაძლებლობების ანალიზს და ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისებისა. აუცილებლად გათვალისწინებულია ქვეყნის მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით დასახული მიზნების არსება. ეს გულისხმობს იმას რომ, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან, სტანდარტებთან ეტაპობრივ დაახლოებას.

საქართველო ენერგეტიკის სექტორი რესტრუქტურირაციის პროცესშია. ელექტროენერგეტიკული დარგის რეფორმა გულისხმობს სუბიექტებს შორის ახალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და სტრუქტურაში ცვლილებებს, რაც შექმნის ბაზრის ახალი მონაწილეებსა და ელექტროენერგის გაცილებით ეფექტურ სისტემას.

დარგის რეფორმირებისას წარმოიქმნება რიგი ორგანიზაციული, ფინანსური პრობლემები, რომლებიც აუცილებლად აისახება საწარმოს ეფექტურ ფუნქციონირებაზე. ეს პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, ენერგეტიკული კომპანიების ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის მართვაში სრულად იჩენს თავს.

ამ თვალსაზრისით, ბოლო წლებში, სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა დარგის მდგრადი განვითარებისა, რაციონალური მართვის ახალი, ეფექტური მეთოდების დანერგვისათვის.

ენერგეტიკისა და ენერგეტიკული კომპანიების რესტრუქტურირაციის პირობებში, აუცილებელია ფინანსური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით განხილულ და გამოვალენილ იქნას ფინანსური დაგეგმვისა და საწარმოს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხები.

გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ენერგო-გამანაწილებელ-ქსელური კომპანია სს „თელასი“.

სს „თელასი“-ს საქმიანობის ძირითად სახეობებს წარმოადგენს ელექტროენერგის შესყიდვა, გაყიდვა. კომპანია ახორციელებს ელექტრული ქსელების ექსპლუატაციას და მომსახურებას, ელექტროენერგის სატრანზიტო მომსახურებას, ასევე აბონენტთა ტექნიკურ მომსახურებას.

დღეისთვის, კომპანია ახორციელებს ელექტროქსელის ტექნიკური გადაიარაღების სამუშაოებს. სს „თელასი“-ს მიზანია - ყველაზე „სუსტი“ სეგმენტების რეაბილიტაციასა და კომპანიის მოდერნიზაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით, საინტერესო ხდება სამეცნიერო კვლევის შედეგად, კომპანიის ფინანსური მდგრადობის ანალიზის, ს, ფინანსური რისკების ანალიზის და გაკოტრების ალბათობის დიაგნოსტიკის ანალიზის ჩატარება აღნიშნული კომპანიის მაგალითზე, ასევე, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება ანალიზის შედეგების მიხედვით.

I თავში განხილულია საქართველოში ენერგეტიკული სექტორის რეფორმირების პრობლემები; ენერგოკომპანიის ბიზნესგარემო; ენერგეტიკული კომპანიის განვითარებისათვის საჭირო გარემოს პროგნოზირება. საბაზრო პირობებში ენერგოკომპანიების ფუნქციონირების დამოკიდებულება შიდა ფაქტორების ანალიზზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებზე; ენერგოკომპანიის საქმიანობის და განვითარების გავლენის სხვადასხვა ფაქტორების კლასიფიკაცია; ენერგოგამანაწილებელ-ქსელური კომპანია სს „თელასი“-ს საქმიანობა, მისია, კომპანიის ისტორია, ნორმატიული ბაზა, კორპორაციული მენეჯმენტის პოლიტიკა, ეკოლოგიური პოლიტიკა.

II თავში ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის შესახებ არსებული სამეცნიერო შრომების, საერთაშორისო პრაქტიკის მასალების შესწავლისა და განზოგადოების საფუძველზე წარმოდგენილია დისერტანტის მოსაზრება ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიისა და მისი ძირითადი მიმართულებების შესახებ.

ფინანსური ანგარიშები წარსულში მოვლენების გაშუქებას ითვალისწინებს, მათი მონაცემები აუცილებელია სამომავლო გეგმებისა და პროგნოზების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშების მეშვეობით, შეისწავლება საწარმოს მთლიანი საქმიანობა. უფრო დეტალური, ფინანსური ინფორმაციის შესწავლისას აუცილებელია განხილულ იქნას კომპანიის საქმიანობის შედეგები ცალკეულ სტრუქტურულ დანაყოფებში: ტექნიკური, კომერციული, ფინანსური და სხვა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშების შედეგების დაინტერესებული პირები შეიძლება დაყოფილ იქნას ორ ჯგუფად:

პირველი ჯგუფი: მფლობელები, კრედიტორები, მიმწოდებლები, კლიენტები, საგადასახადო ორგანოები, კომპანიის პერსონალი, მენეჯმენტი.

მეორე ჯგუფი: აუდიტორული ფირმები, კონსულტანტები, საფონდო ბირჟები, იურისტები, პრესა, ასოციაციები, პროფკავშირები, რომლებმაც უნდა დაიცვან ფინანსური ანგარიშების მომხმარებელთა პირველი ჯგუფის ინტერესები.

განხილულ სადისერტაციო ნაშრომში ფინანსური ანალიზის მეთოდი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ბლოკს:

1. კომპანიის ფინანსური შედეგების ანალიზი;
2. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი;
3. ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობის ანალიზი.

ასევე, წარმოდგენილია ფინანსური ანალიზის მიზნები, კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრების განხილვა და

შესწავლა, რის შედეგადაც მივიღებთ ფინანსური მდგომარეობის ობიექტურ და ზუსტ სურათს. ესენია: საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება, ლიკვიდუ-რობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება, ფინანსური მდგრადობის შეფასება, საქმიანი აქტივობის შეფასება, მომგებიანობისა და საინვესტიციო აქტივობის შეფასება.

ნაშრომში წარმოდგენილია გაანგარიშებები ფინანსური ანგარიშგების ანალიზისათვის, შესაბამისი მეთოდებისა და ინდიკატორების შერჩევით. ასევე, შემდეგი სახის კომპლექსური ანალიზი სამეცნიერო კვლევის ჩატარების შესახებ:

ფინანსური მდგომარეობის ზოგადი შეფასება;

ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტური ანალიზი.

III თავში განხილულია გაკოტრების ალბათობის მოდელების არსი და მისი დიაგნოსტიკის თეორიული საკითხების შესწავლა და მათი განზოგადება კომპანიის მიმდინარე აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე, და მისი დიაგნოსტიკის თეორიული საკითხების შესწავლა და მათი განზოგადება კომპანიის მიმდინარე აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

ფინანსური ანალიზის შედეგად გაკეთდება სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები.

ნებისმიერი კომპანიის საქმიანობა უნდა იმართებოდეს ისე, რომ ფინანსური კრიზისის საფრთხე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ისევე, როგორც ფინანსური რისკების დონე. კომპანიისათვის ფინანსური კრიზისის ყველაზე მაღალ დონედ განიხილება მისი გაკოტრება.

მიუხედავად ამისა, ამ პრობლემის მნიშვნელობის გაცნობიერებისას, პრაქტიკულად, კომპანიებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ფინანსური კრიზისის საფრთხის პროგნოზირებას და ამ პრობლემის თავიდან აცილებისა და პრევენციის გზებს. განვიხილოთ ფინანსური მდგომარეობის ინდიკა-ტორები კომპლექსური ანალიზის მიდგომით. დღეისთვის მსოფლიო პრაქტიკაში მოსალოდნელი გაკოტრების პრობლემის გამოვლენის და პროგნოზირების მიზნით, გამოიკვეთა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიდგომები.

ნაშრომში, გაკოტრების ალბათობის პროგნოზირებისას გამოყენებულია MDA მოდელები, ისინი ლიტერატურაში ცნობილია Z-მოდელების სახელით. ყველა გაანგარიშებული Z-მოდელი წარმოადგენს ოთხ ფაქტორული მოდელს. Z-მოდელებიდან გამოყენებული გვაქვს:

1. ალტმანის Z-მოდელი
2. რ. ტოფლერის Z-მოდელი
3. გორდონ ლ.ვ. სპრინგეიტის Z-მოდელი.

ასევე გამოყენებული არის ჯ. არგენტის და ტ. სტოუნის ხარისხობრივი მოდელი. ასეთი მიდგომის საფუძველზე დაიგეგმება კომპანიის ფინანსური და მენეჯმენტის რისკის შემცირების დონე.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებში არ არის გათვალისწინებული საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის

ფუნქციონირების პირობები, დარგის თავისებურებები, ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ბაზა.

ენერგეტიკული სექტორის რეფორმირებისას განხილულია სტრატეგიული მიმართულებები. ყურადღება ეთმობა ძირითადად სამ კითხვას: საიმედოობა, ეფექტურობა, უსაფრთხოება. შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ენერგოკომპანიების ფინანსური მდგრადობის მიღწევას, ფინანსური ანგარიშგების ანალიზზე დაყრდნობით. აუცილებელია ელექტროენერჯის დარგში მოქმედი სუბიექტების მართვისას, შემუშავდეს და დაინერგოს ეფექტური ფინანსური და ეკონომიკური მექანიზმები.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია.

Abstract

Electricity in the modern world is one of the key factors of social and economic processes, namely the provision of the lives of the population and consumption of households, goods and services, national security and environmental protection.

The priorities of Georgia's energy strategy are based on the analysis of potential opportunities for local energy resources and trade in regional energy markets. In addition, it envisages the objectives of the country's integration into the European Union, which implies gradual approximation of the Georgian legislation with EU energy legislation and standards.

Energy sector of Georgia is in the restructuring process. The reform thereof implies the establishment of new market relations between the subjects and the changes in the structure, which will create new market participants and a more efficient system of electricity.

Reform of the sector will generate a number of organizational and financial problems, as well as those reflected in the efficient functioning of a company. These problems, first of all, are fully to emerge in the management of financial and economic activities of energy companies.

In terms of restructuring the power industry and power companies, it is necessary to define and review the issues of securing financial planning and financial sustainability subject to the results of financial analysis.

The object of study is a Georgian power distribution and grid company - JSC "Telasi".

Main types of business activities of JSC "Telasi" are purchase and sale of electricity, power grid services and operation, power transit services and customer technical services.

Nowadays, the company carries out power grid retrofitting activities to modernize the company. The main focus is on rehabilitation and modernization of the technically "weak" segments of the distribution network.

Subject to the terms set forth hereinabove, it is interesting to conduct financial sustainability analysis, financial risk analysis and probability diagnosis of bankruptcy on the example of the company, and present some specific recommendations based on the results of the analysis.

Chapter I contemplates the problems of energy sector reform in Georgia; business environment of the power company; forecasting the environment for the development of the company; dependence of power companies' operation in market terms on internal factors analysis affecting various aspects of their activities; classification of various factors of the influence of power companies' activities; activities, mission, history, statutory base, corporate management policy, and ecological policy of JSC "Telasi".

Chapter II represents the dissertator's opinion on the strategy of analysis of financial position and its main directions on the basis of the research and analysis

of scientific practices, international practice materials on the methodology of financial position analysis.

Financial reports illustrate the past events, and the data thereon is essential to obtain future plans and projections.

Also, there are outlined the aims of financial analysis, review and analysis of the most important parameters for the company, which will result in an objective and accurate picture of the financial situation. These are to include: assessment of the company's property, liquidity and solvency, financial sustainability, business activities, profitability and investment activities.

Chapter III covers the essence of bankruptcy probability models and the study of theoretical issues of its diagnosis and their generalization subject the company's current accounting and financial statements data, and the study of their diagnosis theoretical issues and their generalization based on the company's current accounting and financial statements.

As a result of financial analysis, relevant conclusions and recommendations are to be made.

Any company's activities should be managed in such a way that the risk of financial crisis is minimized, as well as the level of financial risks. The company's bankruptcy is considered to be the highest level of financial crisis.

This notwithstanding, while understanding the importance of this problem, practically, companies pay less attention to the risk of financial crisis and the ways of preventing this problem.

In the thesis paper, when predicting the bankruptcy probability, MDA models are used, they are to be known in the literature as the Z- score models.

It will also be applied J. Argent and T. Stone qualitative model. On the basis of this approach we will plan the financial risk and management risk reduction level of the company.

It should however be assumed that modern scientific works do not provide conditions of operation of Georgia's power market, peculiarities of the sector, statutory regulations and legislative framework.

While reforming the power sector, the strategic directions are considered. Attention has mainly been paid to three issues: reliability, efficiency, security. Therefore, one of the most important issues is the financial stability of power companies, based on financial statements analysis. It is necessary to develop and implement effective financial and economic tools in the management of the entities operating in the power sector.

There at the end of the thesis paper are presented conclusions and recommendations, list of literature.

შინაარსი

შესავალი	13
თავი 1. საქართველოს ელექტროენერგეტიკული განვითარების პრობ- ლემებისა და ტენდენციების ანალიზი	21
1.1 საქართველოს ელექტროენერგეტიკული დარგის განვითარების თანამედროვე მახასიათებლები	21
1.2 ფინანსური მდგრადობის ფაქტორების ანალიზი ენერგეტიკულ კომპანიებში	26
1.3 სს „თელასი“-ს კომპანიის ფუნქციონირებისა და მართვის მექანიზმის ფორმირების ფინანსური ასპექტები თანამედროვე პირობებში	31
1.4 სს „თელასი“-ს ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა და საკონტროლო მაჩვენებლები	37
თავი 2. ენერგოკომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირი- თადი ასპექტები	40
2.1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ცნება, მიზანი, ამოცანები და შინაარსი	40
2.2 მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ენერგეტიკული კომპანიის ფინან- სური მდგომარეობის ანალიზისთვის გამოიყენება	43
2.3 პროგნოზირების საბაზო მეთოდების მიმოხილვა	50
2.4 საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის პროგნოზის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოდელი	55
2.5 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მეთოდები	58
2.6 ენერგოგამანაწილებელი კომპანიისთვის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის გამოყენებული ფინანსური კომპლექსური მიდგომა ..	60
თავი 3. გაკოტრების ალბათობის რისკის პროგნოზირება და ენერგო- კომპანიის ფინანსური გაჯანსაღების ძირითადი მიმართულებები	101
3.1 გაკოტრების არსი	101
3.2 გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების მეთოდები	106
3.3 საქართველოს ენერგოკომპანიის გაკოტრების ალბათობის რისკის პროგნოზირება	118
3.4 ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისა და ფინანსური გაჯანსა- ღების ძირითადი მიმართულებები ენერგოკომპანიებისათვის	131
დასკვნა	138
გამოყენებული ლიტერატურა	147

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ფინანსური ანალიზის საერთო სქემა.....	42
ცხრილი 2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ფარგლებში ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითადი მეთოდები.....	58
ცხრილი 3. შიდა და გარე ფინანსური ანალიზის თავისებურებები.....	79
ცხრილი 4. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	84
ცხრილი 5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი.....	87
ცხრილი 6. სრული შემოსავლების ანგარიშის ანალიზი.....	90
ცხრილი 7. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი.....	93
ცხრილი 8. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი.....	94
ცხრილი 9. მიმდინარე ლიკვიდურობის მაჩვენებელი.....	95
ცხრილი 10. გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი.....	96
ცხრილი 11. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი.....	96
ცხრილი 12. ერთიანი აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი.....	96
ცხრილი 13. ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.....	97
ცხრილი 14. სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი.....	98
ცხრილი 15. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი.....	99
ცხრილი 16. კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი.....	99
ცხრილი 17. გაკოტრების პროგნოზირება ბივერის მოდელის მიხედვით.....	111
ცხრილი 18. კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი.....	113
ცხრილი 19. Z-მოდელის სამი სახეობა.....	118
ცხრილი 20. ალტმანის Z1 -მოდელი.....	118
ცხრილი 21. Z1 -მოდელით გაანგარიშებული მაჩვენებლები.....	119
ცხრილი 22. ტაფლერის Z2 -მოდელი.....	119
ცხრილი 23. Z2 -მოდელით გაანგარიშებული მაჩვენებლები.....	119
ცხრილი 24. სპრინგეიტის Z3-მოდელი.....	120
ცხრილი 25. Z3 -მოდელით გაანგარიშებული მაჩვენებლები.....	120
ცხრილი 26. წინასწარი ანალიზი არგენტის მაჩვენებლის (A-ანგარიშის) გამოყენებით.....	124

ნახახების ნუსხა

ნახაზი 1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი.....	93
ნახაზი 2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი.....	94
ნახაზი 3. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი.....	95
ნახაზი 4. ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.....	98
ნახაზი 5. სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი.....	98
ნახაზი 6. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი.....	99
ნახაზი 7. კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი.....	100

შესავალი

დღევანდელ დღეს ადამიანების ცხოვრება დედამიწაზე, ელექტროენერჯის გარეშე შეუძლებელია. ელექტროენერჯია შეიჭრა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. ქვეყნის მთელი ეროვნული ეკონომიკა, ისევე, როგორც სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარება, დამოკიდებულია მის განვითარების დონეზე. ენერგეტიკის სექტორი, წარმოადგენს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობას.

ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის განვითარების მოდელი ეფუძნება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დაშვებაზე. სადაც ენერგორესურსებზე ცვლილების ინდიკატორად არის აღებული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის, სამი სავარაუდო ვარიანტი: პირველი ვარიანტი - წლიური 3.6%, მეორე ვარიანტი - 5.6% და მესამე ვარიანტი - 7.9%. ამის შედეგად, სახელმწიფოს მიერ მუშავდება სხვადასხვა ენერგომემცველისა და ტექნოლოგიის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც თავისი მინიმალური დანახარჯებით უნდა პასუხობდეს მოსალოდნელი ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ენერგეტიკულ მოთხოვნებს: ბუნებრივი გაზი - 32%, ნავთობპროდუქტები - 28% და ელექტროენერჯია - 21% შეადგენდა. მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს წარმოადგენს: ქვანახშირი, ბიოსაწვავი, გეოთერმული და განახლებადი ენერჯიების სხვა წყაროები. ადგილობრივი რესურსებით მხოლოდ 34% დაკმაყოფილება ხდება ქვეყნის მოხმარების. ჰიდროენერგეტიკაზე მოდის წარმოების 52%. ავღნიშნოთ რომ ნავთობპროდუქტები, სრულად არის იმპორტირებული. ქვეყნის ბუნებრივ აირზე მოთხოვნის 0.7%-ის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი ადგილობრივი მოპოვებით [128].

საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის ძირითადი გამოწვევა არის ენერგეტიკული სისტემის განვითარების თანხვედრა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან. არამედ ენერგეტიკული სექტორის განვითარება ენერგომომხმარებლის ზრდის გათვალისწინებით.

ჩამოვთვალეთ საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის ძირითადი ამოცანები:

- ენერგეტიკულ სისტემაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ენერგეტიკულ სექტორში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა
- ენერგეტიკული სექტორის მდგრადი განვითარება

ელექტროენერგეტიკული დარგის რეფორმა გულისხმობს სუბიექტებს შორის ახალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და სტრუქტურაში ცვლილებებს.

ამიტომ, საქართველოს ეკონომიკისათვის **აქტუალურ პრობლემას** წარმოადგენს კრიზისის დაძლევა, ახალი სუბიექტებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ეროვნული ეკონომიკის სისტემაში ფუნქციონირება.

თემის აქტუალურობა. სამეურნეო პროცესების მართვისა და რეგულირების თანამედროვე ფორმების გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, საწარმოთა ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. ეს კი, საწარმოთა ფინანსური კრიზისის თავიდან აცილების წინაპირობას წარმოადგენს.

ელექტროენერგეტიკული დარგის რეფორმირებისას წარმოიქმნება რიგი ორგანიზაციული და ფინანსური პრობლემები, რომლებიც, თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებში არ არის სრულყოფილად გათვალისწინებული - კონკურენტუნარიანი ელექტროენერგიის ბაზრის ახალი სუბიექტების ფუნქციონირება და მათი განვითარების მოდელი. ენერგოკომპანიების მართვის, მდგრადი განვითარების, ორგანიზაციული და ფინანსური პრობლემებს განიხილავენ ისეთი მეცნიერები, როგორცაა: ჰოუპი ე., რაპპოპორტი ა.ნ., მელამედი ლ.ბ., გიტელმანი ლ.დ., კოვალოვი ვ.ვ., სავიცკაია გ.ვ., ბოჩაროვი ვ.ვ.

ფინანსური ანალიზის საკითხები და საწარმოების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, ენერგეტიკული კომპანიების ფინანსური

და ეკონომიკური საქმიანობის მართვაში სრულად იჩენს თავს და ამავდროულად, საწარმოს ეფექტურ ფუნქციონირებაზე აისახება.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში იზრდება სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელობა, და, როგორც შედეგი, იზრდება საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის როლი, რომელიც განვითარების სტრატეგიის დასაბუთების, წარმოების ეფექტიანობის გაზრდის რეზერვების გამოვლენის, საქმიანობის შედეგების შეფასების საშუალებას იძლევა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას შეისწავლოს კაპიტალის მდგომარეობა მისი წრებრუნვის პროცესში, გამოვლინდეს გარე და შიდა გარემოს ცვლად პირობებში საწარმოს მდგრადი ფუნქციონირებისა და განვითარების უნარი.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საწარმოს აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების, ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის, საქმიანი აქტივობის, გაკოტრების ალბათობის შეფასება, ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებათა შემუშავებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას გულისხმობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს **არჩეული საკვლევი თემის აქტუალობა.**

სადისერტაციო შრომის მიზანს წარმოადგენს ენერგოკომპანიის ფინანსური მდგრადობის მისაღწევად, კომპლექსური სოციალ-ეკონომიკური და ფინანსური მიდგომის შემუშავება, ფინანსური ანგარიშგების ანალიზზე დაყრდნობით. საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების ალბათობის შეფასების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესწავლა და მათი გამოყენების შესაძლებლობის გამოვლენა, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებათა შემუშავება.

სადისერტაციო შრომის საგანია ენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი: ქონებრივი მდგომარეობის, ლიკვიდურობის,

რენტაბელობის, ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტივობის ანალიზი, გაკოტრების ალბათობის პროგნოზირება, ფინანსური და მენეჯერული რისკების შეფასება და სათანადო დასკვნების გამოტანა შესაბამისი მასალის ანალიზის საფუძველზე.

კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა უმსხვილესი ქსელური კომპანიაა სს "თელასი", რომელიც საქართველოში ახორციელებს ელექტროენერჯის განაწილებას და გასაღებას ქ. თბილისში.

საკვლევ ნაშრომში, დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ენერგოკომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების შესწავლა და მათი ანალიზის საფუძველზე დაბალანსებული ფინანსური მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბება;

- ენერგოკომპანიის ქონებრივი მდგომარეობის, საქმიანი აქტივობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა ანალიზი და მისი სრულყოფა;

- გაკოტრების არსისა და გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების თეორიული საკითხების შესწავლა. ავტორის მიერ, შერჩეულ მოდელების საფუძველზე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირება.

- ენერგოკომპანიის ფინანსური მდგრადობის შეფასებისას, კომპლექსურ მიდგომაზე დაყრდნობით, მოდელის შემუშავება, კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის პირობებში;

- სათანადო დასკვნების გაკეთება და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ზოგადი სამეცნიერო კვლევის მეთოდები, სისტემური მიდგომა, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ხერხები, მეცნიერული აბსტრაქციის, დაჯგუფების, დეტალიზაციის, შედარების, კოეფიციენტების მეთოდი, კომპანიების სტრატეგიული მენეჯმენტის მეთოდები, საქმიანობის

ეფექტურობის შეფასება, რისკის შეფასება, ფაქტორული ანალიზი, ასევე მოდელირება და სხვა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ნორმატიული და საკანონმდებლო მასალები. ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, ფინანსური მენეჯმენტისა და გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების საკითხები, სს „თელასი“-ს ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და ინტერნეტ-რესურსები.

დისერტაციის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

1. ენერგოკომპანიის ფინანსური მდგრადობის სრულყოფილი სურათის მიღება ხდება ენერგეტიკული ბაზრის თვისებების გათვალისწინებით და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზზე დაყრდნობით.

2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე დაბალანსებული ფინანსური მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბება;

3. ფინანსური მდგრადობის შეფასებისას, კომპლექსური მიდგომის მეთოდის გამოყენებით, მოდელის შემუშავება, კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის პირობებში;

4. ენერგოკომპანიის ფინანსური მდგრადობის მისაღწევად, კომპლექსური სოციალ-ეკონომიკური და ფინანსური მიდგომის შემუშავება, ფინანსური ანგარიშგების ანალიზზე დაყრდნობით.

5. შემუშავდა მიდგომა, გაკოტრების ალბათობის პროგნოზირებისას - გამოყენებულია MDA მოდელები, ყველა გამოყენებული Z-მოდელი წარმოადგენს ოთხ ფაქტორულ მოდელს და ასევე, შემოთავაზებულია ხარისხობრივი მოდელი ჯ. არგენტის და ტ. სტოუნის, შემოთავაზებული მიდგომის საფუძველზე დაიგეგმება კომპანიის ფინანსური და მენეჯმენტის რისკის შემცირების დონე.

გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების პრობლემები არ არის სათანადოდ შესწავლილი. ეს პრობლემები კომპლექსურია - არ არის გათვალისწინებული საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის ფუნქციონ-

ნირების პირობები, დარგის თავისებურებები, ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო ბაზა. ამიტომ საჭიროა მისი შეწავლა და ახალი გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების კომპლექსური ანალიზის გამოყენება მთელი ამ პროცესის გამოსაკვლევად.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხები და გამოყენებული მოდელები, ასევე ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და ენერგოკომპანიის ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის. გაკოტრების ალბათობის პროგნოზირებისას და საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების გეგმების შემუშავებისას.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს მენეჯმენტის, ანალიტიკური სამსახურების და საწარმოთა გაკოტრების ალბათობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეთოდური მასალის სახით სასწავლო პროცესში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხები და გამოყენებული მოდელები, ასევე ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და ენერგოკომპანიის ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის. გაკოტრების ალბათობის პროგნოზირებისას და საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების გეგმების შემუშავებისას.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს მენეჯმენტის, ანალიტიკური სამსახურების და საწარმოთა გაკოტრების ალბათობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეთოდური

მასალის სახით სას წავლო პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება: შესავლი, თავი 1, თავი 2, თავი 3, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა.

აპრობაცია. სადისერტაციო სამუშაოს ძირითადი დებულებები, სადისერტაციო ნაშრომის შედეგები, მუშაობისას სხვადასხვა ეტაპებზე მოხსენებულ და განხილულ იქნა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნაკაციის ფაკულტეტის, ელექტროენერ-გეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტში, კოლოქვილუმი I-ზე - „ეკონომიკის ოქროს წესი ენერგოსაწარმოს მაგალითზე“ - 2018 წელი;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნაკაციის ფაკულტეტის, ელექტროენერ-გეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტში, კოლოქვილუმი II-ზე - „ელექტროენერგეტიკული საწარმოს ბალანსის (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების) ანალიზი სს“თელასი“-ს მაგალითზე“ - 2018 წელი;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნაკაციის ფაკულტეტის, ელექტროენერ-გეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტში, კოლოქვილუმი III-ზე - „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება ენერგოკომპანიის მაგალითზე“ - 2019 წელი;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნაკაციის ფაკულტეტის, ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვაზე - „ფინანსური ინფორმაციის ანალიზი ენერგოსაწარმოებში“ – 01.05.2019 წელი.

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სტუდენტთა 85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. მოხსენების თემა: „ენერგოკომპანიის ფინანსური მდგრადობის შეფასება“ – 07 ივნისი-01 ივლისი, 2017 წელი.

6. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის, მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციაზე. მოხსენების თემა: „ენერგეტიკული საწარმოების მდგრადობის ფინანსური ანალიზი“ – 24 ივნისი, 2017 წელი.

თავი 1. საქართველოს ელექტროენერგეტიკული განვითარების პრობლემებისა და ტენდენციების ანალიზი

1.1. საქართველოს ელექტროენერგეტიკული დარგის განვითარების თანამედროვე მახასიათებლები

თანამედროვე მსოფლიოში ელექტროენერგია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ძირითადი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, კერძოდ, მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველყოფისა და საშინაო მეურნეობების მოხმარება, საქონლისა და მომსახურების წარმოება, ეროვნული უსაფრთხოებას, გარემოს დაცვის უზრუნველყოფას.

ელექტროენერგეტიკა საბაზო ინფრასტრუქტურული დარგია, რომელშიც ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილების პროცესები რეალიზდება. ეკონომიკის ყველა სექტორთან აქვს კავშირი. ელექტროენერგეტიკის როგორც დარგის თავისებურებები მისი მთავარი პროდუქტის – ელექტროენერჯის სპეციფიკიტა და ასევე მისი წარმოებისა და მოხმარების პროცესების ხასიათითაა განპირობებული.

ელექტროენერგია თავისი თვისებების მიხედვით მომსახურების მსგავსია: წარმოების დრო მოხმარების დროს ემთხვევა. მაგრამ ეს მსგავსება არ წარმოადგენს ელექტროენერჯის განუყოფელ ფიზიკურ თვისებას – მიდგომა შეიცვლება, თუ გაჩნდება ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი მასშტაბით შენახვის ეფექტური ტექნოლოგიები.

დარგი, მოთხოვნილების წარმოშობის მომენტში, მზად უნდა იყოს ელექტროენერჯის გამომუშავების, გადაცემისა და მიწოდებისათვის მათ შორის პიკური მოცულობით, უნდა გააჩნდეს საამისოდ აუცილებელი სარეზერვო სიმძლავრეები.

ელექტროენერჯის შენახვა შეუძლებელია, რადგან ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემისა და მოხმარების მთელი პროცესი ტექნოლოგიურ ერთიანობას წარმოადგენს. ელექტროენერგეტიკა არ შეიძლება იყოს მიმართული მხოლოდ და მხოლოდ მოგების მიღებაზე, ვინაიდან იგი საბაზო ინფრასტრუქტურულ დარგს წარმოადგენს,

აყალიბებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსა და ეკონომიკის განვითარების პირობებს, იგი მოწოდებულია არამარტო უზრუნველყოს მასში ინვესტორთა მიერ ჩადებული სახსრების რაც შეიძლება დროული, სწრაფი და გარანტირებული დაბრუნება, არამედ ასევე დააკმაყოფილოს საზოგადოების სოციალური მოთხოვნილებები და უზრუნველყოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.

აუცილებელია განვიხილოთ ენერგეტიკის დარგის, როგორც ინვესტიციების ობიექტებისთვის განმასხვავებელი თავისებურებები:

- რიგი ენერგეტიკული პროექტებისათვის დამახასიათებელია აშკარა ან ფარული სოციალური დატვირთვები – მაგალითად, დაშორებულ რაიონებში ელექტროენერჯის მოწოდების ვალდებულება;
- საინვესტიციო პროექტების რეალიზების ფინანსური, ორგანიზაციული და ტექნიკური სირთულე, რაც განპირობებული მოწყობილობის მაღალი კაპიტალტევადობითაა განპირობებული;
- ენერგეტიკა სტრატეგიული დარგია და მასზე პირდაპირ დამოკიდებულია სახელმწიფოს უსაფრთხოება. საუბარია მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების დაცვაზე. როგორც წესი, ეროვნული ენერგეტიკული კომპანიები ცდილობენ მიიღონ მათი ფინანსური რესურსები და ტექნოლოგიები;
- ფასწარმოქმნის მეთოდის უნდა ასტიმულირებდეს ენერგოკომპანიებს თავისი საქმიანობის ოპტიმიზაციისა და დანახარჯების შემცირებისაკენ, ვინაიდან გარკვეული ხარჯების შემცირების პოლიტიკა მარეგულირებელი ორგანოს მიერ მომდევნო პერიოდში ტარიფის განხილვას და კომპანიის ამონაგების ცვლილებას იწვევს, რაც ინვესტორებისთვის სახსრების დაბრუნებას აფერხებს.
- ელექტროენერჯის ტარიფები რეგულარულად გადაიხედება, რაც ართულებს ამონაგების პროგნოზირებას და ენერგეტიკაში ინვესტირებული სახსრების დაბრუნების დაგეგმვას.

დარგის მდგრადი განვითარებისა და რაციონალური მართვის ახალი ეფექტური მეთოდების დანერგვის მიზნით, ბოლო წლებში, სახელმწიფო ინტენსიურად მუშაობს.

საქართველოში, ენერგეტიკული სექტორის პრობლემების განხილვისას, ძირითადად ყურადღება ეთმობა შემდეგ საკითხებს:

• სტრუქტურულ ცვლილებებს - რაც ახალ ბაზრის მონაწილეების ჩამოყალიბებასა და უფრო ეფექტურ ელექტროენერჯის სისტემას შექმნის;

• საიმედოობას;

• უსაფრთხოებას;

• ეფექტურობას;

• ტექნიკური და ტექნოლოგიური - კომანიის აქტივების განახლება;

• ეკონომიკური - ინვესტირების აუცილებლობა;

• სოციალური - ქვეყნების განვითარებაში დიდი სოციალური განსხვა-ვებით, (მაგალითად, ერთ სულზე ელექტროენერჯის მოხმარებაში სხვაობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვაობა გაცილებით მეტია, ასევე რიგ ქვეყნებსა და რეგიონებში ენერგორესურსების განაწილება არათანაბარია.

ელექტროენერჯის დარგის შემდგომი განვითარება, ენერგორესურსების გამოყენების ეფექტურობა, საქართველოს ენერგოუსაფრთხოება, მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება დიდწილად ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრაზეა დამოკიდებული [130].

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის განვითარება შესაძლებელია სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფით, რომელთა ძირითადი მხარეებია:

• ენერგეტიკული საწარმოებისა და მთელი ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;

• ენერგეტიკული კომპანიების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;

- ენერჯის დაზოგვის პროგრამებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

- ინდივიდუალური რეგიონებისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა [130].

ელექტროენერჯეტიკული დარგის ორგანიზაციის ტრადიციული მოდელი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ეს იყო ე.წ. სამრეწველო (ტექნოლოგიური) მოდელი. ეს მოდელი ვერტიკალურად ინტეგრირებულ სტრუქტურაა. ამ სქემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ენერჯეტიკული კომპანიის ფარგლებში, ცენტრალიზებული ეკონომიკური და ოპერატიულ-ტექნოლოგიური მართვა ხორციელდება მოცემულ ქვეყანაში ენერჯომომარაგების პროცესის ყველა ეტაპზე: წარმოება, გადაცემა და გაყიდვა. ასეთ პირობებში კომპანია იღებს ბუნებრივი მონოპოლიის სტატუსს, მას გააჩნია გარკვეული მომსახურების ტერიტორია, რომელშიც გამორიცხულია სხვა მომწოდებლების საქმიანობა. ამავდროულად, მონოპოლიური მომსახურების ხარისხი და ენერჯეტიკული ფასები ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე მკაცრად კონტროლდება სპეციალური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

ელექტროენერჯეტიკული სისტემის არსებული კონტროლის ნაკლოვანებები თავს იჩენს საკუთარი სტრატეგიის სისუსტეში და ასევე გამოიხატება გარე გარემოში ცვლილებებისადმი ნელი რეაგირებით. ამავე დროს, თანამედროვე ეკონომიკური გარემო საქართველოში და მთელ მსოფლიოში ძალზე მობილურია, ამიტომ მენეჯერები ვალდებული არიან ენერჯეტიკული კომპანიების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ეკონომიკის, ფინანსებისა და პოლიტიკის მოვლენების განსაზღვრა და ეფექტური, რაციონალური გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიების მართვის მიდგომები მნიშვნელოვნად იცვლება, ვინაიდან იცვლება მაკრო გარემო და საჭიროა ოპტიმალური და ზუსტი რეაგირება.

ელექტროენერგეტიკული დარგის რესტრუქტურის მიზანია ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის გაზრდის გზით, ენერგო ხარჯების შემცირების შესაძლებლობები. ცვლილებები გავლენას ახდენს სახელმწიფო რეგულირებაზე, ელექტროენერგეტიკისა და საკუთრების სტრუქტურაზე. ენერგეტიკული კომპანიების ვერტიკალური ინტეგრაცია შეიცვალა ჰორიზონტალური ინტეგრაციით. კერძოდ, შემცირდა სახელმწიფო საკუთრების წილი კომპანიებში და ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს გავლენა.

სტრუქტურული ცვლილებები, ძირითადად, ხორციელდება გენერაციის, ტრანსპორტირების, გადაცემის და გაყიდვების სფეროების განცალკევებისათვის. მთავრობა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული კომპანიების სრული და სამართლიანი მონაწილეობა ენერგეტიკულ საქმიანობაში - პირველ რიგში უზრუნველყოს ყველა მწარმოებლის სატრანსპორტო ქსელების უფასო, თანაბარი ხელმისაწვდომობა [130].

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის მექანიზმი მნიშვნელოვნათ გაიზრდება. კონკურენციის აუცილებლობა, გლობალური ტენდენციაა, რომელიც იდენტურია მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის. ელექტროენერგეტიკულ დარგში რესტრუქტურის პროცესები გამოიჩევა იმ ფაქტორით, რომ თითოეულ ქვეყნას სასტარტო პოზიციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამრიგად, ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე სხვადასხვა კომპანიების ფუნქციონირებისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების მოდელი შემდეგ პრობლემებს უკავშირდება:

- კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ბაზრის შექმნა;
- ელექტროენერგეტიკის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირება;
- დარგის დერეგულირება ითვალისწინებს ხარისხის ცვლილებას,

სახელმწიფო რეგულირებისას გამოიყენება უფრო მეტი თავშეკავებული ფორმები;

- ფასების რეგულირება, მხოლოდ მისი ზედა ზღვარის შეზღუდვით;
- ფუნქციების განცალკევება, ელექტროენერჯის გადაცემა, გადანაწილება და გასაღება;
- ელექტროენერჯეტიკის სფეროში კონკურენციის პირობების ეტაპობრივი შექმნა;

ენერჯეტიკის რეფორმის მთავარი მიზანია, მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა ელექტროენერჯეტიკულ დარგში, აქტივების განახლებისა და მოდერნიზაციის პროცესების განხორციელება, ელექტროენერჯეტიკული დარგის ლიბერალიზაცია, ელექტროენერჯის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, ელექტროენერჯის ეფექტურობა და საიმედოობა.

ამგვარად, აუცილებელია კონკურენტუნარიანი ენერჯეტიკული ბაზრის ახალი სუბიექტების მართვის და ფინანსურ-ეკონომიკური მიდგომების ჩამოყალიბება. ენერჯეტიკული კომპანიების ფინანსური მდგრადობისა და განვითარების პოტენციალის ადეკვატური შეფასება და ანალიზი მათი საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველსაყოფად.

1.2. ფინანსური მდგრადობის ფაქტორების ანალიზი ენერჯეტიკულ კომპანიებში

ელექტროენერჯის კონკურენტუნარიანი ბაზრების ჩამოყალიბება გვაძლევს საშუალებას შეიქმნას ახალი ტიპის საქმიანობის სუბიექტები, რაც თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებში ტერმინით - "ენერჯეტიკის ბიზნეს კონცეფციის" არის ცნობილი.

ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, შეირჩეს ენერჯეტიკული კომპანიების ფუნქციონირებისა და განვითარების საუკეთესო კონცეფცია. შერჩეულმა კონცეფციამ, ელექტროენერჯეტიკული სექტორის ლიბერალიზაციის პირობებში,

აუცილებლად უნდა უზრუნველყოს კომპანიები ფინანსური მდგრადობით,

ამისათვის აუცილებელია იმ გარემოების დახასიათება, რომელშიაც თანამედროვე ენერგეტიკული კომპანია უნდა ფუნქციონირებდეს და ვითარდებოდეს.

ენერგოკომპანიის ბიზნეს გარემო მოიცავს ინვესტორებს, ენერგომომხმარებლებს, საწვავის მომწოდებლებს, შუამავლებს, კონკურენტებს, ფინანსურ ორგანიზაციებს, სამთავრობო უწყებებს და ადგილობრივ ხელისუფლებას, მარეგულირებელ ორგანოებს, საზოგადოებას, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ენერგეტიკული კომპანიის განვითარებისათვის საჭიროა გარე გარემოს პროგნოზირება, ამისათვის აუცილებელია შემდეგი შესაძლო რისკების განხილვა:

- მთავრობის ღონისძიებების გატარება ენერგეტიკის სექტორის ფუნქციონირებისათვის;
- მარეგულირებელი კანონმდებლობის ბაზის შემუშავება, მათ შორის დაბეგვრის, სატარიფო მეთოდის შემუშავება, საინვესტიციო საქმიანობა, საწინააღმდეგო ანტიმონოპოლიური ღონისძიებების ჩატარება, საბაზრო რეგულირების მეთოდების შემუშავება;
- მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოსალოდნელი დინამიკა და მათი პროგნოზი, რომელიც გავლენას ახდენს გარკვეულ წარმოების სექტორებზე.
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოსალოდნელი მიღწევები;
- ტენდენციები ეკოლოგიაში, უსაფრთხოებაში, ხარისხის ამაღლებაში, საიმედოობა და ა.შ.

ენერგეტიკული კომპანიის ბიზნეს-გარემოს ანალიზის საშუალებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ენერგო სუბიექტების საქმიანობასა და მდგრად განვითარებაზე, შეგვიძლია განვიხილოთ ფაქტორების ის კლასიფიკაცია, რომლებიც განსაზღვრავენ ენერგოკომპანიების განვითარების მდგრადობას:

- დროითი ხასიათი: გრძელვადიანი და მოკლევადიანი;

- მიმდინარების ხასიათი: ციკლური და უწყვეტი;
- განხორციელების ხარისხი: რეალური და პოტენციური.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ენერგოკომპანიების ფუნქციონირება დამოკიდებულია შიგა ფაქტორების ანალიზის მოთხოვნზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მათი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტზე. შიგა ფაქტორების ანალიზი აუცილებელია ენერგეტიკული კომპანიების შიგა რესურსებისა და კომპანიის პოტენციალის შესაფასებლად. მაჩვენებელთა კლასიფიკაცია, გავლენას ახდენს ენერგოკომპანიების შიგა გარემოს ფუნქციონირებაზე:

- წარმოების პარამეტრები;
- ფინანსური პარამეტრები;
- ეკონომიკური პარამეტრები.

თანამედროვე ენერგოკომპანიის ფუნქციონირება როგორც ცალკეული ეკონომიკური სისტემა ხორციელდება ენერგეტიკულ სექტორში. როგორც შიგა, ასევე გარე გარემოს კომპლექსური ფაქტორების უწყვეტ ურთიერთ-ქმედებებში. კომპლექსური ფაქტორები ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია. ენერგეტიკული კომპანიების გარე და შიდა გარემოს ანალიზზე დაყრდნობით. შემოთავაზებულია თანამედროვე ენერგოკომპანიის ფაქტორების კლასიფიკაცია, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობასა და განვითარების პერსპექტივებზე.

ჩვენს მიერ შემუშავებულია და წარმოდგენილია თანამედროვე ენერგო-კომპანიის ძირითადი გარე და შიგა ფაქტორების კლასიფიკაცია და მისი პარამეტრები:

1. წარმოების და ტექნოლოგიური ფაქტორები:

- დადგენილი სიმძლავრე;
- სამუშაო სიმძლავრე;
- ელექტროენერგიის წარმოება;
- დადგენილი სიმძლავრის გამოყენების საათების რაოდენობა;
- გამოყენებული საწარმოში აქტივების და ტექნიკის კოეფიციენტები;

2. ეკონომიკური ფაქტორები:

- გაყიდვებიდან შემოსავალი;
- მოგება /ზარალი გაყიდვებიდან;
- ელექტროენერჯის თვითღირებულობა;
- საწვავის მოხმარება;
- საწარმოო ხარჯები;
- მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო ხარჯები;
- ეკოლოგიური ხარჯები;
- ფონდუკუგება
- სახელფასო ფონდი

3. ფინანსური ფაქტორები:

- ლიკვიდურობის მაჩვენებლები
- რენტაბელობის მაჩვენებლები
- ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები
- ფინანსური დამოუკიდებლობის მაჩვენებლები
- საქმინი და საინვესტიციო აქტივობის მაჩვენებლები
- კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლები

4. საორგანიზაციო-მმართველობითი ფაქტორები:

- ორგანიზაციის სტრუქტურა;
- პერსონალის კვალიფიკაცია;
- მენეჯმენტის საქმიანობის ეფექტურობა;
- კორპორაციული კულტურა;
- საინფორმაციო მხარდაჭერა;
- საქმეთა ბრუნვის ეფექტური დაგეგმვა და კოორდინაციის მექანიზმი.

5. მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- მთლიანი შიდა პროდუქტი;
- ინფლაცია;
- ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთი;
- საკრედიტო განაკვეთები

6. საგარეო ეკონომიკური ფაქტორები:

- საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება
- ინტეგრაციის პროცესები

7. საგარეო პოლიტიკური ფაქტორები:

- სახელმწიფო საგარეო პოლიტიკა;
- სტრატეგიული პოლიტიკური პარტნიორობა, მთავრობათაშორისი კავშირები, ასოციაციები, ჰოლდინგები;

8. ინსტიტუციური ფაქტორები:

- ინსტიტუციური გარემოს განვითარება;
- ქსელური ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება;
- ფინანსური ინსტიტუტების განვითარება;

9. საკანონმდებლო ფაქტორები:

მარეგულირებელი ორგანოების მიერ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები ენერგეტიკის რეგულირების სფეროში.

10. საბაზრო ურთიერთობების ფაქტორები:

- ბაზრის მოცულობა;
- ბაზრის პოტენციალი;
- ბაზრის გაჯერება

11. რეგიონალური ფაქტორები:

- რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობა;
- ინფრასტრუქტურის განვითარების დონე;
- პოლიტიკური სტაბილურობა რეგიონში

12. სამეცნიერო-ტექნიკური ფაქტორები:

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარება.

13. ბუნებრივი ფაქტორები:

- ბუნებრივი კატაკლიზმების წარმოშობის შესაძლო ზიანის ანალიზი.

14. სოციალ-კულტურული ფაქტორები:

- საჯარო დაწესებულებების დამოკიდებულება ენერგოკომპანიების მიმართ.

ზემოთ ჩამოთვლილი შიგა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს ენერგეტიკული კომპანიების გარე ფაქტორების მაღალი არასტაბილურობა. რაც გულისხმობს მენეჯმენტის სწრაფ რეაგირებას გარე გარემოს ცვლილებებზე და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

ბიზნეს-გარემო ცვლილებადია, ახალი შესაძლებლობების და საფრთხეების გათვალისწინებით, გარემოს ანალიზის აუცილებლობა აშკარაა, თანამედროვე ენერგოკომპანიების მიერ.

აქედან გამომდინარე, აქტუალურია ბიზნეს-გარემოს რეგულარული ანალიზის ჩატარება, იმისთვის, რომ წინანსწარ განისაზღვროს ისეთი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ენერგოკომპანიის მდგრად განვითარებას ან, პირიქით, ხელს უშლის განვითარების პროცესს. ანალიზის შედეგად, ენერგოკომპანიას აქვს შესაძლებლობა ეკონომიკურ-ფინანსური სტრატეგიული მიმართულება განსაზღვროს.

1.3. სს „თელასი“-ს კომპანიის ფუნქციონირებისა და მართვის მექანიზმის ფორმირების ფინანსური ასპექტები თანამედროვე პირობებში

სს „თელასი“, შემდგომში „კომპანია“ არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, დიდი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, რუსთაველის პროსპექტზე, განხორციელდა რამდენიმე შენობის განათება. შეიძლება ჩაითვალოს ეს ფაქტი, საქართველოს ელექტროენერჯის გადაცემის და განაწილების დასაწყისად.

ქალაქ თბილისის ენერგეტიკული ნაგებობების სამმართველო პირველად მოხსენიებულია 1921 წელს, ორგანიზაციაში მუშაობდა 36 ადამიანი.

1937 წელს თბილისის საქალაქო საბჭოსთან იქნა დაფუძნებული „თბილელექტროქსელი“ - „თელასი“ შემოკლებით. კომპანია იმ დროისთვის ასრულებდა ორ ძირითად საქმიანობას - ტექნიკურს და კომერციულს.

„თელასი“ იღებდა ელექტროენერგიას მხოლოდ ერთ ობიექტიდან - ზაჰესიდან.

„თელასი“ დარეგისტრირდა სააქციო საზოგადოების სახით, მაისში 1995 წლის.

შემდგომ, სააქციო საზოგადოება „თელასი“ შეიძინა AES Silk Road Holdings B.V., კორპორაცია AES-მა „თელასი“-ს აქციათა 75%, დეკემბერში 1998 წლის.

ფაქტობრივმა მფლობელმა „Silk Road Holdings B.V.“, კორპორაცია AES, მიჰყიდა ფინურ კომპანიას – სააქციო საზოგადოება RAO Nordic Oy აქციათა პაკეტის 100% აგვისტოში 2003 წლის. RAO Nordic Oy ერთადერთი აქციონერია ლსს „ინტერ რაო“.

დღევანდელ დღეს, ჯგუფი „ინტერ რაო“-ს ფლობს „თელასი“-ს აქციათა 75%, ხოლო დარჩენილი აქციათა 25% საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაშია.

საქართველოს დედაქალაქში მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი ენერგომომარაგება, წარმოდგენს სს „თელასი“-ს მისსას.

საზოგადოების საქმიანობა მიმართულია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემების სრულყოფაზე, მისი საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებაზე. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს მომხმარებელთა სექტორის ხარისხის ამაღლებაზე და მომხმარებელთა სექტორის მომსახურების განვითარებასა.

უნდა ავლნიშნოთ რომ, კორპორაციულ კულტურას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. სს „თელასი“-ს მთავარ ფასეულობად მიაჩნია: მართვის სისტემის მოქნილობა, კომპანიის საქმიანობის მაღალი პროფესიონალიზმი, თანამშრომლების დისციპლინისა და შემოქმედების ეფექტური შერწყმა. კომპანია წარმატებით ქმნის პროფესიონალების გუნდს - ზრუნავს მათ სოციალურ დაცვაზე და საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

კომპანიის საქმიანობა არის მაქსიმალურად გამჭვირვალე და მაქსიმალურად გახსნილი - აქციონერთათვის, ინვესტორებისათვის, ბიზნეს-პარტნიორებისა და მთელ საზოგადოებისათვის.

სს "თელასი" უმსხვილესი ქსელური კომპანიაა საქართველოში, რომლის საქმიანობის ძირითადი სახეობებია: ელექტროენერჯის შესყიდვა და გაყიდვა. ასევე ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია, ელექტროენერჯის სატრანზიტო მომსახურება, აბონენტთა ტექნიკური მომსახურება. უნდა ავღნიშნოთ, რომ სს „თელასი“ ქალაქ თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული, კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირებას ახორციელებს.

2018 წლის მონაცემებით, კომპანიაში მუშაობს 2500-მდე ადამიანი.

2018 წელს, თბილისში ელექტროენერჯის მოხმარება შეადგინა დაახლოებით 2935 მლნ კვტ/სთ.

ასევე, 2018 წლის მონაცემებით, სს "თელასი" ემსახურება დაახლოებით 606 200 აბონენტს. აბონენტთა მომსახურება და ელექტრული-ქსელების ექსპლუატაცია ხორციელდება დედაქალაქის 10 ბიზნეს ცენტრში.

2018 წლის მონაცემებით სს "თელასი"-ს ელექტრული ქსელის სიგრძე – 5338,3 კმ., (მათ შორის არის საჰაერო ეგზ, ჯაჭვების მიხედვით, სიგრძეა – 2184,5 კმ.) საკაბელო ეგზ სიგრძეა – 3153,8 კმ. სატრანსფორმატორო ქვესადგურების 10/6/0,4 კვ - 1986 ცალი, დამადაბლებელი ქვესადგურების რაოდენობაა 110/35 კვ - 40 ცალი.

კომპანიის კორპორაციული პოლიტიკა ხორციელდება კომპანიის წესდების შესაბამისად, საქართველოს კანონის "მეწარმეთა შესახებ". საზოგადოების საქმიანობის სამართლებრივი ქმედებები ეფუძნება საკანონმდებლო-სამართლებრივ აქტებს: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) დადგენილებები, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, საქართველოს

ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება N77 30.08.2006 წელი, "ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" დამტკიცების შესახებ, საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ.

სს "თელასი"-ს სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი უზრუნველყოფენ ინვესტორთა და აქციონერთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა კანონის ფარგლებში. საზოგადოების მართვაში მონაწილეობა და დივიდენდების მიღება - უფლებაა, რომელიც ეკუთვნის კომპანიის აქციონერებს.

სს "თელასი"-ს გასანაწილებელ მოგებაზე, აქციონერთათვის საერთო კრებაზე შეუძლია გამოაცხადოს დივიდენდების გადახდის შესახებ, უფლებების და პრივილეგიების გათვალისწინებით. კომპანიას უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით, დივიდენდების გაცემა დაუშვებელია, თუ გასაცემი თანხა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

აქციონერთა მიმართ ხორციელდება საინფორმაციო პოლიტიკა, მისაწოდებელი ინფორმაციის - სისწორის გათვალისწინებით, სისრულის, ობიექტურობის და ოპერატიულობის გათვალისწინებით. კომპანია თავისი აქციონერთათვის უზრუნველყოფს გათვალისწინებული დოკუმენტების თავისუფალ წვდომას.

სს „თელასი“-ს ბიზნესის მართვის ხარისხის კონტროლი და შეფასება - კონტროლს კომპანიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე ახორციელებს: სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი; საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო; საზოგადოების დამოუკიდებელი აუდიტორი. ჩამოვთვალოთ საზოგადოების ორგანოთა საქმიანობის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტები:

წესდება, წარმოადგენს საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტს. წესდებაში აისახება ინფორმაცია კომპანიის შესახებ: საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა, საქმიანობა და მიზნები, საწესდებო კაპიტალის შესახებ ინფორმაციას, აქციონერთა უფლებების შესახებ, ასევე

მოიცავს საზოგადოების სტრუქტურის აღწერილობას, საქმიანობის წესს და კომპეტენციას.

საზოგადოების დებულება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების შესახებ დამტკიცდა 26.12.2013 წლის ოქმი. იგი განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების წესს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს.

სს „თელასი“-ს დებულება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის ანაზღაურებისა და კომპენსაციების გადახდის შესახებ იყო დამტკიცებული სს „თელასი“-ს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე 2009 წელს. იგი განსაზღვრავს საბჭოს წევრთათვის გადასახდელი ანაზღაურებისა და კომპენსაციების გადახდის წესსა და გადახდის ოდენობას. გადახდა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობისათვის, აღნიშნული სხდომების ჩატარების ფორმის მიუხედავად.

დებულება სს „თელასი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ განსაზღვრავს კომიტეტის საზოგადოების მართვის ორგანოებთან ურთიერთქმედების წესს, უფლებებსა, მოვალეობებს, და სტატუსს.

საზოგადოების მართვისა და კონტროლის ორგანოების სტრუქტურა:

გენერალური დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭო

აქციონერთა საერთო კრება

მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება აძლევს აქციონერებს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით და გადაწყვეტილებების მიღებას, განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამისად. აქციონერთა საერთო კრების წინაშე ანგარიშვალდებული არიან აღმასრულებელი ორგანოები და სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის საქმიანობის არსებით საკითხებთან დაკავშირებით იღებს **საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო**, განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი წევრისაგან და წარმოადგენს შემდგარ კოლექციალურ ორგანოს.

ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს **გენერალური დირექტორი**, რომელიც ახორციელებს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას.

განვიხილოთ სს „თელასი“-ს **სოციალურ პოლიტიკას**. სოციალური პარტნიორობა კოლექტიური ხელშეკრულების ფორმატით ხორციელდება სს „თელასი“-ს მუშაკებს შორის, ადმინისტრაციას შორის და პროფკავშირის კომიტეტსა. ხელშეკრულება არის მიმართული მუშაკების სოციალური და ეკონომიკური უფლებების, ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაზე. ყურადღება ეთმობა თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, ახორციელებს გადახდებს საიუბილო თარიღებთან.

უნდა ავღნიშნოთ, რომ სს „თელასი“ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას და ამავე დროს ახორციელებს მნიშვნელოვან სოციალური პროექტებს:

კულტურის პროექტები, ხელოვნების პროექტები;

დაუცველი ოჯახებიდან ბავშვების სოციალიზაციის პროექტი;

მოწყალეების სახლის დახმარება;

თბილისის ეკლესიების და ტაძრებისა დახმარება.

ენერგეტიკული დარგის ვეტერანების სოციალური დახმარება;

შეზღუდული უნარების მქონე და ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარება.

კომპანიის **ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვა - ISO 14001** სერტიფიკატის მიღება არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტი კომპანიის საქმიანობაში.

ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების შემუშავება **ISO 14001**-ს წარმოადგენს გარემოს დაბინძურების შემცირების ეფექტურ მეთოდს.

კომპანიაში ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების დანერგვა იძლევა ეკონომიკური ეფექტის მიღების შესაძლებლობას და გარემოს ნეგატიური დატვირთვის ფაქტორების შემცირებისა. ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემების დანერგვისას შესაძლებელი იქნება:

ავარიული სიტუაციების წარმოქმნის შემცირება გარემოს დაბინძურების გამომწვევი მიზეზების გამო;

რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება - არასაწარმოო ხარჯების სადაზღვევო ხარჯების შემცირება;

ინვესტიციების შესაძლებლობების მოპოვება და კრედიტების მიღების შესაძლებლობა;

ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ქცევის ჩამოყალიბება, ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის ამაღლება, მოტივაციის სისტემის შემუშავება;

საზოგადოების ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაცია;

კომპანიის პოზიციების გამყარება ბაზარზე;

სს „თელასი“-ს მენეჯმენტის საერთო სისტემის ეფექტურობის ამაღლება.

ISO14001 სტანდარტი წარმოადგენს საზოგადოების სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრირებას. ამ სტანდარტის თანახმად, კომპანიებმა უნდა გახადონ თავიანთი ეკოლოგიური პოლიტიკა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და შემდგომ გამოაქვეყნონ შესაბამისი ანგარიში. სერტიფიკატის მიღება წარმოადგენს ამ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე წარმატებული დაშვების ერთერთ მნიშვნელოვან პირობას.

1.4. სს „თელასი“-ს ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა და საკონტროლო მაჩვენებლები

სს „თელასი“-ს ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა დაინერგა 2017 წელს (ემმ). წარმოდგენილი სისტემა არის საზოგადოების წარმატების ინდიკატორები ან კონკრეტული თანამშრომლის წარმატების

ინდიკატორები. ეს ინდიკატორები შემუშავებულია საზოგადოების სტრატეგიის საფუძველზე და საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის, მისი წვლილის, საზოგადოების მიზნების რეალიზაციაში, სრული შეფასების საშუალებას იძლევა კონკრეტულ საანგარიშო პერიოდისათვის.

კომპანიის საქმიანობის მართვის და კონტროლის ფუნქციების სრულყოფის მიზნით შემოღებულია საზოგადოების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები და საკონტროლო მაჩვენებლები. საკონტროლო მაჩვენებლები (სმ) განსაზღვრავს საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის ძირითად საწარმოო ამოცანებს.

2017 წელს სს „თელასი“-ს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა სს „თელასი“-ს ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (ემმ) და საკონტროლო მაჩვენებლები.

ჩამოვთვალოთ სს „თელასი“-ს ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების შემადგენელი ნაწილი, რომელიც შედის საზოგადოების მიზნების რუკაში:

1. EBITDA გარკვეული წლის კომპანიის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან.
2. კონკრეტული წლის საოპერაციო ფულადი ნაკადი კონკრეტული წლის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან;
3. წლის საზოგადოების საინვესტიციო პროგრამის შესრულება - ემმ
4. კონკრეტული წლის ქსელების 1 კმ-ზე პერსონალის რიცხოვნობა ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან;
5. ელექტროენერჯის დანაკარგები კონკრეტული წლის ბიზნეს გეგმის მნიშვნელობიდან - ემმ.

განვიხილოთ სს „თელასი“-ს საკონტროლო მაჩვენებლები (სმ):

1. უბედური შემთხვევების წონა 30%, ავარიების წონა 40%, ტრავმატიზმის სიხშირის კოეფიციენტის წონა 30%;

2. პასპორტის მიღება, პერიოდში შემოდგომა-ზამთრის მუშაობისათვის;

3. დისციპლინის დაცვა - საანგარიშგებო, საშემსრულებლო და კორპორაციული ღონისძიებების გეგმის შესრულება;

4. შიდა საკრედიტო რეიტინგი;

5. შიდა აუდიტის ბლოკის მიერ სსს „ინტერ რაო“-სი გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების შედეგების მიხედვით არსებითი შენიშვნების არარსებობა;

6. ღონისძიებების გეგმის შესრულება ჯგუფის ანგარიშგებასთან დაკავშირებული, ფასს-ის მიხედვით,.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ საკონტროლო მაჩვენებლები და ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემის შეფასების მეთოდის დანერგვა შემუშავებულია საზოგადოების სტრატეგიის საფუძველზე.

თავი 2. ენერგოკომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტები

2.1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ცნება, მიზანი, ამოცანები და შინაარსი

ფინანსური ანალიზის პრაქტიკამ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისა და მისი მდგრადობისათვის შეიმუშავა მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს:

- კაპიტალის არსებობასა და განთავსებას, მისი გამოყენების ეფექტურობას და ინტენსივობას;
- პასივების სტრუქტურის ოპტიმალურობას, ფინანსურ დამოუკიდებლობას და ფინანსური რისკის ხარისხს;
- აქტივების სტრუქტურის ოპტიმალურობას და საწარმოო რისკის ხარისხს;
- საბრუნავი აქტივების ფორმირების წყაროთა სტრუქტურის ოპტიმალურობას;
- გადახდისუნარიანობას და საინვესტიციო მიმზიდველობას;
- გაკოტრების ალბათობის რისკს;
- ფინანსური მდგრადობის პოტენციალი

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ტარდება როგორც საწარმოს მიერ, ისე მისი დამფუძნებლების, ინვესტორების, ბანკების, მიმწოდებლების და ა.შ. ამის თანახმად გამოყოფენ შიგა და გარე ანალიზს.

შიგა ანალიზი ხორციელდება საწარმოს სამსახურების მიერ, მისი შედეგები გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების, დაგეგმვისა და კონტროლისათვის. შიგა ანალიზის მიზანია – ფულადი სახსრების გეგმაზომიერი შემოდინების უზრუნველყოფა და ოპტიმალური ხერხით საკუთარი და ნასესხები სახსრების განთავსება საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და ასევე მოგების მაქსიმიზაციისათვის.

ინვესტორები, მატერიალური და ფინანსური რესურსების მიმწოდებლები, საწარმოს გამოქვეყნებული წლიური (კვარტალური) ანგარიშგების საფუძველზე ახორციელებენ გარე ანალიზს, რომლის მიზანია დადგინდეს სახსრების ხელსაყრელი დაბანდების შესაძლებლობა.

კომპანიის ფინანსური ანალიზი გამოყენებული სახეობებისა და ფორმების მიხედვით პრინციპულად არ განსხვავდება ტრადიციული დასავლური მიდგომის ფარგლებში არსებული ანალოგიური პროცედურებისგან. კონკრეტულ ამოცანებთან დამოკიდებულებაში ფინანსური ანალიზი შემდეგი სახეებით ხორციელდება:

- ექსპრეს-ანალიზი (გარე ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების ბაზაზე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ წარმოდგენის მისაღებად);

- კომპლექსური ფინანსური ანალიზი, შეფასების მისაღებად გარე ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების, და ასევე ანგარიშგების მუხლების შესწავლის, ანალიტიკური აღრიცხვის მონაცემების, დამოუკიდებელი აუდიტის შედეგების საინფორმაციო მონაცემებიდან მზადდება;

- ფინანსური ანალიზი როგორც კომპანიის ბიზნეს-პროცესის ზოგადი კვლევის ნაწილი (კომპანიის საქმიანობის ყველა ასპექტის – წარმოების, ფინანსების, მომარაგების, გასაღებისა და მარკეტინგის, მენეჯმენტის, პერსონალის და სხვ. – კომპლექსური შეფასების მისაღებად);

- საორიენტაციო ფინანსური ანალიზი (კომპანიის პრიორიტეტული ფინანსური პრობლემის, მაგალითად, დებიტორული დავალიანების ოპტიმიზაციის პრობლემის გადასაჭრელად როგორც გარე ბუღალტრული ანგარიშგების ძირითადი ფორმების, ისე ანგარიშგების იმ მუხლების გაშიფვრის ბაზაზე, რომლებიც დაკავშირებულია მითითებულ პრობლემასთან);

- რეგულარული ფინანსური ანალიზი (გარკვეულ ვადებში, ყოველ-კვარტალურად ან ყოველთვიურად, კომპლექსური ფინანსური ანალიზის

დამუშავებული შედეგების სპეციალური წესით წარდგენის ბაზაზე კომპანიის ფინანსების ეფექტიანი მართვის განსახორციელებლად).

ფინანსური ანალიზის ფარგლებში განხორციელებული ანალიტიკური სამუშაოს საერთო სქემა და შინაარსი წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ფინანსური ანალიზის საერთო სქემა

ანალიზის მიმართულება	შინაარსი	ინფორმაციის წყარო
კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი	მოგების, როგორც ძირითადი მაჩვენებლის, დონის, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი, რომელიც ახასიათებს კომპანიის საქმიანობის შედეგს (ეფექტიანობას); მისი განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასება	მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიში
ფულადი სახსრების ნაკადის ანალიზი	ფულადი სახსრების წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების ანალიზი. მიმდინარე საქმიანობის წარმართვისთვის ფულადი სახსრების საკმარისობის შეფასება. საინვესტიციო საქმიანობის წარმართვისათვის სახსრების საკმარისობის შეფასება. ვალების გასტუმრების უნარის შეფასება.	ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში
ფინანსური მდგომარეობის ანალიზი	ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასება. ფინანსური მდგრადობის ანალიზი. ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი. საქმიანი აქტივობის და გადახდისუნარიანობის ანალიზი. მარაგების ბრუნვადობის, კრედიტორული და დებიტორული დავალიანების ანალიზი.	კომპანიის ბალანსი, ბალანსი ინდექსურ და პროცენტულ ფორმაში
საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი	მოგების, რენტაბელობისა და საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა დინამიკა საანალიზო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულისთვის	საანგარიშო კოეფიციენტები
საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის ანალიზი	კომპანიის საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასება	საანგარიშო კოეფიციენტები

2.2. მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ენერგეტიკული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის გამოიყენება

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსურ სურათს. სს „თელასი“ საქმიანობიდან გამომდინარე არის ელექტროენერგეტიკული საწარმო და მას ახასიათებს დარგობრივი ტექნოლოგიური და ორგანიზაციული თავისებურებები.

შესაძლებელია გამოვყოთ ის რამოდენიმე თვისებურება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ენერგეტიკული საწარმოების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისას:

1. ელექტროენერგეტიკული პროდუქტის წარმოებას ახორციელებენ ენერგეტიკული საწარმოები (ელექტროსადგურები), მათ შეუძლიათ გადასცენ თავისი პროდუქტი მხოლოდ ელექტროგადამცემი ხაზების მეშვეობით. ეს ვითარება, ერთის მხრივ, მკაფიოდ განსაზღვრავს საქონლის ბაზრის ტერიტორიას და მომხმარებლებს, მეორეს მხრივ, საწარმო შეზღუდულია პროდუქტის მომწოდებლის არჩევაში;

2. ენერგეტიკაში განსაკუთვრებულ პროდუქტს წარმოადგენს მომსახურეობის თვისებებით, როგორც ელექტროენერგია ასევე სიმძლავრე;

3. ენერგეტიკული საწარმო, როგორც წესი, არ წარმოადგენს ბაზრის დამოუკიდებელ სუბიექტს. ეს ვითარება განაპირობებს მაღალ მოთხოვნებს ენერგიის ხარისხსა და ენერგოიმედიანობის მიმართ;

4. ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა და გასაღება დროში უწყვეტია, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ოდენობით, შეუძლებელია მისი დასაწყობება. ელექტრომომარაგების ეფექტურობის და საიმედოობის მიზნით ეს დარგი განსაკუთრებულად მოითხოვს კოორდინაციას და რეგულირებას;

5. ელექტროენერგიის ხარისხის სტანდარტებიდან გადახრა დაუშვებელია სხვა დარგების განსხვავებით.

საბაზრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში იზრდება მეურნეობის სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელობა, და, როგორც შედეგი, იზრდება საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის როლი, რომელიც განვითარების სტრატეგიის დასაბუთების, წარმოების ეფექტიანობის გაზრდის რეზერვების გამოვლენის, საქმიანობის შედეგების შეფასების საშუალებას იძლევა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას შეისწავლოს კაპიტალის მდგომარეობა, ლიკვიდურობა, რენტაბელობა, ფინანსური მდგრადობა, გამოვლინდეს გარე და შიგა გარემოს ცვლად პირობებში საწარმოს მდგრადი ფუნქციონირებისა და განვითარების უნარი.

ფინანსური ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას გამოვლინდეს და აღმოვხვრილ იქნას ნაკლოვანებები ფინანსურ საქმიანობაში. ამის შედეგად მოიძებნოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მისი გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების რეზერვები; სამეურნეო საქმიანობის რეალური პირობებისა და საკუთარი და ნასესხი სახსრების არსებობიდან გამომდინარე პროგნოზირებულ იქნას ფინანსური შედეგები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, არა მარტო საწარმოს ხელმძღვანელები და შესაბამისი სამსახურებია დაინტერესებული, არამედ მისი დამაარსებლები, ინვესტორები – რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლის მიზნით, ბანკები, მომწოდებლები – გადასახდელების დროული შემოსვლის მიზნით, საგადასახადო უწყებები – ბიუჯეტში სახსრების შემოსვლის მიზნით.

საწარმოს კონკურენტუნარიანობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსებისა და კაპიტალის მოძრაობის სწორი მართვით.

ეკონომიკურად, განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტად ინერგება ფინანსების მართვის ინდივიდუალური, კომპანიის მოთხოვნებზე ორიენტირებული მოდელები. ამ მოდელის ფორმალიზაციის ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულებაშია საწარმოს ზომებთან: რაც უფრო მსხვილია

საწარმო, მით უფრო მეტად მის ხელმძღვანელობას შეუძლია გამოიყენოს ფინანსური ფორმალიზებული მიდგომები.

დასავლულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ დაახლოებით 50% მსხვილი და 18% საშუალო კომპანიებისა ფინანსური რესურსების მართვასა და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზში ამჯობინებს ფორმალიზებულ, რაოდენობრივ მეთოდებს დაეყრდნოს. ქვემოთ მოყვანილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების სწორედ რომ რაოდენობრივი მეთოდების კლასიფიკაცია.

ნებისმიერი მეთოდის ამოსავალი წერტილია ერთი პერიოდიდან მეორემდე საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების ცვლილების გარკვეული მემკვიდრეობითობის (ან გარკვეული მდგრადობის) ფაქტის აღიარება. ამიტომ, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პერსპექტიული ანალიზი წარმოადგენს მისი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესწავლას მომავალში ამ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით.

საპროგნოზო მაჩვენებლების ნუსხა შეიძლება არსებითად იწვლებოდეს. სიდიდეთა აღებული ნაკრები შეიძლება მიღებულ იქნას პირველი კრიტერიუმის სახით მეთოდთა კლასიფიკაციისათვის. ამრიგად, საპროგნოზო ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზირების მეთოდები შეიძლება დავყოთ:

- მეთოდებად, რომლებშიც პროგნოზირდება ერთი ან რამდენიმე ცალკეული მაჩვენებლის მონაწილება არის აუცელებელი, რომლებიც წარმოდგენენ ინტერესს და არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, გაყიდვებისგან მიღებული ამონაგები, მოგება, პროდუქციის თვითღირებულება და ა.შ.

- მეთოდებად, რომლებშიც მთლიანად ანგარიშგების საპროგნოზო ფორმები აიგება მუხლების ტიპურ ან გამსხვილებულ ნომენკლატურაში. წინა პერიოდების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშის თითოეული მუხლი (გამსხვილებული მუხლი) პროგნოზირდება. ამ

ჯგუფის მეთოდთა უდიდესი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ყოველმხრივი გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა. ანალიტიკოსი ინფორმაციის მაქსიმუმს იღებს, რომელიც მას შეუძლია სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენოს. მაგალითად, საწარმოო საქმიანობის ზრდის დასაშვები ტემპების განსაზღვრისათვის, გარე წყაროებიდან მოსაზიდი დამატებითი ფინანსური რესურსების აუცილებელი მოცულობა, ნებისმიერი ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშებისთვის და ა.შ.

- ანგარიშგების პროგნოზირების მეთოდები, თავის მხრივ, იყოფა მეთოდებად, რომლებშიც თითოეული მუხლი ცალკე პროგნოზირდება მისი ინდივიდუალური დინამიკიდან გამომდინარე, და მეთოდებად, რომლებიც ითვალისწინებენ არსებულ ურთიერთკავშირს ცალკეულ მუხლებს შორის როგორც ანგარიშგების ერთი ფორმის ფარგლებში, ისე სხვადასხვა ფორმებიდან. და მართლაც, ანგარიშგების სხვადასხვა მუხლები დინამიკაში შეთანხმებულად უნდა იცვლებოდეს, ვინაიდან ისინი ერთ და იმავე ეკონომიკურ სისტემას ახასიათებენ.


გამოყენებული მოდელის სახეობაზე დამოკიდებულებით პროგნოზირების ყველა მეთოდი შეიძლება სამ დიდ ჯგუფად დაიყოს:

1. **საექსპერტო შეფასებების მეთოდი**, რომლებიც ითვალისწინებენ ექსპერტთა მრავალსაფეხურიან გამოკითხვას სპეციალური სქემების მიხედვით და მიღებული შედეგების დამუშავებას ეკონომიკური სტატისტიკის ინსტრუმენტარიუმის მეშვეობით. ეს ყველაზე მარტივი და საკმაოდ პოპულარული მეთოდებია, რომელთა ისტორია არაერთ ათასწლეულს ითვლის. როგორც წესი, ეს უზრუნველყოფს გადაწყვეტილების ყველაზე მარტივი და სწრაფი ხერხით მიღებას. მეთოდის ნაკლია გაკეთებულ პროგნოზზე პერსონალური პასუხისმგებლობის შემცირება ან სრული არარსებობა. საექსპერტო შეფასებები მიიღება არა მარტო მაჩვენებელთა მნიშვნელობების პროგნოზირებისათვის, არამედ ანალიტიკურ მუშაობაშიც, მაგალითად, წონითი კოეფიციენტების,

საკონტროლებელი მაჩვენებლების მნიშვნელობების შესამუშავებლად და ა.შ. **2. სტოქასტური მეთოდები** როგორც პროგნოზის, ისე საკვლევ მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირის ალბათობის ხასიათს ვარაუდობენ. ზუსტი პროგნოზის მიღების ალბათობა იზრდება ემპირიული მონაცემების რიცხვის ზრდასთან ერთად. ეს მეთოდები წამყვან ადგილს იკავებენ ფორმალიზებული პროგნოზირების პოზიციის თვალსაზრისით და არსებითად ვარირებენ გამოსაყენებელი ალგორითმების სირთულის მიხედვით. ყველაზე მარტივი მაგალითია გაყიდვების მოცულობის ცვლილების ტენდენციათა კვლევა რეალიზების მაჩვენებელთა ზრდის ტემპების ანალიზის მეშვეობით. სტატისტიკის მეთოდებით მიღებული პროგნოზირების შედეგები მონაცემთა შემთხვევითი რხევების გავლენას ექვემდებარება, რამაც შეიძლება ზოგჯერ ანგარიშში სერიოზული შეცდომა გამოიწვიოს.

3. სტოქასტიკური მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ ტიპურ ჯგუფად, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული. პროგნოზირებისათვის ამა თუ იმ ჯგუფის მეთოდის შერჩევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის არსებულ საწყის მონაცემებზე:

პირველი ჯგუფი – დროში განვრცობილი რიგის არსებობა – ყველაზე ხშირად გვხვდება პრაქტიკაში: ფინანსურ მენეჯერს ან ანალიტიკოსს თავის განკარგულებაში აქვს მონაცემები მაჩვენებლის დინამიკის შესახებ, რომელთა საფუძველზე უნდა აიგოს მისაღები პროგნოზი, ანუ გამოვლენოს ტრენდი. ეს შეიძლება სხვადასხვა ხერხებით გაკეთდეს, რომელთაგან ძირითადია მარტივი დინამიკური ანალიზი და ანალიზი რეგრესიული დამოკიდებულებების მეშვეობით.



ბლოკ-სქემა:
საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების მეთოდთა კლასიფიკაცია

მეორე ჯგუფი – სივრცითი ერთიანობის არსებობას – ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო სტატისტიკური მონაცემები მაჩვენებლის შესახებ არ არსებობს ან არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მისი მნიშვნელობა რამდენიმე ფაქტორის გავლენით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზი, რომელიც წარმოადგენს მარტივი დინამიკური ანალიზის განვრცობას მრავალგანზომილებიან შემთხვევაზე.

მესამე ჯგუფი – სივრცითი-დროითი ერთიანობის არსებობას – ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) დინამიკის მაჩვენებლების მონაცემები არასაკმარისია სტატისტიკური პროგნოზების ასაგებად;

ბ) ანალიტიკოსს განზრახული აქვს გაითვალისწინოს პროგნოზში იმ ფაქტორთა გავლენა, რომლებიც ეკონომიკური ბუნებით და დინამიკით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამოსავალი მონაცემებია მაჩვენებელთა მატრიცები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს იმავე მაჩვენებელთა მნიშვნელობებს სხვადასხვა პერიოდისთვის.

დეტერმინირებული მეთოდები ვარაუდობენ ფუნქციური ან ხისტად დეტერმინირებული კავშირების არსებობას, როდესაც ფაქტორული ნიშნის თითოეულ მნიშვნელობას შედეგობრივი ნიშნის სრულიად გარკვეული არაშემთხვევითი მნიშვნელობა შეესაბამება. მაგალითის სახით, დიუპონის მოდელი, ფაქტორული ანალიზის ცნობილი მოდელის ფარგლებში რეალიზებული დამოკიდებულებების მოყვანა შეიძლება. ამ მოდელის გამოყენებით და მასში სხვადასხვა ფაქტორთა პროგნოზული მნიშვნელობების ჩასმით (მაგალითად, რეალიზებისგან მიღებული ამონაგების, აქტივების ბრუნვადობის, ფინანსური დამოკიდებულების ხარისხის და სხვ.) შეიძლება ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებლის საპროგნოზო მნიშვნელობის – საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტის გათვლა.

სხვა, საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითია მოგებებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის ფორმა, რომელიც წარმოადგენს ხისტად დეტერმინირებული ფაქტორულ მოდელის, შედეგის სახით - მოგებას, ფაქტორებთან (რეალიზაციისგან მიღებული შემოსავალი, ხარჯების მუხლები, საგადასახადო განაკვეთები და სხვ.).

აქვე აუცილებლად უნდა განვიხილოთ მეთოდთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც საწარმოს დინამიკური იმიტაციური მოდელების აგებაზეა დაფუძნებული. ასეთ მოდელებში განიხილება მონაცემები მასალების და მაკომპლექტებლების დაგეგმილი შესყიდვების შესახებ ინფორმაცია, წარმოებისა და გასაღების მოცულობების ინფორმაცია, დანახარჯების

სტრუქტურა, საწარმოს საინვესტიციო აქტივობის შესახებ მონაცემები, საგადასახადო ვალდებულებები და სხვა ინფორმაცია. ამ მონაცემების დამუშავება ერთიანი ფინანსური მოდელის ფარგლებში კომპანიის საპროგნოზო ფინანსური მდგომარეობის სიზუსტის ძალიან მაღალი ხარისხით შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების ფორმირებული მოდელები კრიტიკას ექვემდებარება ორი ძირითადი კრიტერიუმის გამო:

ა) მოდელირების აუცილებელია დამუშავდეს პროგნოზის რამდენიმე ვარიანტი, თანაც ფორმირების კრიტერიუმებით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი მათგანია საუკეთესო;

ბ) ნებისმიერი ფინანსური მოდელი გამოხატავს ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის გამარტივებულ ურთიერთკავშირს.

2.3. პროგნოზირების საბაზო მეთოდების მიმოხილვა

მარტივი დინამიკური ანალიზი - დროში განვრცობილი რიგის თითოეული მნიშვნელობა შეიძლება შედგებოდეს შემდეგი მდგენელებისაგან: ტრენდი, ციკლური, სეზონური და შემთხვევითი რხევები. მარტივი დინამიკური ანალიზის მეთოდი გამოიყენება არსებული დროში განვრცობილი რიგის ტრენდის განსაზღვრისათვის. მოცემული მდგენელი შეიძლება განიხილებოდეს რიგის მნიშვნელობების ცვლილების საერთო მიმართულობის ან რიგის ძირითადი ტენდენციის სახით. ციკლური ეწოდება რხევებს ტრენდის ხაზის მიმართ ერთ წელიწადზე მეტი პერიოდებისთვის. ასეთი რხევები ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების რიგებში ხშირად საქმიანი აქტივობის ციკლებს შეესაბამება: მკვეთრ ვარდნას, მძაფრ ზრდას და სხვა. სეზონური რხევები ეწოდება რიგის მნიშვნელობების პერიოდულ ცვლილებებს წლის განმავლობაში. ისინი შეიძლება გამოიყოს ტრენდის და ციკლური რხევების ანალიზის შემდეგ. და ბოლოს, შემთხვევითი რხევები ვლინდება ტრენდის, მოცემული მნიშვნელობისათვის ციკლური და სეზონური რხევების მოხსნის გზით.

ამის შემდეგ დარჩენილი სიდიდე არის ის მოუწესრიგებელი გადახრა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პროგნოზირების მიღებული მოდელის სავარაუდო სიზუსტის განსაზღვრისას.

მარტივი დინამიკური ანალიზის მეთოდი გამომდინარეობს იმ წინაპირობიდან, რომ პროგნოზირებადი მაჩვენებელი (Y) დროის დინების პირდაპირ ან უკუპროპორციულად იცვლება. ამიტომ Y მაჩვენებლის პროგნოზული მნიშვნელობების განსაზღვრისათვის აიგება, შემდეგი დამოკიდებულება:

$$Y_t = a + b \cdot t, \quad (1)$$

სადაც t – პერიოდის რიგითი ნომერია.

რეგრესიის განტოლების პარამეტრები (a , b) როგორც წესი, უმცირესი კვადრატების მეთოდით მოიპოვება. არსებობს ასევე ადეკვატურობის (დანაკარგების ფუნქციის) სხვა კრიტერიუმები, მაგალითად უმცირესი მოდულების მეთოდი ან მინიმუმის და მაქსიმუმის მეთოდი. ფორმულაში (1) საჭირო t მნიშვნელობის ჩასმისას შეიძლება მოთხოვნილი პროგნოზის გაანგარიშება.

ავტორეგრესიული დამოკიდებულებები - ამ მეთოდს საფუძვლად უდევს გარკვეული წინამძღვარი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკურ პროცესებს გარკვეული სპეციფიკა აქვთ. ისინი, ჯერ ერთი, ურთიერთდამოკიდებულებით და მეორე, გარკვეული ინერციულობით განისაზღვრებიან. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებლის მნიშვნელობა დროის t მომენტში გარკვეულწილად დამოკიდებულია წინამორბედ პერიოდებში ამ მაჩვენებლის მნიშვნელობაზე (მოცემულ შემთხვევაში ჩვენ სხვა ფაქტორების გავლენისგან აბსტრაგირდებით), ე.ი. პროგნოზირებადი მაჩვენებლის მნიშვნელობები წინა პერიოდებში როგორც ფაქტორული ნიშნები უნდა განიხილებოდეს.

რეგრესიული დ

ამოკიდებულების განტოლებას ყველაზე ზოგადი ფორმით აქვს შემდეგი სახე:

$$Y_t = A_0 + A_1 * Y_{t-1} + A_2 * Y_{t-2} + \dots + A_k * Y_{t-k} \quad (2)$$

სადაც: Y_t – Y მაჩვენებლის პროგნოზირებადი მნიშვნელობაა დროის t მომენტში;

Y_{t-i} – Y მაჩვენებლის პროგნოზირებადი მნიშვნელობაა დროის $(t-1)$ მომენტში;

A_i – რეგრესიის i -ური კოეფიციენტი.

საკმაოდ ზუსტი პროგნოზული მნიშვნელობები შეიძლება მიღებულ იქნას უკვე $k = 1$ შემთხვევაში. პრაქტიკაში ასევე საკმაოდ ხშირად იყენებენ განტოლება (2)-ის მოდიფიკაციას, შეჰყავთ რა მასში ფაქტორის სახით დროის t პერიოდი, ე.ი. აერთიანებენ რეგრესიის და მარტივი დინამიკური ანალიზის მეთოდებს. ამ შემთხვევაში რეგრესიის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$Y_t = A_0 + A_1 * Y_{t-1} + A_2 * t \quad (3)$$

მოცემული განტოლების რეგრესიის კოეფიციენტები შეიძლება მოიძებნოს უმცირესი კვადრატების მეთოდის მეშვეობით. ნორმალური განტოლებების შესაბამის სისტემას ექნება შემდეგი სახე:

$$\begin{aligned} j * A_0 + A_1 * \sum Y_{t-1} + A_2 * \sum t &= \sum Y_t; \\ A_0 * \sum Y_{t-2} + A_1 * \sum (Y_{t-1})^2 + A_2 * \sum (t * Y_{t-1}) &= \sum Y_t * Y_{t-1}; \\ A_0 * \sum t + A_1 * \sum (t * Y_{t-1}) + A_2 * \sum t^2 &= \sum (t * Y_{t-1}) \end{aligned} \quad (4)$$

სადაც j – Y მაჩვენებლის დინამიკის რიგის სიგრძეა, რომელიც ერთით არის შემცირებული.

რეგრესიული დამოკიდებულების განტოლების დახასიათებისათვის შეიძლება საშუალო ფარდობითი წრფივი გადახრის სიდიდის გამოყენება:

$$\varepsilon = (1/j) \sum |Y_i - Y_i^*| / Y_i \quad (5),$$

სადაც Y_i^* – Y მაჩვენებლის საანგარიშო სიდიდეა დროის i მომენტში;

$Y_i - Y$ მაჩვენებლის ფაქტიური სიდიდე დროის i მომენტში.

თუ $\varepsilon < 0,15$, ითვლება, რომ რეგრესიის განტოლება შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგნოზული მიზნებით ეკონომიკური მაჩვენებლის დროში

განვრცობილი რიგის ტრენდის განსაზღვრისათვის. გაანგარიშების სიმარტივის გამო e კრიტერიუმი საკმაოდ ხშირად გამოიყენება რეგრესიული მოდელების აგებისას.

მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზი - მეთოდი გამოიყენება რომელიმე მაჩვენებლის პროგნოზის ასაგებად მას და სხვა მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირების გათვალისწინებით. თავიდან ხარისხობრივი ანალიზის შედეგად გამოიყოფა k ფაქტორი (X_1, X_2, \dots, X_k), რომლებიც, ანალიტიკოსის აზრით, გავლენას ახდენენ პროგნოზირებადი Y მაჩვენებლის ცვლილებაზე და ყველაზე ხშირად აიგება შემდეგი ტიპის წრფივი რეგრესიული დამოკიდებულება

$$Y = A_0 + A_1 * X_1 + A_2 * X_2 + \dots + A_k * X_k \quad (6),$$

სადაც A_i - რეგრესიის კოეფიციენტებია, $i = 1, 2, \dots, k$.

რეგრესიის კოეფიციენტთა მნიშვნელობები ($A_0, A_1, A_2, \dots, A_k$) განისაზღვრება რთული მათემატიკური გათვლების შედეგად.

მოცემული მეთოდის გამოყენებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ურთიერთდაკავშირებული ნიშნების სწორი ნაკრების, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიმართულების და ამ კავშირის სახეობის პოვნას, რომელიც ყოველთვის არ არის წრფივი.

პროგნოზირება პროპორციული დამოკიდებულებების საფუძველზე -

მაჩვენებელთა პროპორციული დამოკიდებულებების მეთოდის გამოყენების საფუძველი წარმოადგენს ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ორი ძირითადი მახასიათებელი - ურთიერთკავშირი და ინერციულობა.

მოქმედი საწარმოს, როგორც სისტემის ერთ-ერთი აშკარა თავისებურებაა მისი ცალკეული ელემენტების (როგორც ხარისხობრივების, ისე ისეთების, რომლებიც რაოდენობრივ გაზომვას ექვემდებარება) ბუნებრივი წესით შეთანხმებული ურთიერთქმედება. ეს ნიშნავს იმას, რომ ბევრი მაჩვენებელი, რომც არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ფორმალურ-ბუნებრივი ალგორითმებით, მაინც შეთანხმებულად იცვლებიან დინამიკაში. აშკარაა, რომ თუ რომელიმე სისტემა წონასწორობის მდგომარეობაში

იმყოფება, მაშინ მისი ცალკეული ელემენტები ვერ იმოქმედებენ ქაოტურად, როგორც მინიმუმ ქმედებათა ვარიაბელობას გარკვეული შეზღუდვები აქვს.

მეორე მახასიათებელი – ინერციულობა – კომპანიის საქმიანობასთან მიმართებაში ასევე საკმაოდ ცხადია. მისი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ჩამოყალიბებული ტექნოლოგიური პროცესებისა და კომერციული კავშირების მქონე სტაბილურად მომუშავე კომპანიაში არ შეიძლება მოხდეს მკვეთრი „ნახტომი“ საკვანძო რაოდენობრივ მახასიათებლებთან მიმართებაში. ასე მაგალითად, თუ საერთო ამონაგებში პროდუქციის თვითღირებულების წილმა საანგარიშო პერიოდში 70% შეადგინა, როგორც წესი, ეს არ იძლევა რაიმე საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მომდევნო პერიოდში ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა არსებითად შეიცვლება.

მაჩვენებელთა პროპორციული დამოკიდებულებების მეთოდი ეყრდნობა თეზისს იმის შესახებ, რომ შეიძლება რომელიღაც მაჩვენებლის იდენტიფიცირება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის დახასიათების პოზიციიდან, რომელიც ასეთი თვისების ხარჯზე შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საბაზო სხვა მაჩვენებელთა საპროგნოზო მნიშვნელობების განსაზღვრისათვის იმ თვალსაზრისით, რომ ისინი „ებმება“ საბაზო მაჩვენებელს უმარტივესი პროპორციული დამოკიდებულებების მეშვეობით. საბაზო მაჩვენებლის სახით ყველაზე ხშირად გამოიყენება ან რეალიზებისგან მიღებული ამონაგები, ან რეალიზებული (წარმოებული) პროდუქციის თვითღირებულება.

მოცემული მეთოდის პროცედურების თანმიმდევრობა შემდეგია:

იდენტიფიცირდება საბაზო მაჩვენებელი B (მაგალითად, რეალიზებისგან მიღებული ამონაგები).

განისაზღვრება წარმოებული მაჩვენებლები, რომელთა პროგნოზირება წარმოადგენს ინტერესს (კერძოდ, მათ შეიძლება განეკუთვნებოდეს ბუღალტრული ანგარიშგების მაჩვენებლები მუხლების ამა თუ იმ ნომენკლატურაში, ვინაიდან სწორედ ანგარიშგება წარმოადგენს ფორმალიზებულ მოდელს, რომელიც საკმაოდ ობიექტურ წარმოდგენას

იმლევა კომპანიის ეკონომიკურ პოტენციალზე). როგორც წესი, ამა თუ იმ წარმოებული მაჩვენებლის გამოყოფის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა ანგარიშგებაში მისი მნიშვნელობით განისაზღვრება.

თითოეული წარმოებული P მაჩვენებლისთვის დგინდება საბაზო მაჩვენებლისგან მისი დამოკიდებულების სახე: $P = f(B)$. ყველაზე ხშირად შეირჩევა ამ დამოკიდებულების წრფივი სახე.

საპროგნოზო ანგარიშგების შემუშავებისას პირველ ყოვლისა ადგენენ მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის საპროგნოზო ვარიანტს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში იანგარიშება მოგება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშველოვანი მაჩვენებელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ბალანსისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პროგნოზირებისას პირველ რიგში მისი აქტივების მუხლების მოსალოდნელ მნიშვნელობებს ანგარიშობენ, შემდგომ პასიურ მუხლებს მოსალოდნელ მნიშვნელობებს

პროგნოზირება იმიტაციური მოდელირების მსვლელობისას ხორციელდება, როდესაც გაანგარიშებების დროს ვარირებენ საბაზო მაჩვენებლისა და დამოუკიდებელი ფაქტორების ცვლილების ტემპებით, ხოლო მისი შედეგია საპროგნოზო ანგარიშგების რამდენიმე ვარიანტის აგება. მათგან საუკეთესოს შერჩევა და შემდგომში მისი გამოყენება ორიენტირის სახით უკვე არაფორმალური კრიტერიუმების მეშვეობით კეთდება.

2.4. საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის პროგნოზის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოდელი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეიძლება აღიწეროს სხვადასხვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განტოლებებით, რომლებიც გამოხატავენ ურთიერთკავშირს საწარმოს სხვადასხვა აქტივებსა და პასივებს შორის. მათგან უმარტივესია ძირითადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განტოლება, რომელსაც აქვს შემდეგ სახე:

$$A = E + L \quad (7),$$

სადაც A – აქტივებია, E – საკუთარი კაპიტალი; L – საწარმოს ვალდებულებები.

განტოლების მარცხენა ნაწილი გამოხატავს საწარმოს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, მარჯვენა ნაწილი – მათი წარმოქმნის წყაროებს. რესურსების პოტენციალის პროგნოზირებად ცვლილებას თან უნდა ახლდეს: ა) სახსრების წყაროთა გარდაუვალი შესაბამისი ცვლილებები; ბ) შესაძლო ცვლილებები მათ თანაფარდობაში. პრაქტიკაში პროგნოზირება უფრო რთული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განტოლებების გამოყენებისა და მოცემული მეთოდის პროგნოზირების სხვა მეთოდებთან შეხამების გზით ხორციელდება.

ამასთან, ძნელია საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის როლის განსაზღვრა ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას, რომელიც იძლევა საშუალებას ობიექტურად შეფასდეს მთლიანად საწარმოს და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის შედეგები, განისაზღვროს სხვადასხვა შიგა და გარე ფაქტორების გავლენა საწარმოს საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებზე, და ასევე ჩამოყალიბდეს მისი საფინანსო პოლიტიკის საფუძველი.

ფინანსური ანალიზის საბოლოო მიზანია მენეჯერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის შემოთავაზება ოპტიმალური, რაციონალური გადაწყვეტილებების მისაღებად, იმ სტრატეგიის შესარჩევად, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება საწარმოს მომავალს. ასეთი ანალიზის პროცესში აუცილებელია გამოვლინდეს შიგა რესურსებისა და საწარმოთა შესაძლებლობების შესაბამისობა კონკურენტული უპირატესობების უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის ამოცანებთან, ბაზრის მომავალი მოთხოვნების დაკმაყოფილების ამოცანებთან. პერსპექტივაში, საწარმოს გარე მოთხოვნებისა და სტრატეგიული ამოცანებისადმი შესაბამისობა.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ჩატარების მნიშვნელობა და აუცილებლობა ასევე განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკაში მართვის ცვლილებით. თანამედროვე პირობებში, როდესაც საწარმოს შიგა

შესაძლებლობისა და რესურსების ანალიზი საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს.

ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში მისაღებია საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ფაქტორთა ნაკრები მუდმივად იცვლება გარე და შიგა გარემოებების მოქმედების ქვეშ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობის იმ მაჩვენებელთა, რესურსთა და სფეროთა კონკრეტული ჩამონათვალი, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს ანალიზს, იცვლება საწარმოს ფუნქციონირების პირობების ცვლილებებთან ერთად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიზნესის შეფასების პროცესში.

ანალიზის ჩატარების მიზანია წარსულში კომპანიის განვითარების ტენდენციის გამოვლენა, მისი დღევანდელი მდგომარეობის შეფასება, მომავალში მისი განვითარების დასაბუთება, მისი საქმიანი და ფინანსური რისკების განსაზღვრა.

კონკრეტული თარიღისთვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრა გვადლევს საშუალებას გამოვლინდეს, რამდენად სწორად მართავდა კომპანია ფინანსურ რესურსებს იმ პერიოდის განმავლობაში, როგორ იყენებდა ის ქონებას, როგორია ამ ქონების სტრუქტურა; რამდენად რაციონალურად ის უთავსებდა ერთმანეთს საკუთარ და ნასესხებ წყაროებს; რამდენად ეფექტიანად იყენებდა საკუთარ კაპიტალს და სხვა.

ფინანსური ანალიზის დასკვნები ბიზნესის შეფასებისადმი ყველა მიდგომაში გამოიყენება. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მოიცავს გასულ წლებში შესაფასებელი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშების ანალიზს მისი საქმიანობის ტენდენციების გამოვლენისა და ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით.

ფინანსური ანალიზის შედეგები უშუალო გავლენას ახდენენ საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზირებაზე; დისკონტირებული ფულადი ნაკადის მეთოდში გამოყენებული სადისკონტო განაკვეთის

განსაზღვრაზე, შეფასებისადმი შედარებით მიდგომაში გამოყენებული მულტიპლიკატორების სიდიდეზე.

2.5. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მეთოდები

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ანალიზირდება ისეთი მეთოდებისა და სამუშაო ილეთების ერთობლიობის მეშვეობით, რომელიც იძლევა ძირითადი მაჩვენებლების ურთიერთკავშირის სტრუქტურირებისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობას ცხრილში 2.

ცხრილი 2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ფარგლებში ჩატარებული ფინანსური ანგარიშების ანალიზის ძირითადი მეთოდიკები

დასახელება	შინაარსი	მნიშვნელობა
აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზი	ანგარიშების უმნიშვნელოვანესი მარეზულტირებელი მუხლების (ამონაგები, სუფთა მოგება, აქტივების ჯამები, სააქციო კაპიტალის, ნასესხები სახსრების სიდიდეები და ა.შ.) ანალიზი	სტატიკასა და დინამიკაში ანგარიშების მუხლების შეფასების საშუალებას იძლევა
ჰორიზონტალური (დროითი) ანალიზი	ანგარიშების თითოეული მნიშვნელობის შედარება წინამორბედ წელთან, მაჩვენებელთა ზრდის ტემპების გაანგარიშება (ინდექსური ანალიზი)	ანგარიშების ცალკეული მუხლების (მუხლთა ჯგუფების) ცვლილების ტენდენციების გამოვლენის საშუალებას იძლევა
ვერტიკალური (სტრუქტურული, პროცენტული) ანალიზი	ანგარიშების განმაზოგადებელი ჯამური მუხლების სტრუქტურის გაანგარიშება და დინამიკური რიგების შედგენა (პროცენტული ანალიზი)	იძლევა საშუალებას დაკვირვებულ და პროგნოზირებულ იქნას სტრუქტურული ძვრები სახსრების წყაროთა შემადგენლობაში და მათი გამოყენების მიმართულებებში
ფინანსური კოეფიციენტების (ფარდობითი მაჩვენებლების ანალიზი)	კომპანიის ანგარიშების ცალკეული მუხლების შეფარდებათა გაანგარიშება, მაჩვენებელთა ურთიერთკავშირების განსაზღვრა	იძლევა საშუალებას ჩატარდეს ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი: – წინამორბედ (წარმატებულ) წლებთან შედარებით; – დაგეგმილ მაჩვენებლებთან შედარებით

აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზი წარმოადგენს ბუღალტრული ანგარიშების მონაცემების შესწავლას: განისაზღვრება საწარმოს ქონების შემადგენლობა, ფინანსური დაბანდებების სტრუქტურა, საკუთარი კაპიტალის ფორმირების წყაროები, რეალიზებისგან მიღებული ამონაგების

მოცულობა, მოგება და ა.შ. ივარაუდება ანგარიშგების წაკითხვა, ასევე საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების შეფასება პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის; აბსოლუტურ სიდიდეებში მათი ცვლილებების შეფასება, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლთა სტრუქტურული მახასიათებლების შეფასება, სტრუქტურული ცვლილებების, დინამიკის შეფასება.

ჰორიზონტალური ანალიზი ვარაუდობს ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარებას ანგარიშგების წინამორბედ პერიოდთან, რაც იძლევა საშუალებას გამოვლინდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლთა ან მათი ჯგუფების ცვლილების ტენდენციები და ამის საფუძველზე გაანგარიშებულ იქნას ზრდის ან ნაზარდის საბაზისო ტემპები. ეს ანალიზი დაფუძნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ან მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის ყველა მუხლის განვითარების დინამიკის შედარებაზე საბაზისო წელთან მიმართებაში, რომლის ფინანსური მაჩვენებლები 100%-ის სახით მიიღება. შედეგად მიიღება ანგარიშგების ცხრილები ინდექსური ფორმით, და ჩნდება მაჩვენებელთა დინამიკის ღრმა ანალიზისა და ანგარიშგების მუხლთა ნაზარდის ტემპების განსაზღვრის შესაძლებლობა.

ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი ტარდება ჯამური, ანუ საბოლოო ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრის, ე.ი. საერთო ჯამურ მაჩვენებელში ანგარიშგების ცალკეული მუხლები ხვედრითი პროცენტული წილი (მთლიან შედეგზე ანგარიშგების თითოეული პოზიციის გავლენის გამოვლენის) მიზნით. მაგლითად, აქტივის ჯამი 100%-ის ტოლია და იანგარიშება აქტივის თითოეული მუხლის ხვედრითი წილის პროცენტული გამოხატულობა ჯამთან მიმართებაში. ანალოგიურად ხდება პასივების მუხლის ხვედრითი წილის პროცენტული გამოხატულობა მთლიან ჯამთან მიმართებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ერთ-ერთი ცნობილი და გავცელებული მეთოდია, ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება,

რომლებიც მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებს სჭირდება: აქციონერებს, ანალიტიკოსებს, მენეჯერებს, კრედიტორებს და სხვ.

ფინანსური კოეფიციენტები წარმოადგენენ ერთი ბუღალტრული მაჩვენებლის შეფარდებას მეორესთან. ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით ფინანსური მდგომარეობის ანალიზი წარმოადგენს მიმდინარე წელს კომპანიის მაჩვენებელთა წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებას, და ასევე თითოეული კოეფიციენტის მიხედვით კომპანიის განვითარების ტენდენციების განსაზღვრას, ასევე გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის საპროგნოზო შეფასებისას. მმართველობითი აღრიცხვის განსახორციელებლად, დაქვემდებარებული ფორმების შემუშავებისას თითოეულ საწარმო თვითონ ირჩევს მნიშველოვან კოეფიციენტთა საკუთარ ნაკრებს, ვინაიდან მათი რაოდენობა არ არის შეზღუდული. ფინანსური ლიტერატურაში, მიღებულია მაჩვენებელთა ოთხი ჯგუფის გაანგარიშება:

- ლიკვიდურობის მაჩვენებლები
- ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები
- საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები
- რენტაბელობის მაჩვენებლები

2.6. ენერგოგამანაწილებელი კომპანიისთვის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის გამოყენებული ფინანსური კომპლექსური მიდგომა

ფინანსური ანალიზის ძირითადი მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მკაფიო და ობიექტური ინფორმაციის მიღება. ამასთან შეიძლება განიხილებოდეს როგორც მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, ისე მისი პროექცია პერსპექტივაზე, ე.ი. მოსალოდნელი პარამეტრები.

ფინანსური მდგომარეობის დასახასიათებლად გამოიყენება ფარდობითი და აბსოლუტური მაჩვენებლები.

ფარდობით მაჩვენებლებს მიაკუთვნებენ:

- 1) გადახდისუნარიანობას, სადაც შედის:

- ა) გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი;
- ბ) ლიკვიდურობის კოეფიციენტები
- 2) ფინანსურ მდგრადობას, სადაც შედიან:
 - ა) ავტონომიის კოეფიციენტი;
 - ბ) ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
 - გ) სახსრების ნასესხები და საკუთარი წყაროების შეფარდების კოეფიციენტი;
 - დ) მატერიალური მარაგების საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა;
 - ე) მანევრულობის კოეფიციენტი;
 - ვ) ცვეთის დაგროვების კოეფიციენტი;
 - ზ) გრძელვადიანი აქტივების წილი სახსრების საკუთარ წყაროებში;
 - თ) ძირითადი სახსრების რეალური ღირებულების კოეფიციენტი სახსრების საერთო ჯამში
- 3) აქტივების გამოყენების ეფექტიანობა, სადაც შედის:
 - ა) აქტივების რენტაბელობის მაჩვენებელი, გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებელი, კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებლები,;
 - ბ) ბრუნვადობის მაჩვენებლები (განასხვავებენ მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტს, მარაგებისა და დანახარჯების ბრუნვადობას, ფულადი სახსრების ბრუნვადობას და დებიტორული დავალიანების ბრუნვა-დობას).
- აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიაკუთვნებენ:
 - 1) საწარმოს სახსრების საერთო ჯამს (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ჯამს), სადაც შედის:
 - ა) არასაბრუნავი აქტივების ჯამი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების აქტივის ნაწილის ჯამი);
 - ბ) საბრუნავი სახსრების საერთო ჯამი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების აქტივის ნაწილის ჯამი), მათ განეკუთვნება მატერიალური საბრუნავი სახსრები (ჯამი, მარაგების ქვედანაყოფი) (მომავალი

პერიოდების გასავლები და ფულადი სახსრები); მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები; დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები;

2) სახსრების წყაროთა საერთო ჯამი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ჯამი), სადაც შედის:

ა) სახსრების საკუთარი წყაროების ჯამი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პასივის ნაწილის ჯამი);

ბ) სახსრების ნასესხები წყაროების ჯამი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პასივის ნაწილის ჯამი);

3) საკუთარი საბრუნავი სახსრების არსებობა;

4) საგადასახდო სახსრების ჯამი;

5) გრზელვადიანი ვალდებულებების ჯამი;

6) დროის გარკვეულ პერიოდში (კვარტალი, წელი და ა.შ.) ფულადი სახსრების შემოდინების (შემოსვლის) ჯამი;

7) გადინების (ფულადი სახსრების გასავლის) ჯამი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მაღალი ინფლაციის პირობებში აბსოლუტური მაჩვენებლების გამოყენება საანალიზოდ გართულებულია, ამიტომ წამყვან როლს ფინანსური მდგომარეობის ანალიზში ფარდობითი მაჩვენებლები ასრულებენ.

საანალიზო საწარმოს ფარდობითი მაჩვენებლები შეიძლება შევადაროთ:

– რისკის დონის შეფასებისთვის და გაკოტრების ალბათობის შესაძლებ-ლობის პროგნოზირებისათვის არსებულ საყოველთაოდ მიღებულ ან დადგენილ ნორმებთან;

– სხვა საწარმოთა (ამავე დარგის) ანალოგიურ მონაცემებთან, რაც საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეების და მისი შესაძლო პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა;

– წინა წლების ანალოგიურ მონაცემებთან ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა ან გაუარესების გამოვლენისა და შეფასებისათვის.

კონკრეტული მიზნებისათვის შეირჩევა კონკრეტული მაჩვენებლები ფინანსური-სამეურნეო საქმიანობის ანალიზისა და დიაგნოსტიკის სახეობის, მეთოდის, დარგობრივი სპეციფიკისა გათვალისწინებით. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ფარგლებში იყენებენ კომპლექსური შეფასების პროცედურებს, რომლებიც სრულდება მულტიპლიკატორის აგებით – ე.ი. აგრეგირებული მაჩვენებლისა, რომელიც გამოყვანილია უფრო დაბალი დონის მაჩვენებელთა ბაზაზე და თავისებური ინდიკატორის როლს ასრულებს. უნდა აღინიშნოს, რომ მილტიპლიკატორთა ორი ტიპი არსებობს:

1. სტანდარტულები, რომლებიც საყოველთაოდ გამოიყენება, და სუბიექტური, რომლებიც კონკრეტული საწარმოსათვის განისაზღვრება.

სტანდარტულ მულტიპლიკატორებს განეკუთვნება დიუპონის ფართოდ ცნობილი მოდელი, რომელიც კომპანიის ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად გამოიყენება.

ასევე ცნობილი სტანდარტული მულტიპლიკატორია ალტმანის მეთოდით საწარმოს გაკოტრების დადგომის ალბათობის შეფასება. ჩვენს მიერ გამოყენებულია ოთხი მაჩვენებელი. დაფუძნებულია ფინანსური კოეფიციენტის (აქტივების რენტაბელობა და ბრუნვადობა, დავალიანების და რეინვესტირების კოეფიციენტები, აქტივების მოგება, აქტივებში საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი) ჯამის გაანგარიშებაზე, რომელთაგან თითოეულს გარკვეული ხვედრითი წონა გააჩნია, ცალკეულ მაჩვენებელს თავისი ხვედრითი წილი. ვინაიდან კოეფიციენტთა ნაკრებიც და ხვედრით წონებიც აშშ-ში 1970-1980-იან წლებში იყენებდნენ, მიღებული გაანგარიშებები და მიღებული შედეგი არ შეესაბამება თანამედროვე ქართულ რეალიებს. ამიტომ, ალტმანის მეთოდი გამოიყენება მხოლოდ საწარმოს განვითარების ტენდენციათა საერთო შეფასებისათვის.

2. სუბიექტური მულტიპლიკატორები იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნას სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც არ მიიღება

მხედველობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტანდარტული მეთოდის მიერ.

1) მატერიალური საბრუნავი სახსრების გამოყენების მაჩვენებლები.

მათ განეკუთვნება დღეებში გამოხატული მატერიალური მარაგების ბრუნვადობის მაჩვენებელი და მანევრულობის კოეფიციენტი.

დღეებში გამოხატული მატერიალური მარაგების ბრუნვადობა ესაა მატერიალური მარაგების ჯამის შეფარდება რეალიზაციის ერთდღიან ბრუნვასთან.

$$O_{\text{მა}} = \frac{\text{მატერიალური_მარაგები/გაყიდვების_მოცულობა}}{360}$$

ამრიგად, დგინდება მატერიალური მარაგების ერთ ბრუნვაზე მოსული დღეების რაოდენობა. მაჩვენებლის დაბალი მნიშვნელობა საწარმოს პროდუქციაზე მდგრად მოთხოვნილებაზე მიანიშნებს (მოწმობს). მაჩვენებლის მაღალი მნიშვნელობა შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ საწარმოს მეტი მატერიალური მარაგი აქვს, ვიდრე ეს აუცილებელია, ან რომ ის გასაღებასთან დაკავშირებულ სირთულეებს განიცდის. უფრო ზუსტი შედეგის მისაღებად ფორმულის მრიცხველში ხშირად იყენებენ გარკვეული პერიოდის მატერიალური მარაგების საშუალო სიდიდეს.

მანევრულობის კოეფიციენტი – საბრუნავი კაპიტალის (მიმდინარე აქტივების) შეფარდება საწარმოს საკუთარ კაპიტალთან:

$$K_{\text{მ}} = \frac{\text{მიმდინარე_აქტივები}}{\text{საკუთარი_კაპიტალი}}$$

მანევრულობის კოეფიციენტი გვიჩვენებს საწარმოს საკუთარი კაპიტალის წილს, რომელიც ისეთ ფორმაში იმყოფება, რომელიც ამ წილით თავისუფალი მანევრირების საშუალებას იძლევა, ზრდის რა ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაკეთობების შესყიდვებს, ცვლის მიწოდებათა ნომენკლატურას, იძენს დამატებით მოწყობილობას და ახორციელებს ინვესტიციებს სხვა საწარმოებში. მისი სიდიდის მიხედვით შეიძლება საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის შესახებ მსჯელობა, ე.ი. საწარმოს უნარის შესახებ არ აღმოჩნდეს ბანკროტის მდგომარეობაში

ხანგრძლივი ტექნიკური გადაიარაღებისა ან გასაღებასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში. რაც უფრო მაღალია მოცემული კოეფიციენტი, მით ნაკლებია რისკი, რომელთანაც დაკავშირებულია იმ მანქანებისა-დანადგარების და მოწყობილობის ფლობა, რომლებიც სწრაფად ძველდებიან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში.

2) გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები – საწარმოს გადახდისუნარიანობა მისი უნარია შეასრულოს გარე მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები თავისი აქტივების გამოყენებით. ეს მაჩვენებელი ზომავს ფინანსურ რისკს, ე.ი. გაკოტრების ალბათობას. საერთო შემთხვევაში საწარმო გადახდისუნარიანი ითვლება, თუ მისი საერთო აქტივები გარე ვალდებულებებს აღემატება. ამრიგად, რაც უფრო მეტად აღემატება აქტივები გარე ვალდებულებებს, მით უფრო მაღალია გადახდისუნარიანობა.

გადახდისუნარიანობის გასაზომად იყენებენ გადახდისუნარიანობის სპეციალურ კოეფიციენტს, რომელიც აჩვენებს საწარმოს საკუთარი (სააქციო) კაპიტალის წილს მის საერთო ვალდებულებებში:

$$K_g = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{საერთო ვალდებულებები}}$$

გადახდისუნარიანობის მაღალი კოეფიციენტი მინიმალური ფინანსური რისკისა და გარედან სახსრების მოზიდვის კარგი შესაძლებლობების მანიშნებელია. გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის ცვლილებები შეიძლება ასევე საწარმოს საქმიანობის გაფართოებასა თუ შემცირებაზე მეტყველებდეს.

გადახდისუნარიანობის განსაზღვრისას ყოველთვის აუცილებელია სახსრების წყაროთა ფინანსური სტრუქტურის გაანალიზება, ე.ი. იმ საკითხების გადაწყვეტა, თუ რა სახსრებიდან ხდება აქტივების დაფინანსება. საწარმოს ფინანსური სახსრების მდგომარეობის განმსაზღვრელმა მაჩვენებელმა მიიღო ფინანსური შეფარდების სახელწოდება (ფშ) და განისაზღვრება საკუთარი კაპიტალის სიდიდის გაყოფით გარე ვალდებულებების ოდენობაზე:

$$ფშ = \frac{\text{საკუთარი_კაპიტალი}}{\text{გარე_ვალდებულებები}}$$

თეორიულად საკუთარი კაპიტალისა და გარე ვალდებულებათა ნორმალური შეფარდება 2:1-ის ტოლია, რომლის დროსაც საერთო დაფინანსების 33% ნასესხები სახსრებიდან ხორციელდება. ფინანსური შეფარდების კერძო ვარიანტია საკუთარი კაპიტალის შეფარდება გრძელვადიანი ვალდებულებების ოდენობასთან:

$$ფშ = \frac{\text{საკუთარი_კაპიტალი}}{\text{გრძელვადიანი_ვალდებულებები}}$$

მოცემული მაჩვენებლის მაღალი მნიშვნელობა ახასიათებს გაკოტრების დაბალ რისკს და კარგ გადახდისუნარიანობას.

გრძელვადიანი ვალდებულებების დაბრუნების დონე საოპერაციო მოგების შეფარდებაა წლის განმავლობაში გადასახდელი პროცენტების ჯამთან:

$$y_{\theta} = \frac{\text{საოპერაციო_მოგება}}{\text{გადასახდელი_პროცენტები}}$$

მაღალი კოეფიციენტი კრედიტის დაბრუნების კარგ შესაძლებლობასა და გაკოტრების დაბალ ალბათობას ნიშნავს.

3) მომგებიანობის ანუ რენტაბელობის მაჩვენებლები. მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშებში გამოსახული მოგების სახეობები საწარმოს მომგებიანობის ყველაზე ზოგადი მაჩვენებლებია. მაგრამ ფინანსური ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენებოდა ყველა ის სახსრები, რომლებმაც კონკრეტული შემოსავლის მიღება უზრუნველყო. მომგებიანობის ეფექტიანი კომპლექსური გაზომვისთვის შემდეგი მაჩვენებლები გამოიყენება.

მოგება საერთო ინვესტიციებიდან გადასახადებისა და საერთო ინვესტიციების გრძელვადიან ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტების ჯამის გამოქვითვამდე არსებული მოგების შეფარდება საერთო ინვესტიციებთან (გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი), %-ში. კოეფიციენტი აჩვენებს, რამდენად ეფექტიანად

გამოიყენება ინვესტირებული სახსრები, ე.ი. რა შემოსავალს იღებს საწარმო ინვესტირებული სახსრების ფულად ერთეულზე გადაანგარიშებით:

$$m_{so} = \frac{(\text{მოგება_გადასახადების_გაქვითვამდე} + \text{გადასახდელი_პროცენტები})}{(\text{გრძელვადიანი_ვალდებულებები} + \text{საკუთარი_კაპიტალი})}$$

ზემოთ განხილული მაჩვენებელი ასევე ახასიათებს ინვესტირებული სახსრების მართვის ეფექტიანობას და ირიბად – ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და კომპეტენციას. ვინაიდან გადასახდელი გადასახადების ჯამი სახელმწიფოს მიერ დგინდება და არ არის დამოკიდებული საწარმოზე, მომგებიანობის ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია გადასახადების გამოქვითვამდე არსებული მოგება. გარდა ამისა, მოგება უნდა მოიცავდეს ხანგრძლივ ვალდებულებებზე პროცენტების გადახდის კომპენსაციას, ვინაიდან საპროცენტო განაკვეთების ოდენობა ასევე არაა საწარმოს მიერ დგინდება. მოცემული გარემოებები მოყვანილი ფორმულის მრიცხველშია გამოსახული. ზოგიერთი ფინანსური ანალიტიკოსი მოცემული ფორმულის მრიცხველში სუფთა მოგების მაჩვენებელს იყენებს, რითაც განსაზღვრავს საერთო ინვესტიციების ეფექტიანობას.

საკუთარი კაპიტალისგან მიღებული მოგება (m_{sz}) – სუფთა მოგების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან:

$$m_{sz} = \frac{\text{სუფთა_მოგება}}{\text{საკუთარი_კაპიტალი}}$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, რამდენად ეფექტიანად გამოიყენება საკუთარი კაპიტალი, ე.ი. რა შემოსავალი მიიღო საწარმომ საკუთარი სახსრების ფულად ერთეულზე გაანგარიშებით. მოცემული მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქციონერთათვის, ვინაიდან ახასიათებს მათ მიერ ჩადებული სახსრების გამოყენების ეფექტიანობას, და ასევე ძირითადი კრიტერიუმია მოცემული საწარმოს აქციათა საბირჟო კოტირებების დონის შეფასებისას.

საერთო აქტივებისგან მიღებული მოგება (m_{sa}) – სუფთა მოგების შეფარდება აქტივების საერთო ჯამთან (პროცენტებში):

$$m_{sa} = \frac{\text{სუფთა_მოგება}}{\text{საერთო_აქტივები}} \cdot 100\%$$

მაჩვენებელი ზომავს ფონდუკუგებას, ე.ი. საწარმოს ყველა აქტივის გამოყენების ეფექტიანობას, აჩვენებს რა შემოსავალია მიღებული აქტივების ფულად ერთეულზე გადაანგარიშებით. უნდა აღინიშნოს, რომ თუ აქტივებისგან მიღებული მოგება გრძელვადიანი კრედიტების საპროცენტო განაკვეთზე ნაკლებია, მაშინ სიტუაცია როგორც არახელსაყრელი უნდა განიხილებოდეს.

მთლიანი მოგების კოეფიციენტი ($კ_{გო}$) – გაყიდვების მოცულობასა და მათ თვითღირებულებას შორის არსებული სხვაობის შეფარდება გაყიდვების მოცულობასთან:

$$კ_{გო} = \frac{\text{გაყიდვების_მოცულობა} - \text{გაყიდვების_თვითღირებულება}}{\text{გაყიდვების_მოცულობა}}$$

კოეფიციენტი გვიჩვენებს მოგების ზღვარს, ე.ი. მთლიანი მოგების წილს, რომელიც რეალიზებული პროდუქციის გაყიდვების ფულად ერთეულზე მოდის. მის საფუძველზე შეიძლება იმ სუფთა მოგების სიდიდის განსაზღვრა, რომელიც რჩება რეალიზებული პროდუქციის ღირებულებიდან გადასახადებისა და კრედიტის პროცენტების გადახდაზე გაწეული ხარჯებისა და საოპერაციო ხარჯების დაფარვის გამოკლების შემდეგ. მოცემული მაჩვენებლის განსაზღვრით ადვილად შეიძლება გაყიდვების ფულად ერთეულზე მოსული პროდუქციის თვითღირებულების წილის მოძებნა. მთლიანი მოგების კოეფიციენტი გამოსახავს რამდენიმე ფაქტორის ურთიერთქმედებას, ისეთების, როგორცაა ფასები, წარმოების მოცულობა და ღირებულება. მისი გაზრდა შეიძლება იყოს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგი, ან შეიძლება ბაზრის ხელსაყრელ კონიუნქტურაზე მეტყველებდეს.

საოპერაციო ხარჯებისგან მიღებული მოგება ($მ_{სო}$) – საოპერაციო მოგების შეფარდება გაყიდვების მოცულობასთან:

$$მ_{სო} = \frac{\text{საოპერაციო_მოგება}}{\text{გაყიდვების_მოცულობა}}$$

გაყიდვების ფულად ერთეულზე მოსული საოპერაციო ხარჯების სიდიდის მაჩვენებელია.

გაყიდვებისგან მიღებული მოგება (θ_g) – სუფთა მოგების შეფარდება გაყიდვების მოცულობასთან:

$$\theta_g = \frac{\text{სუფთა_მოგება}}{\text{გაყიდვების_მოცულობა}}$$

კოეფიციენტი აჩვენებს საწარმოს მიერ მიღებული სუფთა შემოსავლის სიდიდეს რეალიზებული პროდუქციის ფულად ერთეულზე გადაანგარიშებით.

4) აქტივების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები. კოეფიციენთა მოცემულ ჯგუფს ხშირად ეფექტიანობის კოეფიციენტს უწოდებენ, ვინაიდან მათ მიერ საწარმოს აქტივების გამოყენების ეფექტიანობა იზომება. მათ შემდეგი კოეფიციენტები განეკუთვნება.

მატერიალური მარაგების ბრუნვალობა ($\theta_{\text{მ}}$) – გაყიდვების მოცულობის შეფარდება მატერიალური მარაგების სიდიდესთან, ან წელიწადში მატერიალური მარაგებით შესრულებული ბრუნების რაოდენობა:

$$\theta_{\text{მ}} = \frac{\text{გაყიდვების_მოცულობა}}{\text{მატერიალური_მარაგები}}$$

მაჩვენებლის მაღალი მნიშვნელობა ფინანსური კეთილდღეობის ნიშნად ითვლება, ვინაიდან კარგი ბრუნვალობა უზრუნველყოფს გაყიდვების მოცულობის ზრდას და ხელს უწყობს უფრო მაღალი შემოსავლების მიღებას.

მაჩვენებლის მაღალი მნიშვნელობა ფინანსური კეთილდღეობის ნიშნად ითვლება, ვინაიდან კარგი ბრუნვალობა უზრუნველყოფს გაყიდვების მოცულობის ზრდას და ხელს უწყობს უფრო მაღალი შემოსავლების მიღებას. თუ ეს კოეფიციენტი საშუალო დარგობრივ ნორმებს აღემატება (4-დან 8-მდე), მაშინ სიტუაცია გულდასმით უნდა გაანალიზდეს, ვინაიდან ეს შეიძლება ნიშნავდეს მარაგების უკმარისობასთან დაკავშირებული რისკის არსებობას, და შეუძლია გაყიდვების მოცულობის შემცირება გამოიწვიოს. ზედმეტად მაღალი ბრუნვალობა შეიძლება თავისუფალი ფულადი სახსრების უკმარისობის ნიშანი და საწარმოს შესაძლო გადახდისუნარიანობის სიგნალი გახდეს. მოყვანილი ფორმულის

მნიშვნელში უფრო ზუსტი შედეგის მისაღებად ხშირად გამოიყენება განხილული პერიოდისთვის სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე.

ფინანსური ანალიტიკოსები ზოგჯერ ფორმულის გაყიდვების მოცულობის მაჩვენებლის ნაცვლად გაყიდვების თვითღირებულების გამოყენებას ამჯობინებენ. ასეთი მიდგომის აზრი იმაშია, რომ გაყიდვების თვითღირებულება და მარაგების დონე საბითუმო ფასებში იზომება (ე.ი. არ მოიცავს გაყიდვისა და საგადასახადო წამატებას, მაშინ როცა გაყიდვების მოცულობა მოიცავს მათ). ასეთი მიდგომისას მოყვანილ ფორმულას შემდეგი სახე ექნება:

$$b_{\text{შ}} = \frac{\text{გაყიდვების_თვითღირებულება}}{\text{მატერიალური_მარაგები}}$$

მიმდინარე აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი ($კ_{\text{ა}}$) ესაა გაყიდვების მოცულობის შეფარდება საბრუნავ კაპიტალთან (მიმდინარე აქტივებთან):

$$k_{\text{ა}} = \frac{\text{გაყიდვების_მოცულობა}}{\text{მიმდინარე_აქტივები}}$$

კოეფიციენტი გვიჩვენებს, პროდუქციის რამდენი ფულადი ერთეულია რეალიზებული მიმდინარე აქტივების ფულად ერთეულზე. სუფთა საბრუნავი კაპიტალის გამოყენების კოეფიციენტი ($კ_{\text{სკ}}$) გაყიდვების მოცულობის შეფარდება სუფთა საბრუნავ კაპიტალთან (მიმდინარე აქტივები მინუს მიმდინარე ვალდებულებები):

$$k_{\text{სკ}} = \frac{\text{გაყიდვების_მოცულობა}}{\text{მიმდინარე_აქტივები} - \text{მიმდინარე_ვალდებულებები}}$$

ძირითადი სახსრების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი ($კ_{\text{სს}}$) – გაყიდვების მოცულობის შეფარდება უძრავი ქონების ღირებულებასთან. ის აჩვენებს, პროდუქციის რამდენი ფულადი ერთეულია რეალიზებული ძირითადი სახსრების ფულად ერთეულზე:

$$k_{\text{სს}} = \frac{\text{გაყიდვების_მოცულობა}}{\text{უძრავი_ქონების_ღირებულება}}$$

კოეფიციენტის სიდიდე შეიძლება შეადგენდეს 100-700% და დამოკიდებულია საწარმოს კაპიტალტევადობაზე.

საერთო აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი ($J_{სა}$) - გაყიდვის მოცულობის შეფარდება საწარმოს საერთო აქტივებთან.

$$J_{სა} = \frac{\text{გაყიდვების_მოცულობა}}{\text{საერთო_აქტივები}}$$

რაც უფრო მეტია ორი უკანასკნელი კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო ინტენსიურად და, შესაბამისად, ეფექტიანად გამოიყენება მოწყობილობა და სხვა აქტივები.

საწარმოს ფინანსური-სამეურნეო მდგომარეობის საერთო დონე შეიძლება შეფასდეს როგორც:

- ა) ხელსაყრელი;
- ბ) დამაკმაყოფილებელი;
- გ) არადამაკმაყოფილებელი;
- დ) კრიტიკული.

ხარისხობრივი შეფასებისათვის შეიძლება ისეთი მახასიათებლები იქნას გამოყენებული: მაღალი, ნორმალური და დაბალი დონე. კოეფიციენტების მნიშვნელობები ფასდება, მაგალითად, ინტერვალური ხერხით: ინტერვალში მომხდარი სიდიდეები ნორმალურად ითვლება, ხოლო ინტერვალის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილები – მაღალ ან დაბალ კოეფიციენტებად. ინტერვალის შერჩევის ბაზას საშუალო დარგობრივი, და ასევე დარგის საუკეთესო და უარესი მაჩვენებლები განსაზღვრავენ.

საწარმოს ფინანსური მდგრადობა საწარმოს ანგარიშების გარკვეული მდგომარეობა, რომელიც მის მუდმივ გადახდისუნარიანობას გარანტირებს. რომელიმე ფინანსური ოპერაციის განხორციელების შედეგად საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა შეიძლება დარჩეს უცვლელი, გაუმჯობესდეს ან გაუარესდეს.

საწარმოს ფინანსური მდგრადობა წარმოადგენს მახასიათებელს, რომელიც ხარჯებთან მიმართებაში შემოსავლების სტაბილურ გადამეტებას, ფულადი სახსრებით თავისუფალ მანევრირებას და პროდუქციის წარმოებისა და რეალიზების უწყვეტ პროცესში მათ ეფექტიან გამოყენებას მოწმობს. ის მთელი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის პროცესში

ფორმირდება და საწარმოს საერთო მდგრადობის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს.

ამა თუ იმ თარიღისთვის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გაირკვეს, რამდენადაც სწორად მართავდა საწარმო ფინანსურ რესურსებს ამ თარიღის წინამორბედი პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური რესურსების მდგომარეობა ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს და საწარმოს განვითარების მოთხოვნილებებს პასუხობდეს, ვინაიდან არასაკმარისმა ფინანსურმა მდგრადობამ შეიძლება საწარმოს გადახდისუნარობა და წარმოების განვითარებისათვის სახსრების არარსებობა გამოიწვიოს, ხოლო ჭარბმა – ხელი შეუშალოს განვითარებას, დაამძიმებს რა საწარმოს დანახარჯებს ზედმეტი მარაგებითა და რეზერვებით.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს:

- საწარმოს მდგომარეობა ბაზარზე;
- პროდუქციის წარმოება;
- საწარმოს პოტენციალის ეფექტური გამოყენება;
- გარე კრედიტორებისა და ინვესტორებისგან დამოკიდებულების დონე;
- გადახდისუნარიანი დებიტორების არსებობა;
- სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების ეფექტურობა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შეფარდებების ანალიზი საწარმოს ფინანსური მდგრადობის ტიპის განსაზღვრის საშუალებას იძლევა:

– აბსოლუტური – საკუთარი საბრუნავი სახსრები უზრუნველყოფენ დანახარჯებს და მარაგებს, წარმოებას მაღალი რენტაბელობა აქვს, არ არსებობს ფინანსური დისციპლინის დარღვევები;

– ნორმალური – დანახარჯები და მარაგები საკუთარი საბრუნავი სახსრების ჯამით და გრძელვადიანი ნასესხები წყაროებითაა უზრუნველყოფილი;

– არამდგრადი – დანახარჯები და მარაგები საკუთარი საბრუნავი სახსრების, გრძელვადიანი ნასესხები წყაროებისა და მოკლევადიანი

კრედიტებისა და სესხების ხარჯზე უზრუნველყოფილი და როგორც შედეგი ხდება ფინანსური დისციპლინის დარღვევა, შრომის ანაზღაურების შეფერხებები, ფინანსური გეგმის შეუსრულებლობა, ფულის მიღებაში შეფერხებები;

– კრიზისული – დანახარჯები არაა უზრუნველყოფილი ფორმირების წყაროებით, საწარმო გაკოტრების ზღვარზეა; ძირითადი ნიშნებია – ვადაგადაცილებული სესხების არსებობა, სავალო ვალდებულებებზე გადახდის უუნარობა.

გარდა ამისა, შეიძლება კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლების განსაზღვრა, ვინაიდან გრძელვადიან ასპექტში სწორედ მესაკუთრეთა და კომპანიის კრედიტორთა ინტერესების შეფარდება, ასევე ნასესხები სახსრებისგან საწარმოს ფინანსური პოლიტიკის დამოკიდებულების ხარისხი განსაზღვრავს მისი გადახდისუნარიანობის დონეს.

ფინანსური მდგრადობის ძირითადი მაჩვენებლები

1) ავტონომიის კოეფიციენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, რომელიც საწარმოს ფინანსურ მდგრადობას, ნასესხები სახსრებისგან დამოუკიდებლობას ახასიათებს. ის აჩვენებს საკუთარი სახსრების წილს საწარმოს ყველა სახსრების საერთო ჯამში, რომელიც ავანსირებულია მის მიერ საწესდებო საქმიანობის განსახორციელებლად.

$$K_{ავტონ} = \frac{სს}{\mathcal{X}}$$

სადაც: სს – საკუთარი სახსრები;

\mathcal{X} – ბალანსის ჯამი.

ითვლება, რომ რაც უფრო მაღალია საკუთარი სახსრების წილი, მით უფრო მეტი შანსი აქვს საწარმოს გაუმკლავდეს საბაზრო გაურკვევლობას.

ავტონომიის კოეფიციენტის მინიმალური საზღვრბლო მნიშვნელობა 0,5 დონეზე ფასდება; მისი ზრდა ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდის შესახებ მეტყველებს, ზრდის რა საწარმოს მიერ თავისი ვალდებულებების დაფარვის გარანტიებს და აფართოებს რა გარედან სახსრების მოზიდვის შესაძლებლობას.

2) ავტონომიის კოეფიციენტი ივსება საკუთარი და ნასესხები სახსრების შეფარდების კოეფიციენტით (ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტით, კ_{ფმ}), რომელიც საკუთარი სახსრების ჯამთან მოზიდულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით საწარმოს ვალდებულებების სიდიდის შეფარდების ტოლია:

$$K_{ფმ} = \frac{n + m}{სს}$$

სადაც: n – ნასესხები წყაროები;

m – მოზიდული წყაროები;

სს – საკუთარი სახსრების წყარო.

რამდენი ნასესხები სახსრები მოიზიდა საწარმომ საკუთარი სახსრების აქტივებში ჩადებულ თითოეულ ლარზე. ნომინალურად ითვლება 1:2-თან შეფარდება, რომლის დროსაც საერთო დაფინანსების მესამედი ნასესხები სახსრების ხარჯზეა. ამ მაჩვენებლისთვის ნორმალური მნიშვნელობა $K < 1$.

3) საწარმოს მინიმალური ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად საკუთარი და ნასესხები სახსრების შეფარდების კოეფიციენტი შესზღუდული უნდა იყოს მობილური და იმობილიზებული სახსრების შეფარდების მნიშვნელობით. ესაა მობილური და იმობილიზებული სახსრების შეფარდების კოეფიციენტი:

$$K_{მი} = \frac{ა_{საბ}}{ა_{არასაბ}}$$

სადაც: ა_{საბ} – საბრუნავი აქტივები;

ა_{არასაბ} – არასაბრუნავი აქტივები.

4) საწარმოო დანიშნულების ქონების კოეფიციენტი უდრის საწარმოს მთელი ქონების ღირებულებასთან ძირითადი სახსრების, კაპიტალური დაბანდებების, მოწყობილობის, საწარმოო მარაგებისა და დაუსრულებელი წარმოების ჯამის შეფარდებას:

$$K_{სდქ} = \frac{მს + კდ + სმ + დწ}{ა}$$

ნორმალური შეზღუდვა $კ > 0,5$.

5) კრედიტორული დავალიანების კოეფიციენტი ახასიათებს კრედიტორული დავალიანების წილს საწარმოს გარე ვალდებულებების საერთო ჯამში:

$$k_{კდ} = \frac{\text{კრედიტორული_დავალიანება}}{\text{გარე_ვალდებულებები}}$$

6) ფინანსური მდგრადობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ასევე მანევრულობის კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს, საწარმოს საკუთარი სახსრების რა წილი იმყოფება მობილურ ფორმაში, რომელიც ამ სახსრებით მეტნაკლებად თავისუფალი მანევრირების საშუალებას იძლევა:

$$k_{მ} = \frac{\text{საკუთარი_საბრუნავი_სახსრები}}{\text{საკუთარი_სახსრების_წყაროები}}$$

ფინანსური თვალსაზრისით კოეფიციენტის გაზრდა და მისი მაღალი დონე ყოველთვის დადებითად ახასიათებს საწარმოს: საკუთარი სახსრები ამასთან მობილურია, ხოლო მათი უდიდესი ნაწილი არა ძირითად სახსრებში ან სხვა ბრუნვისგარეშე აქტივებშია ჩადებული, არამედ საბრუნავ სახსრებში. მანევრულობის კოეფიციენტის ოპტიმალურ სიდიდედ შეიძლება ჩაითვალოს $k > 0,5$. ეს ნიშნავს, რომ საწარმოს მენეჯერმა და მესაკუთრეებმა მობილური და იმობილური ხასიათის აქტივებში საკუთარი სახსრების ჩადების პარიტეტული პრინციპი უნდა დაიცვან, რაც უზრუნველყოფს ბალანსის საკმარის ლიკვიდობას.

7) საკუთარი სახსრებით მარაგების და დანახარჯების უზრუნველყოფადობის კოეფიციენტი აჩვენებს საკუთარი საბრუნავი სახსრების წილს მარაგებისა და დანახარჯების ფორმირებისათვის სახსრების ძირითადი წყაროების საერთო ჯამში:

$$k_{უ} = \frac{\text{საკუთარი_საბრუნავი_სახსრები}}{\text{მარაგები და დანახარჯები}}$$

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და მის ფინანსურ მდგომარეობაში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე დგინდება.

ბაზრის პირობებში ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია. ინფორმაციის უტყუარ,

საიმედო, დროულ და კომპლექსურ მიღებაზე ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაა დამოკიდებული.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მომხმარებელთა ბევრი ჯგუფისთვის არის მნიშვნელოვანი. მაგრამ მომხმარებელთა თითოეული ჯგუფი სხვადასხვა მიზნებსა და ამოცანებს მისდევს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას. ვიდრე შევუდგეთ ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარებას, აუცილებელია განვსაზღვროთ, ვისი თვალთახედვით ჩატარდება შეფასება. მათ შორის, ვინც პირდაპირ ან ირიბადაა დაინტერესებული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებაში და მის ობიექტურ ანალიზში, შემდეგ ჯგუფებს გამოყოფენ:

1. საწარმოს მესაკუთრეები დაინტერესებულნი არიან წარმოებაში თავისი შენატანის შენარჩუნებასა და უფრო გამრავლებაში და მისი ფლობისგან შემოსავლების დარიცხვაში.

2. დაქირავებულ მუშაკთა შორის გამოყოფენ მენეჯერთა ჯგუფს, რომლებიც პირადად არიან დაინტერესებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და პოზიციების განმტკიცებაში მისი საქმიანობის ყველა მიმართულებით. გარდა ამისა, ხელმძღვანელები, როგორც წესი, ასევე საწარმოს თანამფლობელებიც არიან, რაც ზრდის მათ დანაკარგებს გაკოტრების შემთხვევაში. სწორედ მენეჯერებისთვის არის ხელმისაწვდომი კომპანიის მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური მოცულობა, რომლის შესწავლის საფუძველზე ხდება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ საქმიანობაში.

3. კომპანიის მუშაკებს აინტერესებს ამ ფორმაში თავისი სამუშაო ადგილის შენარჩუნების პერსპექტივები, შრომის ანაზღაურების, სოციალური შეღავათების პაკეტის ზრდა და ა.შ.

4. კრედიტორები დაინტერესებული არიან კომპანიის მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნებაში, რაც კრედიტების დროულად დაფარვის საშუალებას იძლევა.

კრედიტორთა ჯგუფს სამეურნეო საქმიანობის შემდეგი სუბიექტები მიაკუთვნება:

- სესხის გამცემი ბანკები, ფინანსური მდგომარეობის შეფასება ჩვეულებრივ დამოუკიდებლად ხორციელდება ბანკების მიერ ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა მიხედვით და ინფორმაციის დამატებითი წყაროების მოზიდვით.

- კომპანიის მიმწოდებლები ასევე წარმოადგენენ კრედიტორებს მყიდველის მხრიდან წინასწარი გადახდის არარსებობის შემთხვევაში. ეს სესხი, საბანკო სესხისგან განსხვავებით, არა ფულად, არამედ სასაქონლო ფორმით გაიცემა.

- პროდუქციის მყიდველები, რომლებიც გამყიდველ კომპანიას მისი საქონლის წინასწარი გადახდის თანხის ოდენობით აკრედიტებენ.

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები.

სახელმწიფო. მისი დაინტერესება გამოიხატება:

- რეგიონის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებასა და ზრდაში;

- საქონლის წარმოებისა და მომსახურების ზრდაში;

- ბიუჯეტში შემოსავლების შემოდიდებაზე;

- მოსახლეობის დასაქმების აუცილებელი დონის უზრუნველყოფაში.

ვინაიდან ფინანსური გეგმის შესრულება უპირატესად მთლიანად საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის შედეგებზეა დამოკიდებული, ფინანსური მდგომარეობა სამეურნეო ფაქტორთა მთელი ერთობლიობით განისაზღვრება. ამიტომ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასთან ერთად, ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში და ანგარიშგების სხვა ფორმები გამოიყენება.

ფინანსური ანალიზის ამოცანები აბსოლუტური და ფარდობითი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის კვლევის გზით დგინდება. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი შემდეგ ბლოკებად იყოფა:

1. აქტივებისა და პასივების სტრუქტურული ანალიზი.

2. ფინანსური მდგრადობის ანალიზი, რომელიც ბალანსის დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურით ხასიათდება და სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგებს გამოსახავს.

3. საწარმოს ლიკვიდურობის ანალიზი, რომლის ქვეშ მოიაზრება საწარმოს ვალდებულებების მისი აქტივებით დაფარვის ხარისხი, რომელთა ფულად სახსრებად გარდაქმნის ვადა (აქტივების ლიკვიდურობა) ვალდებულებათა დაფარვის ვადას შეესაბამება.

4. გადახდისუნარიანობის ანალიზი, ე.წ. საწარმოს უნარისა, დროულად დააკმაყოფილოს მიმწოდებელთა საგადახდო მოთხოვნები, დააბრუნოს სესხები და კრედიტები (კრედიტუნარიანობა) და სხვა გადახდები.

ინფლაციის და ძირითადი ფონდების ხშირი გადაფასებების პირობებში ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარებისას მიზანშეწონილია ფარდობითი სიდიდეების გამოყენება.

ფინანსური ანალიზის ძირითადი მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მკაფიო და ობიექტური ინფორმაციის მიღება. ამასთან შეიძლება განიხილებოდეს როგორც მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, ისე მისი პროექცია პერსპექტივაზე, ე.ი. მოსალოდნელი პარამეტრები. გამოყოფენ ფინანსურ ანგარიშგებასთან მუშაობის შემდეგ მეთოდებს:

1. ჰორიზონტალური ანალიზი, რომელიც წარმოადგენს ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარებას წინამორბედ პერიოდთან.

2. ვერტიკალური, სტრუქტურული ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს შემაჯამებელი ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურას.

3. ტრენდური ანალიზი, რომლის დროსაც ანგარიშგების თითოეულ პოზიციას რიგ წინამორბედ პერიოდთან ადარებენ და დგინდება ტრენდი, ე.ი. მაჩვენებლის დინამიკის ძირითადი ტენდენცია, რომელიც გაწმენდილია შემთხვევითი გავლენებისაგან და ცალკეული პერიოდების ინდივიდუალური თავისებურებებისაგან. ტრენდის მეშვეობით შეიძლება საპროგნოზო ანალიზის ჩატარება.

4. ფინანსური კოეფიციენტების, ფარდობითი მაჩვენებლების, მეთოდი წარმოადგენს მაჩვენებელთა ურთიერთობებისა და ურთიერთკავშირების განსაზღვრას.

5. შედარებითი, ანუ სივრცული ანალიზი – შეიძლება იყოს შიდასამეურნეო შედარება ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით, და ასევე მოცემული ფირმის მაჩვენებელთა მეურნეობათაშორისი შედარება სხვა სუბიექტებთან ან საშუალო დარგობრივ ეკონომიკურ მონაცემებთან.

6. ფაქტორული ანალიზი – მაჩვენებელზე ცალკეული ფაქტორების გავლენის ანალიზი კვლევის დეტერმინირებული ან სტოქასტური ილეთების მეშვეობით. ის შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, რომელიც ძირითადი მაჩვენებლების მდგენელ ნაწილებად დამსხვრევაში მდგომარეობს, ისე შეზრუნებული (სინთეზი), როდესაც ცალკეული ელემენტები შედეგის მაჩვენებელში ერთიანდება.

წარმოგიდგენთ ცხრილს 3, შიდა და გარე ფინანსური ანალიზის თავისებურებების.

ცხრილი 3. შიდა და გარე ფინანსური ანალიზის თავისებურებები

საკლასიფიკაციო ნიშანი	ანალიზის სახე	
	გარე	შიდა
დანიშნულება	ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასება	მოგების ზრდისა და საქმიანობის ეფექტიანობის რეზერვების ძიება
შემსრულებლები და მომხმარებლები	მესაკუთრეები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები, საგადასახადო სამსახურები, კრედიტორები, ინვესტორები და სხვ.	საწარმოს მმართველობითი პერსონალი (ხელმძღვანელები და სპეციალისტები)
საბაზო ინფორმაციული უზრუნველყოფა	ბუღალტრული ანგარიშგება	ინფორმაციის რეგლამენტირებული და არარეგლამენტირებული წყაროები
წარმოდგენილი ინფორმაციის ხასიათი	ყველასთვის მისაწვდომი ანალიზური ინფორმაცია	კონფიდენციალური ხასიათის დეტალიზირებული ანალიზური ინფორმაცია
ანალიზის მეთოდიკის უნიფიკაციის ხარისხი	პროცედურებისა და ალგორიტმების უნიფიკაციის საკმაოდ მაღალი შესაძლებლობა	ინდივიდუალური გამოგონებები
ანალიზის დროითი ასპექტი	რეტროსპექტიული და პერსპექტიული	ოპერატიული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ყველა ელემენტი ერთმანეთ-თან არის დაკავშირებული ერთ მთლიანში და წარმოადგენენ ურთიერთ-დაკავშირებული მაჩვენებლების სისტემას, რომლებიც საწარმოს წლიური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საქმიანობის შედეგებს ახასიათებენ. სხვა ფორმებში წარმოდგენილი მონაცემები ავსებენ ნაჩვენებ ცნობებს.

ფინანსური პროგნოზირების ჩასატარებლად არსებული ინფორმაციის ძირითადი წყაროა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - მისი ფინანსური მდგომარეობის გამოხატულება დროის კონკრეტულ მომენტში. ფინანსური ნაკადების მოძრაობის შედეგები აქტივების სტრუქტურაში, მიზნობრივი ფონდებისა და აქტივების ზომებში, დარიცხულ ამორტიზაციაში ფიქსირდება. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის ყველა მომხმარებლისთვის, ვინაიდან სწორედ ის აჩვენებს კომპანიის დამოკიდებულებას დაფინანსების გარე და სასესხო წყაროებისაგან, მიმწოდებლებსა და მყიდველებთან ურთიერთობათა მდგომარეობას, საინვესტიციო საქმიანობის მიმართულებას და მისი დაფინანსების წყაროებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მონაცემები მეტყველებს იმაზე, თუ რა არის კომპანიის განკავრულებაში, რა ვალები აქვს მიმწოდებლებისა და კრედიტორების წინაშე, და რას წარმოადგენს საკუთარი კაპიტალი. ნებისმიერ სამეურნეო ოპერაციას მიყვავართ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ცვლილებისკენ, და მისი ყოველდღიური შედგენის შესაძლებლობისას შეიძლება ჩატარებული ღონისძიებებისა და ფინანსური მდგომარეობის დამოკიდებულებაზე დაკვირვება. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის აქტივებისა და პასივების, ფულადი სახსრებისა და ქონების შედარებას კომპანიის ვალდებულებებთან მის მფლობელებისა და კრედიტორების მიმართ.

სს „თელასი“-ს ჰორიზონტალური ანალიზი (დროითი ან დინამიური) – ანგარიშების თითოეული პოზიციის შედარება წინამორბედ პერიოდთან ფარდობითი და აბსოლუტური სახით, რათა გაკეთდეს ლაკონური დასკვნები.

სხვა სიტყვებით, ჰორიზონტალური ანალიზი – მიმდინარე პერიოდის მაჩვენებელთა შედარება წინა პერიოდის მაჩვენებლებთან, ესე იგი დინამიკაზე, მაჩვენებლის მნიშვნელობის შემცირება ან გაზრდა დროში, დაკვირვება. აუცილებელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების აქტივის ისეთ სტრიქონებზე ყურადღების მიქცევა, როგორცაა „ფინანსური დაბანდებები“, „ფულადი სახსრები და ფულადი ექვივალენტები“ და „დებიტორული დავალიანება“. მიმდინარე პერიოდის მაჩვენებელს ვაკლებთ წინა პერიოდის მაჩვენებელს და ვუყურებთ, მუხლის გაზრდა მოხდა თუ შემცირება.

სასურველია საქმიანობის ორი და შესაძლოა რამდენიმე მიმდევრული წლის ნახვაც კი, ვინაიდან ეს უფრო თვალნათლივ გამოხატავს ზრდის ტენდენციას ან ვარდნის ტენდენციას.

ის ფაქტი, რომ ანგარიშგებაში, ფულის გარდა, ასევე ფინანსური დაბანდებებიც არსებობს, მეტყველებს კომპანიაში თავისუფალი ფულადი, ყველაზე ლიკვიდური, სახსრების არსებობაზე და მომუშავე ფინანსური პოლიტიკის არსებობაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ფული არ დევს უძრავი ტვირთის სახით ანგარიშსწორების ანგარიშზე – ის მუშაობს, ინვესტირდება რაღაც პროექტებში.

ფულადი სახსრების ჯამის შემცირება, როგორც წესი, გადახდის-უნარიანობის გაუარესებაზე მეტყველებს, თუმცა ყველაფერი როდი არის ესოდენ ერთმნიშვნელოვანი.

ამიტომ, ამის შემდეგ უნდა ვნახოთ, საიდან გაჩნდა ფული. ამაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პასივი მოგვიყვება. ძირითადად ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთ მუხლებს, როგორცაა კრედიტორული დავალიანება და ნასესხები სახსრები. გაცილებით უფრო იშვიათად

ფულადი სახსრების ზრდას იწვევს შემდეგი მუხლების ზრდა: საწესდებო კაპიტალი, მომავალი პერიოდების შემოსავლები, გაუნაწილებელი მოგება ან დაუფარავი ზარალი.

პასივის მუხლების დინამიკა გვიჩვენებს, საიდან ჩნდება აქტივები, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო ფულადი სახსრები. განსაკუთრებით საინტერესოა ამ რაკურსით მყიდველებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების დამკვეთთა შემონატანების მუხლი, კრედიტორული დავალიანების მუხლის გაშიფვრა, სწორედ ასეთი შემონატანები ხომ უნდა იყოს ძირითადად კომპანიათა უმეტესობის საქმიანობის დაფინანსების წყაროები. ამ მაჩვენებლის შემცირება მეტყველებს როგორც ნაკლებ ავანსირებაზე, ისე დაკვეთების შემცირებაზე მთლიანად. ამის გაგება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსში, გადახდისუნარიანობის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებით.

ფულის შემოსვლის შესახებ საკითხის ფარგლებში აუცილებელია ნასესხები სახსრების სტრიქონის განხილვა – სესხების ზრდის ან შემცირების დინამიკის დანახვა. იძლევა თუ არა კომპანია სესხებს თუ მხოლოდ აგროვებს მათ? მაგალითად, თუ საანგარიშსწორებო ანგარიშზე ფულის ნარჩენების მკვეთრი შემცირება მოხდა, ეს სულაც არ ნიშნავს გადახდისუნარიანობის დაცემას. შესაძლოა, ეს ერთდროულად მსგავსი თანხით შემცირდა პასივში ნასესხები სახსრების ნარჩენები, ანუ კომპანიამ უბრალოდ დააბრუნა სესხი.

კარგი გადახდისუნარიანობისთვის პრიორიტეტულია გრძელვადიანი პასივების არსებობა. ესე იგი ისეთების, რომლებზეც უახლოეს დროში არ უნდა იქნეს გადატანილი საბრუნავი საშუალებები. აღვნიშნავთ, რომ ანგარიშგებაში აქტივებისა და პასივების წარმოდგენა ბრუნვის (დაფარვის) ვადაზე დამოკიდებულებით მათი მოკლევადიანებსა და გრძელვადიანებზე დაყოფით არსებითია ფინანსური ანალიზის ჩატარებისათვის. ამ დებულების დარღვევით ანგარიშგების შედგენამ შეიძლება ანალიზის შედეგების დამახინჯება გამოიწვიოს.

შედარების მიზნით, ანგარიშობენ აბსოლუტურ და ფარდობით ცვლილებებს, ანუ, გადახრებს. სახელმძღვანელოებში ანალიზის ქვეშ სწორედ ცვლილებების გაანგარიშება, ანალიზური ცხრილების შევსება მოიაზრება. ანალიზი თავისი არსით მიღებული მნიშვნელობების შეფასებას წარმოადგენს. შეფასებისადმი ფორმალური მიდგომები ზოგჯერ კი გვხვდება, მაგრამ, როგორც წესი, ისინი უსარგებლოა გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად. სერიოზული შეფასება, პირველ რიგში, ანალიზის მიზნებზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ის ითვალისწინებს გამოსაკვლევი კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას, გარემოს თავისებურებებს, მის თანამედროვე მდგომარეობას.

ანალიზის ტექნოლოგია საკმაოდ მარტივია: თანმიმდევრულად მეორე და მესამე სვეტში ათავსებენ მონაცემებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების ძირითადი მუხლების მიხედვით წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის. დასავლურ წარმოდგენებში ხშირად წლის დასასრულის მონაცემებს თავში ათავსებენ. შემდეგ მეოთხე სვეტში იანგარიშება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების თითოეული მუხლის მნიშვნელობის აბსოლუტური გადახრა. ბოლო სვეტში განისაზღვრება თითოეული მუხლის ფარდობითი ცვლილება პროცენტებში. ანალოგიური ანალიზი საწარმოს მოგების შესახებ ანგარიშის საფუძველზე ტარდება.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში 4 წარმოგენილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი.

სს „თელასი“-ს საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს, მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე - ფინანსური ანგარიშების **საერთაშორისო სტანდარტების (ფასს)** შესაბამისად.

ნაშრომში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშება მომზადებულია გამოცემული ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების

საბჭოს (IASB) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება არის მომზადებული პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. სს “თელასი“-ს ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე.

**ცხრილი 4. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-
ჰორიზონტალური ანალიზი**

ათასი ლარი

ჰორიზონტალური ანალიზი					
ჰორიზონტალური ბალანსის მუხლები	წლები			გადახრა %	
				წლები	
	2017	2016	2015	2016/2017	2016/2015
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	231 669,	199 612,	179 446,	16,06	11,24
არამატერიალური აქტივები	1 700,00	1 849,00	1 390,00	(8,06)	33,02
რესტ-ლი სავაჭრო დებ-ლი დავ-ნევა					
გრძელვადიანი ნაწილი	3 157,00	3 819,00	4 644,00	(17,33)	(17,76)
გაცემული სესხები	105,00	0,00	0,00		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		105,00	0,00	(100,00)	
სულ გრძელვადიანი აქტივები	236 631,	205 385,	185 480,	15,21	10,73
მიმდინარე აქტივები					
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8 710,00	8 941,00	9 005,00	(2,58)	(0,71)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალ- ბა	51 871,	52 121,	49 337,	(0,48)	5,64
გადახდილი ავანსები	3 256,00	1 728,00	1 653,00	88,43	4,54
წინასწარ გადახ-ი მოგების მიმ. გადასახ- ი	0,00	0,00	1 744,00		(100,00)
ფულადი სახ-ბი, რომელთა გამოყ-ბაც შეზღ	1 497,00	2 419,00	2 939,00	(38,11)	(17,69)
ფულადი სახ-ბი და ფულადი სახსრების ექვ	919,00	447,00	195,00	(8,28)	39,80
სულ მიმდინარე აქტივები	82 253,	83 656,	77 873,	(1,68)	7,43
სულ აქტივები	318 884,	289 041,	263 353,	10,32	9,75
კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	112 429,	112 429,	112 429,	0,00	0,00
ემისიის საფ-ზე მიღებული შემოსავალი					
დამატებითი შენატანები კაპიტალში	25 747,	25 747,	25 747,	0,00	0,00
სხვა რეზერვები	(126,00)	(1,00)	117,00	(12500,00)	(100,85)
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმ-ლი ზარალი)	15 396,	13 084,	(25 754,)	17,67	(150,80)
სულ საკუთარი კაპიტალი	153 446,	151 259,	112 539,	1,45	34,41
გრძელვადიანი ვალდებულებები					
პროცენტული სესხები და თამასუქები	37 066,	15 612,	18 935,	137,42	(17,55)
გადავადებული საგადასახადო ვალ-ბი	0,00	0,00	4 848,00		(100,00)
ანარიცხები სამართლებივ სარჩელებზე	2 116,00	3 247,00	3 092,00	(34,83)	5,01

შრომითი საქ-ბის შემდგომი გასამრ-ბი	1 546,00	1 270,00	1 016,00	21,73	25,00
სახელმწიფო გრანტები/სუბსიდიები	1 134,00	1 364,00	1 878,00	(16,86)	(27,37)
სხვა ვალდებულებები	886,00	631,00	74,00	40,41	752,70
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	42 748,0	22 124,0	29 843,0	93,22	(25,87)
მიმდინარე ვალდებულებები					
პროცენტური სესხები და თამასუქები	14 340,	5 436,	4 941,	163,80	10,02
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალ-ბა	77 174,	83 429,	89 717,	(7,50)	(7,01)
მიღებული ავანსები	14 205,	10 242,	8 963,	38,69	14,27
სახელმწიფო გრანტები/სუბსიდიები	498,00	468,00	447,00	6,41	4,70
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამ-ბი	84,00	76,00	64,00	10,53	18,75
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	15 438,	15 028,	14 696,	2,73	2,26
გადასახდელი დივიდენდები	799,00	876,00	2 094,00	(8,79)	(58,17)
სხვა ვალდებულებები	65,00	18,00	19,00	261,11	(5,26)
სულ მიმდინარე ვალდებულებები	122 690,	115 658,	120 941,	6,08	(4,37)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	318 884,	289 041,	263 323,	10,32	9,77

შემოთავაზებულ გაანგარიშებიდან ჩანს რომ, შემცირდა 1 403 000 ლარით, კომპანიის საბრუნავი აქტივები ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების გამო.

არის გაზრდილი 31 246 000 ლარით, საზოგადოების არასაბრუნავი აქტივები ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის შედეგად.

რაც შეეხება კომპანიის ვალდებულებებს, ვალდებულობა კრედიტორული დავალიანების მიხედვით შემცირდა მმართველობითი და ტექნიკური დავალიანების დაფარვის შედეგად 19 415 000 ლარის ოდენობით Silk Road Holdings B.V. და ასევე სხვა დავალიანების დაფარვის შედეგად.

უნდა აღვნიშნოთ რომ, სს „თელასი“-ს აქტივების საერთო ღირებულებამ 2017 წლის ბოლოს შეადგინა 318 884 000 ლარი. საანგარიშო წლის განმავლობაში ჩანს აბსოლუტურ გამოხატულებაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 29 843 000 ლარით. ძირითადად ეს ზრდა მიღწეულია ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე. 2017 წლის ბოლოს გაიზარდა 31 246 000 ლარის ოდენობით არასაბრუნავი აქტივების წილი, ძირითადად ამაზე იქონია გავლენა ძირითადი საშუალებების ზრდა და 2017 წლის ბოლოს შეადგინა 236 631 000 ლარი. რაც შეეხება საბრუნავ აქტივებს, მათი

ოდენობა შემცირდა 1 403 000 ლარით და შეადგინა 2017 წლის ბოლოს შეადგინა 82 253 000 ლარი, გავლენა მოახდინა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებამ.

სს „თელასი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი (სტრუქტურული) - საბოლოო ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა, მთლიანად შედეგზე ანგარიშგების თითოეული პოზიციის გავლენის გამოვლენით. ვერტიკალური ანალიზის ტექნოლოგია მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოს აქტივების საერთო ჯამი, ფუნანსური მდგომარეობის ანგარიშგების და ამონაგები, მოგების შესახებ ანგარიშის ანალიზისას, ასი პროცენტის სახით მიიღება, და ფინანსური ანგარიშის თითოეულ მუხლს წარმოადგენენ მიღებული საბაზო მნიშვნელობის საპროცენტო წილის სახით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი გვიჩვენებს, რის გამო მოხდა განსახილველ პერიოდში ანგარიშუნარიანობის ცვლილებები საანალიზო კომპანიაში. ვერტიკალური ანალიზი წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საერთო ჯამში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საანალიზო მუხლის წილის გაანგარიშებაში.

ისევე, გადახდისუნარიანობის შესაფასებლად აუცილებელია ისეთი მუხლების წილზე ყურადღების მიქცევა, როგორცაა „ფინანსური დაბანდებები“, „ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები“ და „დებიტორული დავალიანება“, და ასევე დროს პასივების სტრუქტურის ცვლილებაზე ყურადღების გაჩერება, რომლის შესწავლის შედეგების მიხედვით შეიძლება დასკვნის გაკეთება ცვლილებების მიზეზების, მათ შორის გადახდისუნარიანობის შესახებ.

წილის გაანგარიშებისთვის ვიღებთ, მაგალითად, „ფულადი სახსრებისა და ფულადი ეკვივალენტების“ მუხლის მაჩვენებელს, ვყოფთ ბალანსის ვალუტაზე და ვამრავლებთ 100%-ზე. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, აქტივების რა წილს იკავებს ჩვენთან ფულადი სახსრები.

შედარებით ბაზას პროცენტული ანალიზის დროს წარმოქმნიან წინამორბედი პერიოდების მაჩვენებლები ან სხვა კომპანიების მაჩვენებლები, როგორც წესი, იმავე დარგიდან. შედარების ჩასატარებლად აუცილებელია კომპანიათა ზომებში, ბრუნვაში, არსებული შეუსაბამობების მოცილება, ამისათვის მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის მაჩვენებელთა მნიშვნელობებს გამოსახავენ გაყიდვების მოცულობის პროცენტებში, ხოლო მუხლებს – ბალანსის ჯამის პროცენტებში.

ცხრილში 5 წარმოდგენილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების ვერტიკალური ანალიზი.

ცხრილი 5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების-ვერტიკალური ანალიზი

ათასი ლარი

ვერტიკალური ანალიზი						
ვერტიკალური ბალანსის ანალიზის მუხლები	წლები			მუხლის %		
	2017	2016	2015	2017	2016	2015
აქტივები						
გრძელვადიანი აქტივები						
ძირითადი საშუალებები	231 669,0	199 612,0	179 446,0	72,65	69,06	68,14
არამატერიალური აქტივები	1 700,00	1 849,00	1 390,00	0,53	0,64	0,53
რესტრუქტურისებული სავაჭრო დებ და ვ						
გრძელვადიანი ნაწილი	3 157,00	3 819,00	4 644,00	0,99	1,32	1,76
გაცემული სესხები	105,00	0,00	0,00	0,03	0,00	0,00
სხვა გრძელვადიანი აქტივები		105,00	0,00	0,00	0,04	0,00
სულ გრძელვადიანი აქტივები	236 631,0	205 385,0	185 480,0	74,21	71,06	70,43
მიმდინარე აქტივები						
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8 710,00	8 941,00	9 005,00	2,73	3,09	3,42
სავაჭრო და სხვა დებ-ლი დავალიანება	51 871,00	52 121,00	49 337,00	16,27	18,03	18,73
გადახდილი ავანსები	3 256,00	1 728,00	1 653,00	1,02	0,60	0,63
წინასწარ გადა-ლი მოგების მიმ-რე გადასად	0,00	0,00	1 744,00	0,00	0,00	0,66
ფულადი სახ-ბი, რომელთა გამოყ-ც შეუ-ია	1 497,00	2 419,00	2 939,00	0,47	0,84	1,12
ფულადი სახ-ბი და ფულადი სახ-ბის ექვ	16 919,00	18 447,00	13 195,00	5,31	6,38	5,01
სულ მიმდინარე აქტივები	82 253,00	83 656,00	77 873,00	25,79	28,94	29,57
სულ აქტივები	318 884,0	289 041,0	263 353,0	100,00	100,00	100,00

კაპიტალი და ვალდებულებები						
საკუთარი კაპიტალი						
სააქციო კაპიტალი	112 429,0	112 429,0	112 429,0	35,26	38,90	42,70
ემისიის საფუძველზე მიღ-ი შემოს-ლი						
დამატებითი შენატანები						
კაპიტალში	25 747,00	25 747,00	25 747,00	8,07	8,91	9,78
სხვა რეზერვები	(126,00)	(1,00)	117,00	-0,04	0,00	0,04
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმ-ლი ზარალი)	15 396,00	13 084,00	(25754,00)	4,83	4,53	(9,78)
სულ საკუთარი კაპიტალი	153 446,0	151 259,0	112 539,0	48,12	52,33	42,74
გრძელვადიანი ვალდებულებები						
პროცენტული სესხები და თამასუქები	37 066,00	15 612,00	18 935,00	11,62	5,40	7,19
გადავადებული საგადასახადო ვალ-ბი	0,00	0,00	4 848,00	0,00	0,00	1,84
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	2 116,00	3 247,00	3 092,00	0,66	1,12	1,17
შრომითი საქმი-ის შემდგომი გასამრჯ-ბი	1 546,00	1 270,00	1 016,00	0,48	0,44	0,39
სახელმწიფო						
გრანტები/სუბსიდიები	1 134,00	1 364,00	1 878,00	0,36	0,47	0,71
სხვა ვალდებულებები	886,00	631,00	74,00	0,28	0,22	0,03
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	42 748,00	22 124,00	29 843,00	13,41	7,65	11,33
მიმდინარე ვალდებულებები						
პროცენტული სესხები და თამასუქები	14 340,00	5 436,00	4 941,00	4,50	1,88	1,88
სავაჭრო და სხვა კრედ-ლი						
დავალიანება	77 174,00	83 429,00	89 717,00	24,20	28,86	34,07
მიღებული ავანსები	14 205,00	10 242,00	8 963,00	4,45	3,54	3,40
სახელმწიფო						
გრანტები/სუბსიდიები	498,00	468,00	447,00	0,16	0,16	0,17
შრომითი საქმ-ის შემდგომი გასამრჯ-ბი	84,00	76,00	64,00	0,03	0,03	0,02
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	15 438,00	15 028,00	14 696,00	4,84	5,20	5,58
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	799,00	876,00	2 094,00	0,25	0,30	0,80
გადასახდელი დივიდენდები	65,00	18,00	19,00	0,02	0,01	0,01
სხვა ვალდებულებები	87,00	85,00	0,00	0,03	0,03	0,00
სულ მიმდინარე ვალდებულებები	122 690,0	115 658,0	120 941,0	38,47	40,01	45,93
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	318 884,0	289 041,0	263 323,0	100,00	100,00	100,00

ზემოთ მოყვანილი გაანგარიშებიდან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი წარმოადგენს ეფექტიან საშუალებას საწარმოს მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის გამოსაკვლევად. ამ ანალიზის საფუძველზე გაკეთებული რეკომენდაციები კონსტრუქციულ ხასიათს ატარებენ და შეუძლიათ საწარმოს მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება, თუ მოხერხდება მათი დანერგვა განხილულ კომპანიაში.

ანალიზის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ილეთები შეიძლება რეალიზებულ იქნეს ე.წ. შედარებით ანალიზურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ცალკეული მუხლების გაერთიანების და საანგარიშო პერიოდში მისი სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლებით შევსების ხარჯზე მიიღება. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები ანალიზის მიზნების თანახმად, ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ჯგუფდება. აქტივების კლასიფიცირება, როგორც წესი, ლიკვიდურობის დონის მიხედვით ხდება.

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები - ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობა 2017 წლის განმავლობაში, რომლისთვისაც საჭირო არ გამხდარა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების გამოყენება:

527 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებებიდან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში გადატანა დემონტირებული ძირითადი საშუალებების;

1,721 ლარის მომხმარებლებისგან სამართლიანი ღირებულების ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღება.

2017 წელს სს „თელასი“ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები.

უნდა ავლნიშნოთ რომ, მიმდინარე ვალდებულებები აღემატებოდა მიმდინარე აქტივებს 40 437 ლარით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წელს, საერთო მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანიების მიმართ საზოგადოებამ დაფარა დავალიანება 19 415 000 ლარის ოდენობით. ვადაგასული და დაუფარავი დავალიანება ფიქსირდებოდა 2000 წლიდან.

ავლნიშნოთ ის ფაქტი რომ, კომპანიას ნება დართეს არ გადაეხადა მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანიებისთვის 2017-2015 წლებში ელექტროენერჯის მიწოდებისთვის სრული თანხის ოდენობა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანიების მიმართ ვადაგასული დავალიანების ოდენობა შეადგენდა 21 636 000 ლარს.

ცხრილში 6 წარმოგიდგენთ სრული შემოსავლების ანგარიშის, რომელშიც აგებულია ხარჯების შინაარსის მიხედვით.

ცხრილი 6. სრული შემოსავლების ანგარიშების ანალიზი

ათასი ლარი

სრული შემოსავლების ანგარიშის მუხლები	წლები			გადახრა %	
				წლები	
	2017	2016	2015	2016/2017	2015/2016
შემოსავალი გაყიდვებიდან	420 338,00	395 872,00	313 247,00	6,18	26,38
სხვა შემოსავლები	18 838,00	16 067,00	14 671,00	17,25	9,52
შესყიდული ელექტროენერჯია ხელფასები და სხვა გადახ-ბი თანამ-სთვის	(321791,00)	(292731,00)	(226410,00)	9,93	29,29
ცვეთა და ამორტიზაცია	(56219,00)	(52687,00)	(52063,00)	6,70	1,20
გადასახადები მოგების გარდა შექმნილი და გაუქ-ლი რეზ-ბი წმინდა	(11190,00)	(9801,00)	(9161,00)	14,17	6,99
გადასახადები მოგების გარდა შექმნილი და გაუქ-ლი რეზ-ბი წმინდა	(2931,00)	(2737,00)	(2409,00)	7,09	13,62
გაუფასურების ხარჯი	269,00	684,00	(4915,00)	(60,67)	(113,92)
სხვა საოპერაციო ხარჯი	0,00	0,00	0,00		
სხვა საოპერაციო ხარჯი	-18 676,00	-18 202,00	-16 948,00	2,60	7,40
საოპერაციო საქ-ან მიღებული მოგება	28 638,00	36 465,00	16 012,00	(21,46)	127,74
ფინანსური საქ-ან მიღებული შემოსავალი	921,00	1 927,00	1 801,00	(52,21)	7,00
ფინანსური საქ-ან გაწეული დანახარჯი	(4717,00)	(1221,00)	(1433,00)	286,32	(14,79)
კურსთაშორის სხვა-დან მიღ-ლი ზარ,წმინდა	(416,00)	(3077,00)	(9213,00)	(86,48)	(66,60)
მოგება მოგების გადასახადით დაბ-დე	24 426,00	34 094,00	7 167,00	(28,36)	375,71
მოგების გადახდის სარგებელი /ხარჯი	(2114,00)	4 744,00	(596,00)	(144,56)	(895,97)
წლის მოგება	22 312,00	38 838,00	6 571,00	(42,55)	491,05
სხვა სრული (ზარ)/შემ-ბი, რომლ-ც არ უნდა					

იქნას კლასიფიკაციის მითითებით ან ზარ მომ-ნო პერ-ში:					
აქტუალური (ზარ)/მოგება დადგენილ შენატ-ან	(125,00)	(138,00)	223,00	(9,42)	(161,88)
პროგრამაზე მოგების გადასახადის ეფექტი	0,00	20,00	(33,00)	(100,00)	(160,61)
სხვა სრული (ზარალი)/მოგება წლის განმავლობაში, მოგების გად-ის გამოკ-ით	-125,00	-118,00	190,00	5,93	(162,11)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის გან-ში	22 187,00	38 720,00	6 761,00	(42,70)	472,70
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე	0,00020	0,00034	0,00006	(41,18)	466,67

ჩატარებული გაანგარიშებიდან შეგვიძლია დავადგინოთ რომ, 2017 წელს მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 420 338 000 ლარი ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად. რაც 2016 წელთან შედარებით 24 466 000 ლარით მეტია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპანიის ამონაგები 2017 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. ამონაგები კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვის შედეგად არის გაზრდილი 3 242 000 ლარის ოდენობით;

2. ამონაგები კომერციულ და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტრო-ენერჯის გაყიდვების შედეგად არის გაიზრდილი 20 671 000 ლარის ოდენობით;

3. ამონაგები ელექტროენერჯის სახელმწიფო სექტორზე გაყიდვების შედეგად არის გაზრდილი 468 000 ლარის ოდენობით;

4. ამონაგები ელექტროენერჯის ტრანზიტიდან არის გაზრდილი 85 000 ლარის ოდენობით;

ამონაგები არის გაიზრდილი 20,671,000 ლარის ოდენობით, კომერციულ და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვების შედეგად.

სს „თელასი“ ასევე უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებას, ელექტროენერჯის შესყიდვისა და განაწილების გარდა.

მიღებული ამონაგები წარმოადგენს შემოსავლებს, ელექტროენერჯის ტრანზიტის შედეგად, რომელსაც სს „თელასი“ იღებს ელექტროენერჯის ტრანზიტისთვის. კომპანიის ქსელის საშუალებით მომხმარებლები ყიდულობენ ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებას. სემეკ-ის N 26 დადგენილების თანახმად, ტრანზიტზე ტარიფი შეადგენდა 0,00705-დან 0,05567 ლარი/მგვტ*სთ-მდე 2015 წლის 3 იანვრიდან. სემეკ-ის N 38 დადგენილების თანახმად, ტრანზიტზე ტარიფები გაიზარდა და შეადგინა 0.01270-დან 0.05686 ლარი/მგვტ*სთ-მდე 2017 წლის 1 იანვრიდან. სემეკ-ის № 48 დადგენილების თანახმად, ტარიფები ტრანზიტზე გაიზარდა და შეადგინა 0.02058-დან 0.06472 ლარი/მგვტ*სთ-მდე 2018 წლის 1 იანვრიდან [129].

რაც შეეხება, ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს, 2017 წელს სს „თელასი“-ს მოგებამ შეადგინა 22 312 000 ლარის ოდენობით. შედარებით კომპანიის გეგმიურ მოგებასთან 21 883 000 ლარის ოდენობით.

ავლნიშნოთ ის ფაქტი რომ ფინანსურ კოეფიციენტებს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური მენეჯმენტისათვის, იმდენად, რომ ამ შეფასებების მიხედვით, მენეჯმენტი განსაზღვრავს ფინანსური ანალიზის მიზნობრივ ორიენტირებს, იღებს შესაბამის მმართველობით გადაწყვეტილებას. ფინანსურ ანალიზში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული კოეფიციენტების ჩამონათვალი ან მათი გამოთვლის სტანდარტული ხერხი. სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოთავაზებულია ამ კოეფიციენტების დაჯგუფების რამდენიმე განსხვავებული ვერსია [28, 29, 83, 91, 92].

გამოყენებულ ფინანსურ კოეფიციენტებს, რომლებიც გვიჩვენებენ ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ამ დამოკიდებულებათა გავლენას საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე.

ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია დარგების მიხედვით განსხვავებული არ არის, თუმცა ამ კოეფიციენტების მნიშვნელობა დარგების მიხედვით განსხვავდება.


წარდგენილ ნაშრომში, ყველა ფინანსური მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშების მონაცემების თანახმად.

მიგვაჩნია, რომ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგად პრაქტიკაში არსებული ფინანსური მაჩვენებლები სისტემატიზებულ უნდა იქნეს შემდეგი სახით, გაანგარიშებები და გათვლები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში და ნახაზებში:

სს „თელასი“-ს ლიკვიდურობის მაჩვენებლები

ცხრილი 7. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი

#	მაჩვენებელი	გაანგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	ფულადი მუხლები /მოკლევადიანი ვალდებულებებზე	0,4	0,4	0,35	0,13	0,18	0,15




ნახაზი 1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მაჩვენებლის ნორმატიული დიაპაზონი შეადგენს 0,2-0,5

ცხრილიდან ჩანს რომ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,18-დან 0,15-მდე 2017 წლის შედეგების მიხედვით. ეს იმის ნიშანია, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, ამ ფაქტზე იმოქმედა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებამ და ასევე მოკლევადიანი

ვალდებულებების ზრდა. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის შემცირებაზე გავლენა მოახდინა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია“-სთან 30.03.2017 წლის საკრედიტო ხაზის გახსნაზე, ახალი საკრედიტო ხელშეკრულების დადებით, რომლის მიმდინარე ნაწილი, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 9 000 000 ლარს.

ცხრილი 8. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი

#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი (მიმდინარე აქტივები-მარაგები) /მოკლევადიან ვალდებულებებზე	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	სწრაფი ლიკვიდურობის კოეფ		0,68	0,74	0,8	0,57	0,65	0,6




ნახაზი 2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მაჩვენებლის ნორმატიული დიაპაზონი შეადგენს 0,8-1

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა შეადგინა 0,60 31 დეკემბრის 2017 წლის მდგომარეობით. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირება, ეს მოვლენა გომოწვეული იყო ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით.

ცხრილი 9. მიმდინარე ლიკვიდურობის მაჩვენებელი

#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	მიმდინარე ლიკვიდურობის მაჩვენებლები(ჯერ)	მიმდინარე აქტივები/მოკლევადიან ვალდებულებებზე	0,61	0,78	0,84	0,89	0,64	0,72



ნახაზი 3. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მაჩვენებლის ნორმატიული დიაპაზონი შეადგენს 1-2

ცხრილიდან ჩანს რომ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,72-დან 0,67-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს, კომპანიის უნარის შემცირებას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის მაჩვენებელი შემცირება, ეს მოვლენა განპირობდა იმ ფაქტმა რომ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შემცირდა, მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით, საკრედიტო ხელშეკრულების დადებით არის გამოწვეული ვალდებულებების ზრდა.

სს „თელასი“-ს რენტაბელობის მაჩვენებლები:

ცხრილი 10. გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი

#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი	მოგება საოპერაციო საქმიანობიდან / შემოსავალი გაყიდვებიდან	18,4%	22,5%	12,2%	7,1%	9,5%	6,7%

ცხრილი 11. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი

#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი	მოგება საოპერაციო საქმიანობიდან / შემ. გაყიდვებიდან	20,0	-43,7%	24,4%	5,8%	25,7%	14,5%

ცხრილი 12. ერთიანი აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი

#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	ერთიანი აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი	წმინდა მოგება/ სულ საკუთარი კაპიტალი	9,1%	-14,7%	10,5%	2,5%	13,4%	7,0%

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილიდან ვხედავთ რომ გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებელი შემცირა. ეს მოვლენა განპირობებულია იმ ფაქტით რომ, კომპანიის მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან, მოგების მაჩვენებლების შემცირებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი

კაპიტალის რენტაბელობის და ერთობლივი აქტივების რენტაბელობის მნიშვნელობის შემცირება დაკავშირებულია კომპანიის მოგების შემცირებასთან. სრული შემოსავლის ანგარიშებიდან 2017 წელს მდგომარეობით კომპანიის მოგებამ შეადგინა 22 312 000 ლარი, 2016 წელს 38 838 000 ლართან შედარებით. 2017 წლის განმავლობაში სს „თელასი“-ს მოგების შემცირება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

1) ხარჯების ზრდა შესყიდულ ელექტროენერგიაზე;

2) ხარჯების ზრდა თანამშრომლების ხელფასზე და ანაზღაურებაზე - სამორიგეო საათების დამატება ბიზნეს-ცენტრებში (სემეკ-ის დადგენილების N 13 25.07.2016 წელი) და თანამშრომლების ხელფასზე 5% ეტაპობრივი ინდექსაციის ზრდა.


3) მოგების გადასახადის ზრდა. კომპანიამ სრულად ჩამოწერა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს (IAS) 12 „მოგების გადასახადი“ დაბეგვრის 0% განაკვეთით გადავადებული გადასახადების შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გაუნაწილებელი მოგების მიმართ მოქმედებდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

სს „თელასი“-ს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

ცხრილი 13. ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი


#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	სულ საკუთარი კაპიტალი / სულ აქტივები	0,43	0,38	0,43	0,43	0,52	0,48



ნახაზი 4. ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

ცხრილი 14. სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი

#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	მიმდ. და გრძ. ვალდებულება / სულ საკ.კაპიტალზე	1,31	1,64	1,31	1,34	0,91	1,08



ნახაზი 5. სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი

ცხრილიდან ჩანს რომ საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის ვალუტაში შემცირდა და შეადგინა 0,48, 2017 წელს მდომარეობით. არის

გაზრდილი და შეადგინა 1,08 საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა.

ეს იმას ნიშნავს რომ საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე მოდის სასესხო კაპიტალის 1.08 ლარი, აღწერილი მოვლენა არის დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების დადებით და გამოწვეული ვალდებულებების ზრდით.


სს „თელასი“-ს საქმიანი აქტივობის კოეფიციენტები:

ცხრილი 15. დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი


#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	დებ.დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (ჯერ)	გაყიდვები /პერიოდის საშუალო დებ დავალიანება	7,78	7,59	7,11	6,83	7,8	8,08

ცხრილი 16. კრედიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი

#	მაჩვენებელი	განგარიშების ალგორითმი	წელი					
			2012	2013	2014	2015	2016	2017
1	კრედ.დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (ჯერ)	გაყიდ-ის თვით-ბულება / პერიოდის საშუალო კრედიტორული დავ-ა	1,43	1,57	2,22	2,64	3,38	4,01



ნახაზი 6. დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი



ნახაზი 7. კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი

ფინანსური კოეფიციენტების გასაანგარიშებლად გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მონაცემები. ანალიზის პროცესში გაითვალისწინება ამ კოეფიციენტების შემადგენელი ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება და განისაზღვრება ფაქტორთა გავლენა საანალიზო მაჩვენებელზე.

ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი ანალიზის ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს. იგი მაჩვენებელთა დინამიკის ძირითადი მიმართულებებისა და ფაქტორთა გავლენის დადგენის საშუალებას იძლევა.

ავლნიშნოთ რომ ფინანსური მაჩვენებლების შემოთავაზებული დაჯგუფება, გვაძლევს საშუალებას ჩატაროთ საკმაოდ სრულყოფილი ფინანსური ანალიზი. ჩვენის აზრით კომპანიას ფინანსური მდგომარეობის სრული და ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა შემოთავაზებული მეთოდოლოგია, თუ ამ მეთოდოლოგიის გამოყენებას თან ახლავს სრული და ზუსტი ფინანსური საინფორმაციო ბაზის გამოყენება.

თავი 3. გაკოტრების ალბათობის რისკის პროგნოზირება და ენერგოკომპანიის ფინანსური გაჯანსაღების ძირითადი მიმართულებები

3.1. გაკოტრების არსი

სიტყვა გაკოტრება ლათინური სიტყვებიდან „ბანცუს“ მაგიდა და „რუპტუს“ გატეხილი წაიშვა.

არსებობს მოსაზრება, რომ გაკოტრება ლათინურ სიტყვა „კონკურსს“ უკავშირდება, რაც ნიშნავს თავმოყრას, ანუ კრედიტორების თავმოყრას ერთი მოვალის წინააღმდეგ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს გაკოტრების მრავალი განმარტება. ყველაზე ცნობილი მათგანის მიხედვით გაკოტრება განმარტებულია, როგორც ფულადი სახსრების უქონლობის გამო მოვალის უუნარობა, დაფაროს თავისი ვალდე- ბულებები, დააბრუნოს ვალები [51,55].

ასევე, ეკონომიკურ ლიტერატურაში გაკოტრებას განმარტავენ, როგორც იურიდიულ აქტს, რომელსაც ფინანსური მიზეზები უდევს საფუძვლად, კეზოდ, კომპანიის ფინანსური მდგრადობის დარღვევები, დროის გარკვეულ პერიოდის მანძილზე კომპანიის ფულადი ნაკადების დაუბალანსებლობა. კომპანიის გადახდისუუნარობის გახანგრძლივება, რის მიზეზსაც კომპანიის ეკონომიკური რესურსების დაბალი აქტივობა წარმოადგენს [62, 81, 88].

განვიხილოთ ნორმატიული ბაზის საფუძვლები: 1992 წლის 8 სექტემბერს, ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოების მართვის გაუმჯობესების მიზნით, მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი „საწარმოთა გაკოტრების შესახებ“. ეს დეკრეტი, არ შეესაბამებოდა გაკოტრების სამართლის ევროპულ სტანდარტებს და არ იყო სრულყოფილი, არ გაითვალისწინეს სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება. მის საფუძვლად აღებულ იქნა

რუსეთის ფედერაციის ანალოგიური სახელწოდების კანონპროექტი. 1996 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ახალი კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ (#287, 25.06.1997), რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 1 იანვრიდან. მისი დაბალი ეფექტურობა გამოწვეული იყო იმით, რომ ეს კანონი აბსტრაქტულ მოდელს წარმოადგენდა. 2001 წლის 10 აპრილიდან აღნიშნულ კანონში (#848, 10.04.2001) შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. გათვალისწინებულ იქნა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილება. ამ კანონმა შემოიტანა ახალი სამართლებრივი ცნებები, შეცვალა გაკოტრების წარმოების პროცედურები. ამ კანონის თანახმად, საწარმებს საშუალება ეძლევა გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა, მაშინაც, როცა მათ მიმართ გაკოტრების პროცედურები ხორციელდება. აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის 15 აგვისტოდან, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ (#4522, 2007 წლის 28 მარტი). არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა მიუთითებს საწარმოს მიერ ფინანსური შესაძლებლობების დაკარგვაზე.

საწარმოს გადახდისუნარობა შეიძლება სხვადასხვა დროს დადგეს, ან ისეთი გარე ფაქტორებით იყოს განპირობებული, როგორცაა დებიტორების მიერ გადახდის ვადების გადაცილება, საწარმოს ფინანსური მექანიზმის ნაკლოვანებები. ფინანსური კრიზისის დაძლევა შესაძლებელია საწარმოთა სანაცით [88, 89]. „სანაცია“ ლათინური „სანატიო“ -დან წარმოიშვა, რაც გაჯანსაღებას ნიშნავს. ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით [83, 90] სანაცია საწარმოს ფინანსური მდგრადობის აღდგენის ფაქტორების ნეიტრალიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებების სისტემაა. ამ მიზნით ხდება საწარმოს რენტაბელურად მუშაობის ღონისძიებათა შემუშავება. საბოლოო ჯამში საწარმოს საქმიანობა სტაბილურდება და საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადება და მისი ქონების გაყიდვა არ ხდება.

ამრიგად, სანაცია არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ფინანსური და საკრედიტო ღონისძიებათა სისტემა. სანაციის საფუძველს წარმოადგენს საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენის რეალურ შესაძლებლობათა არსებობა.

საწარმოს გაკოტრება გარკვეული ეტაპებისაგან შედგება. თავდაპირველად იწყება საწარმოს ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტის მნიშვნელოვანი პარამეტრების დარღვევები.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არის სუსტი, ამის შედეგად ამოწურულია საწარმოს ფინანსური პოტენციალი და მკვეთრად ეცემა საწარმოს ფინანსური აქტივობა, იწყება საწარმოს „კრიზისი“. საწარმო ხდება ზარალიანია და გადახდისუნარო, საწარმოს არა აქვს უნარი შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებანი ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა აგენტების წინაშე [42].

ფინანსური კრიზისის დადგომისას, იურიდიულად დასტურდება საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების ფაქტი.

საწარმოს გაკოტრებისაკენ სვლა შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდეს. გაკოტრების პროცესის ეტაპებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან თავისი ხანგრძლივობით.

ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები. ამ ფაქტორების დაყოფა პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება: ფარე და შიგა ფაქტორებად.

საწარმოს ფინანსური სიძნელეების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ფუნქციონირებისა და განვითარების მაჩვენებლებით და ამ მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციებით. მაგრამ ამ მაჩვენებლებით ხშირად ვერ ვადგენთ ფინანსური სიძნელეების გამომწვევ მიზეზებს. ამ მიზეზების დასადგენად საჭიროა სიღრმისეული ანალიზი.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ანალიზის მეთოდოლოგიის შესახებ და წარმოდგენილია აღნიშნული ფაქტორების განსხვავებული კლასიფიკაცია.

ზოგიერთი ავტორის აზრით [90], საწარმოს წარუმატებლობის გამომწვევი შიგა ფაქტორებია: საწარმოო ტექნიკური ფუნქციის, ფინანსური მენეჯმენტის, კადრების მართვის, ტექნიკური უზრუნველყოფის ფუნქციების ადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია. გარე ფაქტორები თავის მხრივ მოიცავს: მაკროსეფეროს და მიკროსეფეროს ფაქტორებს.

ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით [39, 91, 93], გარე, ანუ საწარმოსგან დამოუკიდებელ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- ეკონომიკური;
- პოლიტიკური;
- საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება
- დემოგრაფიული.

საწარმოზე დამოკიდებული ფაქტორებია:

- საკუთარი საბრუნავი სახსრების დეფიციტი;
- წარმოების ორგანიზაციის, ტექნიკის და ტექნოლოგიების დაბალი დონე;
- რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემცირება;
- მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი წარმოება;
- სესხების მოზიდვა არახელსაყრელი პირობებით;
- საწარმოს საქმიანობის სწრაფი და არაკონტროლირებადი გაფართოება;
- მართვის ეფექტიანი სისტემის არარსებობა;
- საწარმოს განვითარების სუსტი ფინანსური სტრატეგიის არსებობა.

გარე, ანუ საწარმოსგან დამოუკიდებელი ფაქტორები მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ ოთხი სეგმენტის ფუნქციონირების მექანიზმებით: ფულის ბაზარი, მატერიალური რესურსების ბაზარი, შრომის ბაზარი და საქონლის ბაზარი.

რაც შეეხება შიდა, ანუ საწარმოზე დამოკიდებულ ფაქტორებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი კლასიფიკაცია შემდეგი სახით:

საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური მენეჯმენტის დონე

- ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა და ფინანსური მენეჯმენტისა და ფინანსური ანალიზის ნაკლოვანებები

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში [48, 56, 57, 62, 64, 68] გამოყოფენ გაკოტრების რამდენიმე სახეს:

საწარმოს რეალური გაკოტრება, ანუ საწარმოს უუნარობა, აღიდგინოს თავისი გადახდისუნარიანობა;

- დროებითი ანუ პირობითი გაკოტრება ხასიათდება საწარმოს გადახდისუუნარობით, რომელიც გამოწვეულია კრედიტორული დავალიანებების მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებით;

- წინასწარ განზრახული გაკოტრება ხასიათდება საწარმოს ხელმძღვა-ნელებისა და მესაკუთრეების მიერ მისი გადახდისუუნარობის მდგომარეობის შექმნით, პირადი ან მესამე პირის ინტერესებისათვის;

- ფიქტიური ანუ ცრუ გაკოტრება საწარმოს მიერ ცრუ განცხადების გაკეთება მისი გადახდისუუნარობის შესახებ კრედიტორებისათვის თვალის ახვევის მიზნით;.

საწარმო გადამხდელუნარიანად ითვლება მაშინ, როდესაც მისი საკუთარი კაპიტალით სრულად იფარება ვალდებულებები. გარდა ამისა, ზოგჯერ საწარმოს საკუთარი კაპიტალი გააჩნია, მაგრამ ეფექტურად მხოლოდ ნასესხები წყაროებით ფუნქციონირებს.

საწარმოს პოტენციური გაკოტრების შეფასება შესაძლებელია მთელი რიგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე.

რაოდენობრივ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ვალდებულებების სააქციო კაპიტალ- თან და აქტივებთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი, ფულადი საშუალებების მთლიან ვალდებულებებთან თანაფარდობის დაბალი დონე, დაბალი რენტაბელობა, საბრუნავი კაპიტალის აქტივების მთლიან თანხასთან თანაფარდობის დაბალი დონე, მოგების, აქციების ფასის, ობლიგაციების ფასების მკვეთრი შემცირება, მუდმივი დანახარჯების საერთო დანახარჯებთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი.

ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ფინანსური ანგარიშგების

მომზადების ცუდი სისტემა და ხარჯების კონტროლირების უუნარობა, საწარმოს გამოუცდელობა, არაკვალიფიციური მართვა, კომერციული რისკის მაღალი დონე, თაღლითობები, სახ- ელშეკრულებო პოლიტიკა.

ავტორები განასხვავებენ გაკოტრების ფორმალურ და არაფორმალურ ნიშნებს, რომლებიც განიხილებიან კომპლექსურად.

გაკოტრების არაფორმალური ნიშნები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

- ნიშნები, რომელთა შეფასება შესაძლებელია და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახებიან;

- ნიშნები, რომელთა შეფასება შეუძლებელია. ასეთია, მაგალითად, ანგარიშგების მომზადების დაბალი დონე და წარდგენის ვადების დარღვევა;

ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს მკვეთრი ცვლილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მუხლებში, კერძოდ, აქტივებსა და ვალდებულებებში. ნეგატიურ ფაქტს წარმოადგენს ფულადი საშუალებების შემცირება საბანკო ანგარიშებზე.

ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოს აქტივების შემადგენლობაში დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილის ზრდა, ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების არსებობა. ეს მიუთითებს საწარმოს მიერ მყიდველებთან მიმართებაში არაგონივრული პოლიტიკის გატარებაზე.

არასასურველი ფაქტია საწარმოს პერსონალის, მესაკუთრეების, საფინანსო ორგანოების მიმართ ვალდებულებების ზრდა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მიზანია სამეურნეო საქმიანობის არსებითი პრობლემების გამოვლენა და ამის საფუძველზე წარმოშობის მიზეზების დადგენა.

3.2. გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების მეთოდები

უნდა ავღნიშნოთ, რაც უფრო ადრე გამოვლინდება საწარმოს გაკოტრებისკენ მიმართული ტენდენცია და რაც უფრო მალე იქნება მიღებული ზომები საწარმოს გადასარჩენად, მით უფრო მეტია საწარმოს

კრიზისიდან გამოსვლის ალბათობა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის საჭირო მაჩვენებელთა სწორ შერჩევას გაკოტრების გამომწვევი მოვლენების განვითარების საწყის სტადიაში. გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია: მაკრო და მიკრო გარემოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და საწარმოში სიძნელების ფორმირების დროული აღმოჩენა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის საერთაშორისო პრაქტიკაში სხვადასხვა კრიტერიუმებს და მაჩვენებლებს იყენებენ. არსებობს ფორმალური და არაფორმალური ხასიათის კრიტერიუმები. ასეთი ფორმალური კრიტერიუმებია: მოვალის უუნარობა სამი თვის განმავლობაში მთლიანად დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნა ვალდებულებებზე. არაფორმალურ კრიტერიუმებს კი, რომლებიც საწარმოს პოტენციური გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, მიეკუთვნება: საწარმოს ქონების არადააკმაყოფილებელ სტრუქტურა, საწარმოს ფულადი სახსრების ბრუნვადობის შენელება, კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის გახანგრძლივება;

უიმედო დებიტორული დავალიანებების ოდენობის ზრდა, ლიკვიდურობის დაბალი კოეფიციენტები.

ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით [46,47,56,68,69], საწარმოს შესაძლო გაკოტრების

და მომავალში მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელების განსაზღვრა შესაძლებელია მთელი რიგი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების საფუძველზე. რომელთაც შეიძლება პირობით ორ ჯგუფად ჰყოფენ: ძირითადი და დამხმარე მაჩვენებლები. ძირითადს მიეკუთვნება:

- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მუდმივად დაბალი დონე;
- საბრუნავ საშუაებათა უკმარისობა;
- საბრუნავ საშუაებათა ბრუნვადობის შენელება;
- კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ვადების დაჩქარება;
- იაფი, სარფიანი, დაბალ საპროცენტო განაკვეთიანი სესხების

გამოდევნა მაღალგანაკვეთიანი სესხებით და მათი არაეფექტური განთავსება აქტივებში;

- ვადაგადაცილებული ვალდებულებების არსებობა და მათი ხვედრითი წილის ზრდა კომპანიის ვალდებულებების საერთო ოდენობაში;

- სასწრაფო ვალდებულებათა ზრდის წინმსწრები ტემპი მაღალლიკვიდური აქტივების ზრდასთან შედარებით;

- საშუალებათა წყაროების საერთო ოდენობაში ნასესხები სახსრების წილის მუდმივად ზრდა;

- მუდმივი არსებითი დანაკარგები ძირითად საქმიანობაში;

- საშუალებათა მოზიდვისა და განლაგების არარაციონალური სტრუქტურა;

- გრძელვადიანი აქტივების ფორმირება საშუალებათა მოკლევადიანი წყაროების ხარჯზე;

- პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის შემცირების ტენდენცია;

- ძნელადსარეალიზაციო საწარმოო მარაგების ხვედრითი წილის ზრდა;

- საწარმოო პოტენციალის შემცირება;

- რეინვესტირების არასწორი პოლიტიკა;

- ნასესხები სახსრების სიჭარბე დადგენილ ნორმატივებზე;

- ინვესტორების, კრედიტორების და აქციონერების წინაშე აღებულ ვალდებულებათა მუდმივი შეუსრულებლობა;

- ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების მაღალი ხვედრითი წილი;

- ზენორმატიული და ჩაწოლილი საქონლის და საწარმოო მარაგების არსებობა;

- საბანკო სისტემასთან ურთიერთობების გაუარესება;

- საწარმოო პროცესში ვადაგასული მოწყობილობების გამოყენება;

- შეკვეთების პორტფელში არასასურველი ცვლილებები.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება კრიტერიუმები და მაჩვენებლები, რომელთა არაკეთილსასურველი გავლენა არ იძლევა საფუძველს მიმდინარე ფინანსური საქმიანობა განხილულ იქნეს, როგორც კრიტიკული. მათ მიეკუთვნება:

- მართვის აპარატის ძირითადი თანამშრომლების იძულებითი დენადობა;

- ტექნოლოგიური პროცესის რიტმულობის დარღვევა;

- საწარმოო საქმიანობის არასათანადო დივერსიფიკაცია;

- მეტისმეტად დიდი იმედების დამყარება ახალი პროექტის შესაძლო ან პროგნოზირებად წარმატებასა და მოგებაზე;

- საწარმოს მუდმივი ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლების აუცილებლობის არასათანადო შეფასება;

- არაეფექტური გრძელვადიანი ხელშეკრულებები.

ყველა კრიტერიუმის დადგენა ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით შეუძლებელია ამის შედეგად აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის მოძიება. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოდ კრიტერიუმების შესწავლისას დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინება. მხოლოდ სათანადო რაოდენობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვების შემდეგ არის შესაძლებელი.

გაკოტრების შესაძლებლობის საკითხის შესწავლით მრავალ ქვეყანაში დაკავებული იყვნენ როგორც აკადემიური წრეები, ისე ფინანსური ანალიზტიკოსები.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის პირველი ცდები ჯერ კიდევ ხვზ საუკუნეში განხორციელდა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი, ხოლო ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება ხხ საუკუნიდან დაიწყო.

XX საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში გამოქვეყნებულ საწარმოს ფინანსური კრაზის დადგენის შესაძლებლობის ამსახველ მასალებში

ხაზგასმით იყო აღნიშნული ის ფაქტი, რომ სტაბილური ფინანსური მდგომარეობის მქონე და გაკოტრების ალბათობის მქონე კომპანიების ფინანსური კოეფიციენტები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ფინანსური კოეფიციენტების თანაფარდობის ანალიზი, როგორც გაკოტრების დადგენის მეთოდი, პირველად 1966 წელს გამოიყენა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. ჰ. ბივერმა. თავის გამოკვლევებში იგი სათითაოდ ადარებდა გადახდისუნარო საწარმოების მაჩვენებლებს ნორმალურად მომუშავე საწარმოების იგივე კოეფიციენტებთან და დაადგინა, რომ გაკოტრებამდე ბევრად ადრე, კერძოდ 5 წლით ადრე შეიმჩნევა ნიშნები, რომლებიც გაკოტრების მოახლოების დადგენის საშუალებას იძლევა. ეს გამოკვლევები 104 გაკოტრების დასადგენად საჭირო კოეფიციენტების შერჩევისა და მათ საფუძელზე სათანადო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ვერ ხერხდებოდა ფინანსური კრაზის ალბათობის დადგენა, რადგანაც ერთი ან ორი კოეფიციენტის დახმარებით პრობლემის გადაჭრის ცდები ხშირად ყალბ და საწინააღმდეგო შედეგებს იძლეოდა.

შემდგომში ბივერმა თავისი კვლევის შედეგები განაზოგადა მრავალცვლიანი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. მის მიერ შემოთავაზებულ იქნა გაკოტრების დიაგნოსტიკის ხუთფაქტორიანი მოდელი, რომელიც მოიცავდა შემდეგ ინდიკატორებს: აქტივების რენტაბელობა, ნასესხები სახსრების ხვედრითი წილი საშუალებათა წყაროებში, მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, წმინდა საბრუნავი კაპიტალის ხვედრითი წილი აქტივებში, ბივერის კოეფიციენტი წმინდა მოგებისა და ამორტიზაციის ჯამის შეფარდება ნასესხებ სახსრებთან.

წონითი კოეფიციენტები ინდიკატორებისათვის ბივერის მოდელში არ იყო გათვალისწინებული. ჩამოთვლილი მაჩვენებლების მიღებული მნიშვნელობები უდარდებოდა მათ ნორმატიულ მნიშვნელობებს სამი მდგომარეობისათვის: წარმატებული კომპანია; კომპანია, რომლის გაკოტრება მოსალოდნელია ერთ წელიწადში; კომპანია, რომლის

გაკოტრება მოსალოდნელია ხუთ წელიწადში.

ბივერმა შეიმუშავა მოდელი, რომელიც შედგებოდა 29 კოეფიციენტისაგან და 5 წლის განმავლობაში აკვირდებოდა იმ კომპანიებს, რომლებიც გააკოტრდნენ და ადარებ- და საკონტროლო ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც არ გააკოტრებულან. მისი მიზანი იყო ეჩვენებინა რომელი კოეფიციენტები შეიძლება გამოვიყენოთ გააკოტრების პროგნოზირებისათვის და რამდენი წლით ადრე შეიძლება გაკეთდეს ასეთი პროგნოზები.

ამ კვლევის შედეგების ილუსტრირება [104] შესაძლებელია შემდეგი ცხრილის სახით.

ცხრილი 17. გააკოტრების პროგნოზირება ბივერის მოდელის მიხედვით

	მაჩვენებლები	განგარიშების მეთოდიკა	გაკოტრება არ არის მოსალოდნელი	სავარაუდო გააკოტრება 1 წლის შემდეგ	სავარაუდო გააკოტრება 5 წლის შემდეგ
1	ბივერის კოეფიციენტი	წმინდა მოგება + ამორტიზაცია ნასესხები კაპიტალი	≥ 0.4	$0.17 \leq K \leq 0.39$	≤ 0.16
2	აქტივების რენტაბელობა	წმინდა მოგება აქტივები	≥ 6	$1.9 \leq r \leq 2.9$	≤ 2.0
3	ფინანსური დამოკიდულების კოეფიციენტი	ნასესხები კაპიტალი აქტივები	≤ 3.5	$34 \leq F \leq 79$	≥ 80
4	წმინდა საბრუნავი საშუალებების აქტივებით გადაფარვის კოეფიციენტი	საკუთარი კაპიტალი – ძირითადი საშუალებები აქტივები	≥ 0.4	$0.3 \leq C \leq 0.2$	≤ 0.1
5	მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები მოკლევადიანი ვალდებულებები	≥ 3.2	$3.1 \leq L \leq 1.9$	≤ 2.0

გარდა ამისა, გაკოტრების ალბათობის რისკის დიაგნოსტიკისათვის და საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ე.ალტმანის, რ. ლისის, რ. ტაფფლერის, ჯ.ფულმერის, გ.ლ. სპრინგეიტისა და სხვათა მოდელები, რომლებიც შემუშავებულია მრავალგანზომილებიანი ფაქტორული ანალიზით.

გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკისათვის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის ედვარდ ალტმანის [99] მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ იქნა ორფაქტორიანი მოდელი. მისთვის შეირჩა ორი მაჩვენებელი, რომელზეც, ალტმანის აზრით, დამოკიდებულია საწარმოს გაკოტრების ალბათობა. კერძოდ, მიმდინარე ლიკვიდურობისა და ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტები. ამ მოდელს ასეთი სახე ჰქონდა: $Z = 0.3877 * X1 + 1.0736 * X2 + 0.0579 * X3$

1 – X1-ლიკვიდურობის კოეფიციენტი;

2 – X2-ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი.

ამ მოდელის მიხედვით,

1. თუ $Z = 0$, მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ის ტოლია;

2. თუ $Z < 0$, მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ზე ნაკლებია;

3. თუ $Z \geq 0$, მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ზე მეტია და იზრდება

ძ-ის ზრდასთან ერთად.

მოგვიანებით ფართოდ გავრცელდა ე.ალტმანის ხუთფაქტორიანი მოდელი [121] რომელიც წარმოადგენს ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საკუთარი კაპიტალის დაფარვის მაჩვენებლების მიხედვით შედგენილ ფუნქციას, რომელიც ახასიათებს საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალს და გასულ პერიოდში მისი საქმიანობის შედეგებს. ზოგადად კრედიტუნარიანობის ინდექსს აქვს შემდეგი სახე:

$$Z = 3.3 * X1 + 1.0 * X2 + 0.6 * X3 + 1.4 * X4 + 1.2 * X5$$

სადაც, მაჩვენებლები გაიანგარიშება შემდეგნაირად:

1. X1-მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე /აქტი-

ვების ჯამი

2. X2-მოგება რეალიზაციიდან / აქტივების ჯამი
3. X3-საკუთარი კაპიტალი / მოზიდული კაპიტალი
4. X4-რეინვესტირებული მოგება / აქტივების ჯამი
5. X5-საკუთარი საბრუნავი / აქტივების ჯამი

აღნიშნული ინდექსის კრიტიკული მნიშვნელობა ე. ალტმანის მიერ გაანგარიშებული იქნა სტატისტიკური შერჩევის საფუძველზე და შეადგინა 2.675. კონკრეტული საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებისას გაანგარიშებული აღნიშნული მაჩვენებელი უნდა შეუდარდეს ზემოაღნიშნულ მნიშვნელობას. ამით შესაძლებელია დადგინდეს მოსალოდნელი გაკოტრება მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, თუ $Z < 2.267$ ან საკმარისად მყარი ფინანსური მდგომარეობა, თუ $Z > 2.267$.

ინდექსის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკოტრების შესახებ შემდეგი პროგნოზების გაკეთება:

ცხრილი 18. კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი

კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი	გაკოტრების ალბათობა
$Z < 1.81$	გაკოტრების მაღალი ალბათობა
$1.81 \leq Z \leq 2.675$	გაკოტრების საშუალო ალბათობა
$2.675 \leq Z \leq 2.9$	გაკოტრების შესაძლებლობა
$Z \geq 3$	გაკოტრების ძალიან მცირე ალბათობა

კრედიტუნარიანობის ინდექსი სრულყოფილი მაჩვენებელია, თუ მას იყენებს კომპანია, რომლის აქციები კოტირებულია საფონდო ბირჟებზე. ამავე დროს, დაყრდნობა ერთ მაჩვენებელზე, რომელიც ძალიან მიმზიდველია თეორიის თვალსაზრისით, ყოველთვის არ არის გამართლებული პრაქტიკაში. ამიტომ დიაგნოსტიკისათვის მიზანშეწონილია კრიტერიუმების სისტემის გამოყენება. ამასთან, ამ უკანასკნელს თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნია. კერძოდ, ბევრად უფრო

ადვილია გადაწყვეტილების მიღება ერთი კრიტერიუმის პირობებში, ვიდრე მრავალი კრიტერიუმის გამოყენებისას. ამასთანავე, მსგავსი საპროგნოზო გადაწყვეტილება კრიტერიუმების რიცხვის მიუხედავად სუბიექტურია, ხოლო გაანგარიშებულ მაჩვენებლებს გააჩნიათ განსჯისათვის ინფორმაციის ხასიათი.

1997 წელს მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორის რიჩარდ ტაფფლერის [121] მიერ შემოთავაზებული იქნა შემდეგი მოდელი:

1. მოგება რეალიზაციიდან / მოკლევადიანი ვალდებულებები
2. საბრუნავი აქტივები / ვალდებულებების ჯამი
3. მოკლევადიანი ვალდებულებები / აქტივების ჯამი
4. მოგება რეალიზაციიდან / აქტივების ჯამი

თუ ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა მეტია 0.3-ზე, მიუთითებს საწარმოს ნორმალურ გრძელვადიან პერსპექტივაზე, ხოლო თუ ნაკლებია 0.2, მაშინ გაკოტრება გარდაუვალია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ კითხვებზე ავტორებს განსხვავებული პასუხები გააჩნიათ. ამის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ამ ავტორთა გამოკვლევები სხვადასხვადროს, განსხვავებულ საბაზრო გარემოში, საწარმოთა განსხვავებული არჩევანისა და სხვადასხვა მეთოდების პირობებში ხდებოდა. ლოგიკური რეგრესიის მეთოდები- დან აღსანიშნავია ტენესის უნივერსიტეტის პროფესორის ჯონ ფულმერის მოდელი [111]. მოდელი შექმნილი იყო 60 საწარმოს მაგალითზე, რომელთაგან 30 ნორმალურად საქმიანობდა, ხოლო 30 გაკოტრდა. მოდელის საწყისი ვარიანტი მოიცავდა 40 სხვადასხვა კოეფიციენტს, მაგრამ საბოლოოდ ავტორი შეჩერდა 9 კოეფიციენტზე.

1978 წელს სიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტში ე. ალტმანის მოდელის საფუძველზე გორდონ ლ.ვ. სპრინგეიტის მიერ შეიქმნა მოდელი, რომელსაც შემდგომში სპრინგეიტის მოდელი ეწოდა [121, 122]. მისი შექმნისას გამოყენებული, საუკეთესოდ მიჩნეული 19 ფინანსური კოეფიციენტიდან საბოლოო ვარიანტში დატოვებულია მხოლოდ 4

კოეფიციენტი.

მოდელის ზოგადი სახე ასეთია: $Z = 1.03X_1 + 3.07X_2 + 0.66X_3 + 0.4X_4$

სადაც:

1. X_1 - საბრუნავი კაპიტალი / ბალანსის ვალუტა (მუხლების ჯამი);
2. X_2 -მოგება დაბეგვრამდე + გადასახდელი პროცენტი;
3. X_3 -მოგება დაბეგვრამდე /მოკლევადიანი ვალდებულებები;
4. X_4 -მოგება ამონაგები რეალიზაციიდან/ბალანსის ვალუტა, თუ $d < 0.862$ საწარმო გარდაუვალი კრაზის წინაშეა.

მოდელის შექმნისას სპრინგიტმა გამოიყენა 40 საწარმოს მონაცემები და ფინანსური კრაზის პროგნოზირებამ, რომელიც შესრულებულია ერთი წლით ადრე, შეადგინა 92,5%-იანი სიზუსტე.

მოდელის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ 3 ფაქტორის (სესხის სარგებლობისათვის დანახარჯების თანაფარდობა რეალიზაციიდან ამონაგებთან), განმსაზღვრელ მნიშვნელობაზე, რომლის გავლენა დანარჩენი ოთხი ფაქტორის გავლენის ჯამზე მეტია.

განხილული მოდელები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ანალიზის დამხმარე ინსტრუმენტი. მათ შედეგებზე სრულიად დაყრდნობა გონივრული არაა, ამასთან სახიფათოცაა. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ შემოწმებისა და კორექციის შემდეგ.

უცხოური პრაქტიკის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მექანიკურმა გადმოტანამ შეიძლება გამოიწვიოს გაკოტრების დიაგნოსტიკის მნიშვნელოვანი განსხვავება რეალურისაგან. ვერცერთი მოდელი და მათ შორის, ყველაზე გავრცელებული ალტმანის მოდელებიც ვერ უზრუნველყოფენ გაკოტრების ალბათობის ანალიზის სათანადო სიზუსტეს. ამიტომ საჭიროა მათი შედარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სხვა მაჩვენებლებთან (ბალანსის ლიკვიდურობის, ლიკვიდურობის კოეფიციენტების, გადახდისუნარიანობის აღდგენის, ფინანსური მდგრადობის, საბრუნავი აქტივებით უზრუნველყოფის, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტებთან) და აშკარა, მნიშვნელოვანი განსხვავების არარსებობისას

ე. ალტმანის ან სხვა ზემოთ განხილული მოდელები ჩაითვალოს მოცემული სიტუაციისათვის მისაღებად.

რუსი მეცნიერის ო.პ. ზაიცევას მიერ [56] შემოთავაზებული ექვსფაქტო-რიანი მათემატიკური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი მაჩვენებლების გამოყენებას: წმინდა ზარალის შეფარდება საკუთარ კაპიტალთან, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების თანაფარდობა, მოკლევადიანი ვალდებულებების ყველაზე ლიკვიდურ აქტივებთან თანაფარდობა, წმინდა ზარალის ზარალიანი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებთან თანაფარდობა, ნასესხები და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა, აქტივების დამაგრების კოეფიციენტი, რომელიც აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა.

ამ კოეფიციენტების გამოყენებას გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია, კერძოდ:

- რაც უფრო ნაკლებია გაანგარიშებაში მონაწილე ფაქტორების რიცხვი, მით ნა- კლებია პროგნოზირების სიზუსტე. ამიტომ ორ და სამფაქტორიანი მოდელების გამოყენება გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის ნაკლებად ეფექტურია;

- ე. ალტმანისა და ვ. ბივერის მოდელები შეიცავენ შეწონილი (წონით) კოეფიციენტების მნიშვნელობებს და კერძო და კომპლექსური მაჩვენებლების ზღვრულ მნიშვნელობებს, რომლებიც გაანგარიშებულია ამერიკული ანალიზური მონაცე- მების საფუძველზე და გარკვეულად განსხვავდება ჩვენი ქვეყნის სპეციფიკისაგან ბუღალტრული აღრიცხვისა და საგადასახადო კანონმდებლობის საკითხებში. გაკოტრებული საწარმოების შესახებ სტატისტიკური მასალების უქონლობა გარკვეულად აფერხებს წონითი კოეფიციენტებისა და ზღვრული მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდის კორექტირებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ხოლო ამ მაჩვენებელთა საექსპერტო შეფასებების გზით დადგენა მათ სათანადო სიზუსტეს ვერ უზრუნველყოფს;

- ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციების თავისებურებები

გარკვეულ გავლენას ახდენს თვით ფინანსური მაჩვენებლების ნაკრებზე, რომლებიც გამოყენებულია უცხოელი ავტორების მიერ შემოთავაზებულ მოდელებში;

- გაკოტრების პროგნოზირების პერიოდი უცხოელი ავტორების მიერ შემოთავაზებულ მეთოდებში მერყეობს სამი ექვსი თვიდან ხუთ წლამდე, ზოგიერთ მოდელში კი პერიოდი საერთოდ არ არის მითითებული. არასტაბილური და განვითარებადი საბაზრო ურთიერთობების პირობებში, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში აქვს ადგილი, გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის ერთი ან ორწლიანი პერიოდი მიზანშეწონილად მიგვაჩნია;

- ჩვენს მიერ განხილული მეთოდები გაკოტრების სტადიის მოახლოების დადგენის საშუალებას იძლევა და მათი საშუალებით ვერ ხდება ზრდის ან სასიცოცხლო ციკლის სხვა ფაზების პროგნოზირება, ამიტომ საწარმოს კრიზისული სიტუაციის შეფასებისათვის მიზანშეწონილია არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც.

რუსი მეცნიერების რ.ს საიფულინისა და გ.გ. კადიკოვის [90] მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის შემოთავაზებულ იქნა რეიტინგული რიცხვი (ციფრი).

სადაც,

- 1 – საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი;
- 2 – მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- 3 – აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი;
- 4 – კომერციული მარჟა (პროდუქციის რენტაბელობა);
- 5 – საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

თუ ფინანსური კოეფიციენტები სრულად შეესაბამება მათ მინიმალურ ნორმატი-ულ დონეს, მაშინ რეიტინგული რიცხვი (ციფრი) 1-ის ტოლია და კომპანიას აქვს და- მაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, ხოლო თუ რეიტინგული რიცხვი ერთზე ნაკლებია, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

3.3 საქართველოს ენერგოკომპანიის გაკოტრების ალბათობის რისკის პროგნოზირება

ჩვენს მიერ არის შემოთავაზებული და გაანალიზებული, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, სამი სახეობის Z-მოდელი, სადაც X1, X2, X3 და X4 შესაბამისი Z-მოდელის ფინანსური კოეფიციენტებია. მოდელისთვის იანგარიშება სხვადასხვა ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხრილი 19. Z-მოდელების სამი სახეობა

Z-მოდელი	განგარიშების წესი	გაკოტრების ნაკლებად სავარაუდო პირობა
ალტმანის მოდელი	$Z = 6.56 \cdot X1 + 3.26 \cdot X2 + 6.72 \cdot X3 + 1.05 \cdot X4$	$Z > 2.6$
ტაფლერის მოდელი	$Z = 0.53 \cdot X1 + 0.13 \cdot X2 + 0.18 \cdot X3 + 0.16 \cdot X4$	$Z > 3.0$
სპრინგეიტის მოდელი	$Z = 1,03 \cdot X1 + 3,07 \cdot X2 + 0,66 \cdot X3 + 0,4 \cdot X4$	$Z > 0,862$

შემოთავაზებულია საწარმოს გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების შეფასების ცნობილი მოდელები. სამი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისას მიღებული შედეგების საფუძველზე მოვახდინეთ შედარება მიღებული Z-მოდელების მაჩვენებლების. ქვემოთ წარმოდგენილია შედეგების შედარებითი ცხრილი თითოეული მეთოდის მიხედვით.

მიღებული შედეგების შედარება,

1. ალტმანის Z1 -მოდელი (ოთხფაქტორიანი)

შეფასების კრიტერიუმები

ცხრილი 20. ალტმანის Z1 -მოდელი

თუ $Z^1 > 2.6$	ფინანსური მდგრადობის ზონა	(მწვანე ზონა)
თუ $1.1 < Z^1 < 2.6$	ფინანსური გაურკვევლობის ზონა	(ნაცრისფერი ზონა)
თუ $Z^1 < 1.1$	ფინანსური რისკის ზონა	(წითელი ზონა)

გამოთვლილი მაჩვენებლები ალტმანის მოდელის მიხედვით

ცხრილი 21. Z1 -მოდელით გაანგარიშებული მაჩვენებლები

წელი	Z განგარიშებით	Z ნორმატივით	განგარიშებით მიღებული რისკის ზონა
2017	0.98	Z ¹ <1,1	ფინანსური რისკი, წითელი ზონა
2016	0.78	Z ¹ <1,1	ფინანსური რისკი, წითელი ზონა
2015	0.01	Z ¹ <1,1	ფინანსური რისკი, წითელი ზონა

Z¹ - მოდელი, ალტმანის მიხედვით, რაც მოცემულია ცხრილიში ჩანს, რომ კომპანია სამივე წლების მონაცემებით საქმიანობს ფინანსური რისკის პირობებში.

2. ტაფფლერის Z2 -მოდელი (ოთხფაქტორიანი)

შეფასების კრიტერიუმები

ცხრილი 22. ტაფფლერის Z2 -მოდელი

თუ Z ² >3,0	ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია
თუ Z ² <2,0	ფინანსური მდგომარეობა – არის გაკოტრების ალბათობა
თუ Z ² > 1,0	ფინანსური რისკის ალბათობა მაღალია

გამოთვლილი მაჩვენებლები ტაფფლერის მოდელით

ცხრილი 23. Z2 -მოდელით გაანგარიშებული მაჩვენებლები

წელი	Z ² განგარიშებით	Z ² ნორმატივით	განგარიშებით მიღებული რისკის ზონა
2017	0.33	Z ² >0,3	ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია
2016	0.38	Z ² >0,3	ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია
2015	0,29	Z ² < 0,2	ფინანსური რისკის მაღალია (გაკოტრების ალბათობა მაღალია)

Z² - მოდელი, ტაფფლერის მიხედვით, რაც მოცემულია ცხრილი ჩანს, რომ კომპანია ფინანსური რისკის გავლენის ქვეშ მხოლოდ 2015 წელს იმყოფებოდა, შემდგომი ორი წლის მუშაობის შედეგად, კომპანიამ საკმარისად ფინანსურად სტაბილურ მდგომარეობას მიახწია.

3. სპრინტგეიტის Z3 -მოდელი (ოთხფაქტორიანი)
შეფასების კრიტერიუმები

ცხრილი 24. სპრინტგეიტის Z3-მოდელი

თუ $Z^3 > 0,862$	ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია
თუ $Z^3 < 0,862$	ფინანსური მდგრადობა – კომპანიის გაკოტრების ალბათობა დიდია

გამოთვლილი მაჩვენებლები სპრინტგეიტის მოდელით

ცხრილი 25. Z3 -მოდელით გაანგარიშებული მაჩვენებლები

წელი	Z ³ გაანგარიშებით	Z ³ ნორმატივით	გაანგარიშებით მიღებული რისკის ზონა
2017	0.81	$Z^3 > 0,862$	ფინანსური მდგომარეობა რისკს მოიცავს
2016	0.99	$Z^3 > 0,862$	ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია
2015	0,45	$Z^3 < 0,862$	ფინანსური მდგომარეობა რისკს მოიცავს

Z³ - მოდელი, სპრინტგეიტის ავტორობით, მოგვცა საშუალება გავაკეთოთ შიშდგომი დასკვნა: განსახილველ სამ წლიან პერიოდში გვიჩვენა, რომ 2015 წელს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მაღალ რისკის ზონაში იმყოფებოდა; მომდევნო, 2016 წელს კომპანია ფინანსურ სტაბილურობას მიაღწია; რაც ეხება 2017 წელს ფინანსური მდგომარეობა რისკის მდგომარეობისკენ.

განხილულ 2015-2017 წლებში ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით გაკეთებული პროგნოზი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს საწარმოს გაკოტრების საშუალო რისკის დონე.

მიღებული შედეგები აუცილებლად შევადარეთ ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის აღდგენის, ფინანსური მდგრადობის, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტებთან და გავაკეთეთ სათანადო დასკვნები.

ჩატარებული ანალიზით დადგინდა სს „თელასი“-ს 2015 -2017 წლების ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე, Z-მოდელის გამოყენებით გაკოტრების აბათობის შესაძლებლობა, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ გარკვეული ფაქტორების ზემოქმედაბა Z-მოდელის გამოყენებისას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს მაჩვენებლები ჩვენი ქვეყნის საწარმოებისათვის შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს საკანონმდებლო და სააღრიცხვო ინფორმაციაში არსებული განსხვავებების გამო.

საწარმოს გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს გაკოტრების რისკის პროგნოზირებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფის მაჩვენებელი; ლიკვიდურობის, გადახდისუნარი- ანობის აღდგენის, საკუთარი კაპიტალის მანევრირების და სახსრების მობილურობის კოეფიციენტები და სხვა. ამ მაჩვენებლების ნორმატივებთან შეუსაბამობა მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს საწარმოს გაკოტრების ალბათობა.

ამრიგად, გაკოტრების ალბათობის რისკის პროგნოზირება კრედიტ-უნარიანობის მოდელების გამოყენებით მიღებული შედეგები არც ისე ახლოსაა ლიკვიდურობისა და ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს. გამონაკლისს წარმოადგენს ფინანსური მდგრადობის ზოგადი შეფასების მეთოდიკა, რომლის გამოყენებით მიღებული შედეგები განსხვავებულია.

ჯ. არგენტის და ტ. სტოუნის მოდელით ფინანსური რისკის და რისკ-მენეჯმენტის პროგნოზირება - ჯონ არგენტის და ტ. სტოუნის ინდიკატორის დახმარებით (A-score), ფინანსური რისკის და რისკ-მენეჯმენტის პროგნო-ზირება პოტენციალურად ვლინდება გარე და შიდა

ფაქტორების გავლენის შეფასების საფუძველზე. არგენტინის კონცეპტუალური მიდგომა ეფუძნება დადასტურებულ ფაქტს, რომ ფინანსურად მაღალი რისკის ქვეშ მყოფი კომპანიები გადახდისუნარიობისაკენ 5-10 წლის განმავლობაში გადადიან. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, თუ ორგანიზაცია ექვემდებარება "სწრაფ" ფინანსურ და მენეჯერულ რისკს, ეს ჩვეულებრივ მიუთითებს ამ პროცედურის გეგმირ ჩანაფიქრს.

არგენტის მეთოდი, პროცესს პირობითად განისაზღვრება სამ ეტაპად, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს რიგი ინდიკატორების მიერ.

კომპანიის ფინანსური რისკები პროგნოზირება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა. როგორც წესი, ფინანსური რისკების პროგნოზირება მთელი რიგი მაჩვენებლების გაანგარიშებაზეა დაფუძნებული. გამოვლინდა ყველაზე პოპულარული მიდგომები და შეირჩა ისეთი მეთოდები, რომლებიც, ერთი მხრივ, მოიცავს ფინანსურ კოეფიციენტების მონაცემებზე ბაზირებულ მაჩვენებლებს, ხოლო მეორე მხრივ, დაფუძნებულია კრიზისული ორგანიზაციების მაჩვენებელთა შედარებაზე წარმატებულად მოქმედ სამეურნეო სუბიექტთა მაჩვენებლებთან.

უნდა ავლნიშნოთ, რომ თითოეული ორგანიზაცია ფინანსურ მდგადობისკენ, რენტაბელობის, ლიკვიდურობის გამოჯანსაღებისკენ უნდა ესწრაფვოდეს.

ამ ეტაპზე, განვიხილოთ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გამოჯანსაღების ალგორიტმს:

ინფორმაციის წყარო

ფინანსური რისკების წინასწარი ანალიზი

შედარებითი ანალიზი

ჩასატარებელი ღონისძიებები ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

პირველ ეტაპზე, შეისწავლება ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული სამართლებრივი აქტები, და ასევე წინასწარი ანალიზის ჩასატარებლად

განისაზღვრება ინფორმაციის წყაროები. ინფორმაციის ძირითადი წყაროა საანალიზო საწარმოს ბუღალტრული (ფინანსური) ანგარიშგება.

მეორე ეტაპზე, ტარდება ფინანსური რისკების წინასწარი ანალიზი. სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლისას, შევჩერდით ქვემოთ შემოთავაზებულ მიდგომაზე. წინასწარი ანალიზის ჩატარებისას გამოიყოს ორი ეტაპი: 1) ვიყენებთ არგენტის მაჩვენებელს (A-ანგარიში); 2) ვაწარმოებთ ფინანსური კოეფიციენტთა მაჩვენებლების გაანგარიშებას.

ფინანსური რისკების პროგნოზირების ეტაპზე მიზანშეწონილია ჯ. არგენტის მოდელის გამოყენება, რომელსაც საფუძლად A-ანგარიშის მეთოდი უდევს. მოცემული მეთოდიკის თანახმად, კვლევა ვარაუდით იწყება:

- ა) მიდის პროცესი, რომელსაც გადახდისუნარობისკენ მივყავართ;
- ბ) ამ პროცესის დასრულებას რამდენიმე წელი დასჭირდება;
- გ) პროცესი შეიძლება სამ სტადიად გაიყოს:
 - გადახდისუნარობისკენ გამომწვევი ნაკლოვანებების შესწავლა;
 - დაგროვილი ნაკლოვანებების გამო ჩადენილი შეცდომები;
 - სიმპტომების გამოვლენა

კომპანიის მიერ დაშვებული შეცდომები მოახლოებული გადახდისუნარობის ყველა ცნობილი სიმპტომის გამოვლენას იწყებენ: ფინანსური კოეფიციენტების მაჩვენებელთა გაუარესება. სიმპტომები გადახდისუნარობის მიმყვანი პროცესის ბოლო ორ ან სამ წელს ვლინდება - ფულის უკმარისობის ნიშანი.

გადახდისუნარობის კომპანიის A-ანგარიშის გაანგარიშებისას აუცილებელია ან ქულის ოდენობის დასმა არგენტის მიხედვით, ან 0-ის. თითოეული სტადიის თითოეულ ფაქტორს ქულთა გარკვეულ ოდენობას ანიჭებენ და ანგარიშობენ აგრეგირებულ მაჩვენებელს – A-ანგარიშს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯ. არგენტის კვლევების თანახმად, სტაბილურად მომუშავე ორგანიზაციების უმეტესობას აქვს A-ანგარიშის მნიშვნელობა 5-დან 18-მდე, ხოლო 35-დან 70-მდე მნიშვნელობები ჩვეულია

ისეთი სუბიექტებისთვის, რომლებიც სერიოზულ სირთულეებს განიცდიან. ამრიგად, არგენტის მეთოდოლოგია საიმედო მტკიცებულებათა მიღებისა და აუდიტორული პირის მიერ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების დაცვასთან (არდაცვასთან) დაკავშირებით სათანადო აუდიტორული მტკიცებულებების გაფორმების საშუალებას იძლევა.

კომპანია „A“-ს (სს „თელასი“-ს) მაგალითზე ჩატარებულია წინასწარი ანალიზი არგენტის მაჩვენებლის (A-ანგარიშის) გამოყენებით. შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 26-ში.

ცხრილი 26. წინასწარი ანალიზი არგენტის მაჩვენებლის (A-ანგარიშის) გამოყენებით

ნაკლოვანებები	ბალი არგენტის თანახმად	ბალი ორგანიზაცია „A“-ს თანახმად
დირექტორი-ავტოკრატი	8	0
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ასევე დირექტორიც გახლავთ	4	0
დირექტორთა საბჭოს პასიურობა	2	0
შიდა წინააღმდეგობები დირექტორთა საბჭოში (ცოდნასა და უნარებში განსხვავებების გამო)	2	0
სუსტი ფინანსური დირექტორი	2	0
საშუალო და ქვედა რგოლის პროფესიულ მენეჯერთა ნაკლებობა (დირექტორთა საბჭოს გარეთ)	1	0
აღრიცხვის სისტემის ნაკლები:		
– საბიუჯეტო კონტროლის არარსებობა	3	0
– ფულადი ნაკადების პროგნოზის არარსებობა	3	0
– დანახარჯების მმართველობითი აღრიცხვის სისტემის არარსებობა	3	0
ნელი რეაქცია ცვლილებებზე (ახალი პროდუქტების, ტექნოლოგიების, ბაზრების, შრომის ორგანიზაციის მეთოდების დანერგვა და ა.შ.)	15	2
ქულის მაქსიმალურად შესაძლო ჯამი	43	2
„გასვლითი ქულა“	10	2
თუ ჯამი 10-ზე მეტია, მართვაში არსებულმა ნაკლებმა შესაძლოა სერიოზული შეცდომები გამოიწვიონ		
შეცდომები		
სასესხო კაპიტალის ზედმეტად მაღალი წილი	15	1
საბრუნავი საშუალებების არასაკნარისობა (ბიზნესის ზედმეტად სწრაფი ზრდის გამო)	15	0
მსხვილი პროექტის არსებობა (ასეთი პროექტის	15	1

ჩავარდნა ორგანიზაციას სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს)		
ქულის მაქსიმალურად შესაძლო ჯამი	45	2
„გასვლითი ქულა“	15	2
თუ ამ სტადიაზე ქულთა ჯამი 25-ის ტოლია ან მეტი, ორგანიზაცია გარკვეული რისკის წინაშე დგას		
სიმპტომები		
ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება	4	0
„შემოქმედებითი“ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენება	4	0
არასასიკეთო მდგომარეობის არაფინანსური ნიშნები: ხარისხის გაუარესება, თანამშრომელთა „მებრძოლი სულისკვეთების“ დაცემა, ბაზრის წილის შემცირება	4	1
კრიზისის საბოლოო სიმპტომები: სასამართლო სარჩელები, სკანდალები, დათხოვებები	3	0
ქულთ მაქსიმალურად შესაძლო ჯამი	12	1
მაქსიმალურად შესაძლო A-ანგარიში	100	5
„გასვლითი ქულა“	25	5
წარმატებულ ორგანიზაციათა უმეტესობა	5-18	+
სერიოზული სირთულეების მქონე ორგანიზაციები	35-70	-
თუ ქულთა რაოდენობა 25-ზე მეტია, ორგანიზაცია შეიძლება გაკოტრდეს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. რაც მეტია A-ანგარიში, მით მალე შეიძლება მოხდეს ეს.		

ზემოთ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ენერგოგამანაწილებელი კომპანია წარმატებულ ორგანიზაციებს განეკუთვნება.

საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის პროგნოზირების სისტემის აგება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ წარმოდგენილი ანალიზის მოდელის გამოყენებით, რადგან მას საფუძვლად უდევს მთელი რიგი კოეფიციენტების გამოთვლა და ახასიათებს ფუნქციონირების ისეთ სფეროებს, როგორცაა: საწარმოს აქტივების შემადგენლობა და განთავსება, ფინანსური რესურსების წყაროთა დინამიკა და სტრუქტურა, საკუთარი საშუალებების, კრედიტო-რული დავალიანების არსებობა, საბრუნავი საშუალებების არსებობა და სტრუქტურა, დებიტორული დავალიანება, გადახდისუნარიანობა.

„თელას“-ის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა - სს „თელასი“-ს რისკების მართვის სისტემა, (რმს), რომელიც

მოქმედებდა 2018 წლის განმავლობაში, წარმოადგენს მართვის კორპორაციული სისტემის ნაწილს, „ინტერ რაო“-ს ჯგუფის. წარმოდგენილი რმს-ის ორგანიზების ფარგლებში შემდეგი დოკუმენტები არის დამტკიცებული - რომლებიც ახორციელებს კომპანიის რისკების შეფასების და მართვის პრინციპებისა, გამოვლენის და მიდგომების რეგლამენტირებას:

1. სს „თელასი“-ს რისკების კორპორაციული მართვის პოლიტიკა (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმის თანახმად);
2. სს „თელასი“-ს ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი რისკების მართვისას (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმის დადგენილებით)
3. სს „თელასი“-ს რისკ-აპეტიტის და მტკივნეულობის ზღვარის შეფასების მეთოდიკა (გენერალური დირექტორის ბრძანება);
4. „სს „თელასი“-ს ფინანსური რისკების მართვა“-პროცესის რეგლამენტი (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმის დადგენილები);
5. სს „თელასი“-ს ფინანსური რისკების მართვის მეთოდიკა (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმის დადგენილებით);
6. სს „თელასის“-ს კრიტიკული რისკების რუკის ფორმირების მეთოდიკა (გენერალური დირექტორის ბრძანება).

რისკების მართვა კომპანიაში ხორციელდებოდა რისკების მართვის სისტემის შემუშავებული ძირითადი დოკუმენტებით: კრიტიკული რისკების რუკით და 2018 წლის კრიტიკული რისკების მართვის ღონისძიებების გეგმით. (დამტკიცებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ).

სს „თელასი“-ს საქმიანობის ძირითადი სახეობაა მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგება და ელექტროენერგიის გადაცემა დედაქალაქში.

დარგობრივი რისკები, მიექუთნება ძირითად რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) მიერ დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს - სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება. ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცება, რომელიც კომპანიის ხარჯებს არ ფარავს. საზიგადოებაში ტარდება მუშაობა სემეკ-თან, ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის № 48 დადგენილებით 27.12.2017 წელს “ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, დადგინდა ახალი ტარიფები სს „თელასი“-სთვის 1 იანვრიდან 2018 წელს. ელექტროენერჯის განაწილებაზე, გატარებასა, მოხმარებაზე საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და ასევე სატრანზიტო აბონენტებისთვის ძაბვის მიხედვით.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები - ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება ის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია: საგადასახადო პოლიტიკის, საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში სს „თელასი“-ს ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონოდა ზეგავლენა, საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, კომპანია მოგების გადასახადით დივიდენდების სახით, მოგების განაწილების შემთხვევაში, იბეგრება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რომელიც ახდენს გავლენას სს „თელასი“-ს ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელობაზე.

ფინანსური რისკები - კომპანია ექვემდებარება ფინანსური რისკის თავისი საქმიანობის პროცესში და მასზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები. ჩამოვთვლოთ ეს ფაქტორები: საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, უცხოური ვალუტის კურსის, საკრედიტო

ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის და კომპანიის ფინანსური მდგრადობის რისკი.

ინფლაცია და სავალუტო კურსი - კომპანია შესყიდვების დროს და საკრედიტო ხაზის გახსნის დროს ექვემდებარება სავალუტო რისკს. კომპანია არ ახორციელებს სავალუტო რისკებთან მიმართ რისკის ჰეჯირებას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები - კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები - საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასი“-ს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე სს „თელასი“-ს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები - სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმო-იქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ამგვარად, 2018 წლის ბოლოს, „ინტერ რაო“-ს ჯგუფის კომპანიებში რისკების მართვის და შიდა კონტროლის სამუშაოების ორგანიზებისა და სტანდარტიზაციის მიზნით, შეტანილი იქნა ცვლილებები რისკების მართვის სისტემის მუშაობაში. ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული

დავალიანებებით, რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით.

კომპანია წარმოადგენს მონოპოლისტს ქალაქ თბილისში და მისი საქმიანობის რეგულირება ხორციელდება განსაზღვრული დებულებებით, ამიტომ საიმედო მომხმარებლების შერჩევასთან დაკავშირებით კომპანიის შესაძლებლობები შეზღუდულია. **საკრედიტო რისკის მართვის მიზნით**, კომპანია მიმართავს გადაუხდელობის გამო მომხმარებელთა ქსელიდან დროულ გათიშვას. აქვე უნდა ითქვას რომ, არსებობს გათიშული მომხმარებლების მხრიდან, **უკანონოდ მიერთების რისკიც**.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკები ძირითადად უკავშირდება კომპანიისთვის დადგენილ ტარიფებს. ტარიფები, ზემოქმედებას ახდენს ელექტროენერჯის შეძენის ფასზე და ფასზე, რომელიც შესაძლებელია დადგენილი იყოს აბონენტებისთვის, მოხმარებული ენერჯისთვის.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფის მეშვეობით. საზოგადოების მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ეს აძლევს კომპანიას საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

სს „თელასი“-ს ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა – რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან. ქვემოთ ჩამოვთვალოთ ეს ეტაპები :

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც

შესაბამება შემდეგ მოთხოვნებს: **სისრულე ანუ დროულობა** – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში; **სიზუსტე** – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი თანხებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად; **არსებობა და წარმოქმნა** – აქტივები, ვალდებულებები და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში; **უფლებები და ვალდებულებები** – კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე; **შეფასება და განაწილება** – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; **წარდგენა და გახსნა** – ფინანსური ანგარიშგების მუხლები სათანადოდ აღწერილი, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა. მოვიყვანოთ მაგალითი: გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება. ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით. ფინანსური ანგარიშგების მუხლები შეედარება კონტრაგენტებთან ან სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან.

3.4. ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისა და ფინანსური გაჯანსაღების ძირითადი მიმართულებები ენერჯოკომპანებისათვის

ბიზნესის მართვის თანამედროვე პირობებში საწარმოს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და გრძელვადიანი კრედიტუნარიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ბიზნესგარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით საწარმოს საქმიანობის ცვლილებებისათვის მუდმივი მზადყოფნა. ბიზნესგარემო სწრაფად ვითარდება და მას მთელი რიგი მოულოდნელობები ახლავს თან. ამავ დროს ბიზნესგარემოში მიმდინარე ცვლილებები ზოგჯერ საწარმოსათვის საფრთხის მომტანია, ზოგჯერ კი მომავალი წარმატებების მიღწევის დამატებით შესაძლებლობებს ქმნის. აქედან გამომდინარე, საწარმო თავისი საქმიანობის სტრუქტურის თავისდროული და სწორი ტრანსფორმაციის უნარს უნდა ფლობდეს, მუდმივად უნდა ახორციელებდეს ადეკვატურ სტრატეგიულ და ოპერატიულ ცვლილებებს.

სს „თელასი“-ს ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა ზოგადი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი არა საკმარისად ლიკვიდური ბალანსი მიუთითებს კომპანიის უნარობაზე საკუთარი სახსრებით დაფაროს ვალდებულებები. განხილულ წლებში საკმაოდ სტაბილური მაჩვენებლით ხასიათდება მომგებიანობის მაჩვენებლები. მიუხედავად ცალკეული მაჩვენებლების გაუარესებისა, საერთოდ ამ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არ არის კრიზისული.

ანტიკრიზისული მართვის ძირითადი ფუნქციებია: საწარმოს კრიზისიდან გამოყვანისკენ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელება, კრიზისიდან მოსალოდნელი დანაკარგების შემცირება. ანტიკრიზისული მართვის ინსტრუმენტად სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური გაჯანსაღება სახელდება.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღება გულისხმობს ორი მიზნის მიღწევას: კრიზისული საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენას მიმდინარე პერიოდში და საწარმოს ფინანსური პოტენციალის ოპტიმალური

გამოყენების უზრუნველყოფას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ფინანსური გაჯანსაღება გულისხმობს დავალიანებათა დაფარვას, გადახდისუნა- რიანობის აღდგენის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას და საწარმოს ფინანსური პოტენციალის გამოყენების ამაღლებას. ამ ღონისძიებათა განხორციელება კი საჭიროებს გარე წყაროებიდან დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას. ინვესტორმა უნდა მოახდინოს მის მიერ საწარმოს ფინანსურ გაჯანსაღებაზე გასაწევი დანახარჯებისა და მიღებული უკუგების თანაშეზომვა.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების მიზანშეწონილობის დადგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მის პოტენციურ უნარს ენიჭება. ფინანსური გაჯანსაღების მიზანშეწონილობის შეფასების კრიტერიუმს საწარმოში გამოუყენებელი პოტენციური შესაძლებლობების არსებობა წარმოადგენს, რომლებითაც საწარმოს მომგებიანობის უზრუნველყოფა შეიძლება. ამ დროს მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსური პოტენციალის არსებობა [10]. ფინანსური პოტენციალი წარმოადგენს საწარმოს მთლიანი აქტივების მაქსიმალურ ღირებულებას მათი ეფექტიანი გამოყენების პირობებში.

საწარმოს ფინანსური პოტენციალის განხილვისას მათი ყველაზე ეფექტიანი გამოყენების პირობებში აუცილებელია ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდის გამოყენება.

საწარმოს ანტიკრიზისული მართვის წარმატება დამოკიდებულია შემუშავებული პროგრამის წარმატებით რეალიზაციაზე. ფინანსური გაჯანსაღების პროგრამა უნდა იყოს კომპლექსური და მოიცავდეს არა მარტო ფინანსების მართვის სფეროს ღონისძიებებს, არამედ წარმოების პროცესის, კადრების და საქმიანობის მართვის ღონისძიებათა განხორციელებას [18]. პირველი დონის მოკლევადიანი მიზნების მიღწევა შესაძლებელია ფინანსური გაჯანსაღების პროგრამის ტაქტიკური ღონისძიებების რეალიზაციის ეტაპზე, რომელიც მიმართულია ფულადი საშუალებებით უზრუნველყოფისაკენ. რაც შეეხება ფინანსური

გაჯანსაღების გრძელვადიან მიზანს, მისი მიღწევა მხოლოდ საწარმოს მთელი საქმიანობის ანტიკრიზისული სტრატეგიის გამოყენებისას არის შესაძლებელი. ამავე დროს, ფინანსური გაჯანსაღების პროგრამის ტაქტიკური და სტრატეგიული ასპექტების შემუშავება და განხორციელება ერთდროულად უნდა მოხდეს.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ორ სტრატეგიას: აქტიურს (განვითარებადს) და პასიურს (სალიკვიდაციო ხასიათის).

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების აქტიური სტრატეგიის ამოცანას ახალი გასაღების ბაზრების ათვისება წარმოადგენს. ორივე მიმართულება საჭიროებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და რესურსტევადობის შემცირებას ტექნიკური გადაიარაღების საფუძველზე. პასიური სტრატეგია კი გულისხმობს ზარალიანი საამქროების დახურვას, მომუშავეთა რიცხვის შემცირებას, ძირითადი საშუალებების გაყიდვას, ან იჯარით გადაცემას, დავალ-იანებების რესტრუქტურირებას.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, საწარმოს ძირითადი საქმიანობისა და მისი შედეგების შესწავლის გარდა, უნდა განისაზღვროს:

- გააჩნია თუ არა საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების დაფარვისათვის საჭირო რესურსები;
- შეუძლია თუ არა საწარმოს დააკმაყოფილოს ყველა კრედიტორი დადგენილ ვადაში;
- როგორია ვალდებულებათა დაფარვის არასაიმედობა.

მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ფინანსური ვალდებულებების დაფარვის დეტალური გრაფიკის შედგენა, რომელიც კომპანიას დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის აუცილებელი ფულადი სახსრების დაგეგმვის საშუალებას მისცემს.

რესურსების ოდენობის დადგენისათვის გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამონაგების საერთო ოდენობის განსაზღვრას. ანალიზის შედეგებით კი უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნები საერთო

ამონაგების სტრუქტურის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების, ამონაგების დინამიკაში მომხდარი ცვლილებების შესახებ და განისაზღვროს არასასურველი ტენდენციის გამოვლენისას სათანადო ზეგავლენის მოხდენის ხერხები.

ფინანსური სიძნელების მქონე საწარმოთა ხელმძღვანელებს ფინანსური ანალიზისა და შესაბამისი მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებით შეუძლიათ საწარმოს სრული კრახისაგან დაცვა და მისი გადახდისუნარიანობის აღდგენა. რაც უფრო სტაბილურია საწარმო, მით უფრო ნაკლებია გაკოტრების საფრთხე.

ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოთა გაჯანსაღება უნდა მოხდეს საწარმოს შიდა რეზერვებისა და გარედან მღებული დახმარების ხარჯზე. ფინანსური გაჯანსაღების პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღდგეს საწარმოს გადახდისუნარიანობა მიმდინარე ვალდებულებების მიხედვით. მომდევნო ეტაპზე უნდა აღდგეს საწარმოს ფინანსური მდგრადობა, რაც მაშინ იქნება მიღწეული, როცა საკუთარი ფინანსური რესურსების გენერირების დონე მოხმარებულ ფინანსურ რესურსებზე ნაკლები არ იქნება, და ბოლოს, საწარმოს წარმატებულობის აღდგენა და ეკონომიკური იმუნიტეტის ჩამოყალიბება, სრული ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა. ფინანსური სტაბილიზაციის ამ ეტაპის მიზანი ითვლება მიღწეულად, თუ აღმოფხვრილია მიმდინარე გადახდისუნარიანობა, ე.ი. აბსოლუტური გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი-ტის მნიშვნელობა ერთზე მეტია.

ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებანი შეიძლება წარმოვიდგინოთ საქმიანობის სახეების მიხედვით:

- საწარმოო პროცესების საქმიანობა;
- ფინანსური საქმიანობა;
- მენეჯმენტის სტრატეგიული მიმართულებები.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსების მომჭირნეობით გამოყენებას, ამიტომ აუცილებელია

ნორმატივებისა და რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა. დანაკარგების დინამიკის ანალიზი. ამ პროცესების შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას სწორედ მენეჯმენტში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და კვალიფიციური კადრებით საწარმოს უზრუნველყოფა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია ასევე, სასესხო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის გეგმის შემუშავება:

- კრედიტორული და დებიტორული დავალიანების ინვენტარიზაცია; დებიტორული და კრედიტორული დავალიანების საერთო ოდენობის განსაზღვრა და დავალიანებების ძირითადი სახეების გამოყოფა;

- რესტრუქტურისაციის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; ვალდებულების საერთო ოდენობაში უდიდესი წილის მქონე დავალიანების გამოყოფა; საკრედიტო დაწესებულებების, კონტრაგენტების მიმართ დავალიანების პრიორიტეტული მუხლების გამოყოფა;

- ფულადი სახსრების შემოსულობების დეკადური გრაფიკის შედგენა გაყიდვებისა და დებიტორული დავალიანებების შემოსულობების გეგმის საფუძველზე; ფულადი სახსრების გადინების დეკადური გრაფიკების შედგენა შესყიდვების გეგმების, საოპერაციო ხარჯების, ხელფასების, მიმდინარე კრედიტორული დავალიანების დაფარვაში შეფერხებების გათვალისწინების საფუძველზე; წმინდა ფულადი ნაკადების ფორმირება; უარყოფითი სალდოს მიღების შემთხვევაში დამატებითი და ფინანსების წყაროების ძიება;

- კრედიტორული დავალიანების დაფარვის ოპტიმალური გრაფიკის შედგენა;

- რესტრუქტურისაციის ვარიანტების ანალიზი. წარმოდგენილი ვარიანტების კორექტირება და დავალიანების დაფარვის გრაფიკის შექმნა; ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შეფასება, რომელიც

მიმართულია სასესხო ვალდებულების დასაფარავად;

- დავალიანების დაფარვის საბოლოო გრაფიკის აგება და კრედიტორებთან მიღწეული შეთანხმებების დოკუმენტურად გაფორმება.

ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოთა გაჯანსაღება უნდა მოხდეს ორი მიმართულებით:

- საწარმოს შიდა რეზერვების ხარჯზე;
- გარედან მიღებული დახმარების ხარჯზე.

გაჯანსაღების მექანიზმები ემყარება მმართველობითი გადაწყვეტილებების განსაზღვრული მოდელების თანმიმდევრულ გამოყენებას, რომლებიც შერჩეულია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკის და კრიზისული მოვლენების მასშტაბების შესაბამისად. ფინანსური გაჯანსაღების პროცესი წარუმატებელ საწარმოში ხორციელდება ეტაპობრივად [68].

- **პირველი ეტაპი** - გადახდისუნარობის აღმოფხვრა. ფინანსური სტაბილიზაციის ღონისძიებათა სისტემაში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გადახდისუნარიანობის აღდგენის უზრუნველყოფა მათი მიმდინარე ვალდებულებების მიხედვით;

- **მეორე ეტაპი** - საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესობა. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს გადახდისუნარობა არ არის სესტი. შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური პრობლემები დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში რიგი ფინანსური ღონისძიებების გატარების გზით, გადახდისუნარობის გენერირების მიზეზები უცვლელი რჩება, თუ საწარმოს ფინანსური მდგრადობა არ აღდგება უსაფრთხო დონემდე. ეს შესაძლებელს ხდის თავიდან იქნეს აცილებული გაკოტრების საფრთხე არა მარტო მოკლე, არამედ შედარებით ხანგრძლივ პერიოდში. ფინანსური მდგრადობის სტაბილურობა შეიძლება მიღწეული იქნეს იმ შემთხვევაში, როცა საკუთარი ფინანსური რესურსების გენერირების დონე (დადებითი ფულადი ნაკადები) იქნება არა ნაკლები მოხმარებული ფინანსური რესურსების დონესთან შედარებით (უარყოფითი ფინანსური ნაკადები)

მისი სიცოცხლისუნარიანობის პროცესში;

•**მესამე ეტაპი** ფინანსური და ეკონომიკური წარმატებულობის აღდგენა და ამ საკითხში იმუნიტეტის ჩამოყალიბება. სრული ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების შემუშავებულმა სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს მისი საჭირო საწარმოო განვითარების ტემპები მიმდინარე პერიოდში. საწარმოს გაჯანსაღების ყოველ ეტაპს შეესაბამება განსაზღვრული და კონტროლის მექანიზმები.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ოპერატიული მექანიზმი წარმოადგენს საწარმოს დამცავ რეაქციას არახელსაყრელ ფინანსურ განვითარებაზე და, მოკლებულია რომელიმე საწყის მმართველობით გადაწყვეტილებას. იგი მიმართულია, ერთის მხრივ, საწარმოს შიდა და გარე მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების შემცირებაზე და მეორეს მხრივ, ფულადი აქტივების გადიდებაზე.

ფინანსური სტაბილიზაციის ამ ეტაპის მიზანი ითვლება მიღწეულად, თუ აღმოფხვრულია მიმდინარე გადახდისუნარობა ე.ი. აბსოლუტური გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე პერიოდში გაკოტრების საფრთხე არ არსებობს. ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ემყარება ფინანსური წონასწორობის მოდელის გამოყენებას გრძელვადიან პერიოდში. საწარმოს ფინანსური წონასწორობა მიიღწევა იმ პირობით, როცა დადებითი ფულადი ნაკადის სიდიდე სამეურნეო საქმიანობის ყველა სახის მიხედვით განსაზღვრულ პერიოდში უარყოფითი ფულადი ნაკადის ტოლი იქნება.

დასკვნა

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დადგენილება №3259 „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების რეალიზაციის ფარგლებში შედგენილი იქნა კონკურენტულ (საბითუმო) ბაზარზე გადასვლის გეგმა, რომელიც შეიცავდა ლიბერალიზაციის კონკრეტულ ეტაპებს. გეგმის შესაბამისად გათვალის-წინებული იყო მომხმარებლის ეტაპობრივი დაშვება კონკურენტულ ბაზარზე. 2014 წელს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ასოცირების შესახებ, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ.

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით დგინდება მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების კონკრეტული მკაცრი ვადები. ევროკავშირის დირექტივებისა და რეგლამენტების რიგი წარმოადგენს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ავტომატურად უნდა შესრულდეს შეერთების ოქმის ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ.

ენერგოგაერთიანებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ვინაიდან საქართველოს არ აქვს საერთო საზღვრები არცერთ ევროკავშირის წევს სახელმწიფოსთან, საჭიროა განსაკუთრებული გადაწყვეტილებების მოძიება ენერგორესურსების ბაზრების ინტეგრაციისთვის. ენერგოგაერთიანებასთან შეერთებასთან დაკავშირებით ქვეყანამ იკისრა რიგი ვალდებულებები:

- ენერგომატარებლებით ვაჭრობის პლატფორმის (ბაზრის) შექმნა;
- კონკურენტუნარიანობის და გამჭვირვალობის ზრდა, რაც გულისხმობს არადისკრიმინაციულ წვდომას ქსელებსა და მომხმარებელთან ევროპული სტანდარტების ფარგლებში;

- სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა;

- საერთო მოხმარების ენერგომატარებლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ენერგოგაერთიანებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ვინაიდან საქართველოს არ აქვს საერთო საზღვრები არცერთ ევროკავშირის წევს სახელმწიფოსთან, საჭიროა განსაკუთრებული გადაწყვეტილებების მოძიება ენერგორესურსების ბაზრების ინტეგრაციისთვის. ენერგოგაერთიანებასთან შეერთებასთან დაკავშირებით ქვეყანამ იკისრა რიგი ვალდებულებები:

- ენერგომატარებლებით ვაჭრობის პლატფორმის (ბაზრის) შექმნა;

- კონკურენტუნარიანობის და გამჭვირვალობის ზრდა, რაც გულისხმობს არადისკრიმინაციულ წვდომას ქსელებსა და მომხმარებელთან ევროპული სტანდარტების ფარგლებში;

- სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა;

- საერთო მოხმარების ენერგომატარებლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

უნდა გავითვლიწინოთ, რომ ელექტროენერჯის მომავალი ბაზარი საქართველოში ამოქმედდება საქართველოს პარლამენტის მიერ ენერგეტიკისა და სასმელი წყლის შესახებ კანონის პროექტის მოწონების შემდეგ, ამასთან, 2022 წლამდე იმოქმედებს გარდამავალი პერიოდი. ელექტროენერჯის ბაზარი დარეგულირდება ორი კანონქვემდებარე აქტით: საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეპციით და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ მიღებული ბაზრის წესებით. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელი გულისხმობს

ელექტროენერჯის გადაცემის და კომერციული რეალიზაციის ფუნქციის გაყოფას, რაც სს „თელასისგან“ მოითხოვს ბიზნესების გაყოფას.

ზემოთ აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში გაანალიზებულ იქნა სს „თელასი“-ს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და გაკოტრების ალბათობის დიაგნოსტიკის კრიტერიუმები. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა ძირითადი მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები, გამოვლინდა ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და გაკეთდა შესაბამისი დასკვნები.

განხილულ წლების მონაცემების ანალიზით ირკვევა, 2017 წელს სს „თელასი“-ს მოგებამ შეადგინა 22 312 000 ლარის ოდენობით. შედარებით კომპანიის გეგმიურ მოგებასთან 21 883 000 ლარის ოდენობით.

სს „თელასი“-ს აქტივების საერთო ღირებულებამ 2017 წლის ბოლოს შეადგინა 318 884 000 ლარი. საანგარიშო წლის განმავლობაში ჩანს აბსოლუტურ გამოხატულებაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 29 843 000 ლარით. ძირითადად ეს ზრდა მიღწეულია ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე. 2017 წლის ბოლოს გაიზარდა 31 246 000 ლარის ოდენობით არასაბრუნავი აქტივების წილი, ძირითადად ამაზე იქონია გავლენა ძირითადი საშუალებების ზრდა და 2017 წლის ბოლოს შეადგინა 236 631 000 ლარი. რაც შეეხება საბრუნავ აქტივებს, მათი ოდენობა შემცირდა 1 403 000 ლარით და შეადგინა 2017 წლის ბოლოს შეადგინა 82 253 000 ლარი, გავლენა მოახდინა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებამ.

უნდა ავლნიშნოთ რომ, მიმდინარე ვალდებულებები აღემატებოდა მიმდინარე აქტივებს 40 437 ლარით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წელს, საერთო მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანიების მიმართ საზოგადოებამ დაფარა დავალიანება 19 415 000 ლარის ოდენობით. ვადაგასული და დაუფარავი დავალიანება ფიქსირდებოდა 2000 წლიდან.

ავღნიშნოთ ის ფაქტი რომ, კომპანიას ნება დართეს არ გადაეხადა მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანიებისთვის 2017-2015 წლებში ელექტროენერჯის მიწოდებისთვის სრული თანხის ოდენობა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანიების მიმართ ვადაგასული დავალიანების ოდენობა შეადგენდა 21 636 000 ლარს.

ფინანსური ანალიზის შეგვიძლია დავადგინოთ რომ, 2017 წელს მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 420 338 000 ლარი ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად. რაც 2016 წელთან შედარებით 24 466 000 ლარით მეტია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპანიის ამონაგები 2017 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად: ამონაგები კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტ-როენერჯის გაყიდვის შედეგად არის გაზრდილი 3 242 000 ლარის ოდენობით; ამონაგები კომერციულ და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტრო-ენერჯის გაყიდვების შედეგად არის გაიზრდილი 20 671 000 ლარის ოდენობით; ამონაგები ელექტროენერჯის სახელმწიფო სექტორზე გაყიდვების შედეგად არის გაზრდილი 468 000 ლარის ოდენობით; ამონაგები ელექტროენერჯის ტრანზიტიდან არის გაზრდილი 85 000 ლარის ოდენობით;

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის შედაგად დადგინდა რომ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,18-დან 0,15-მდე 2017 წლის შედეგების მიხედვით. ეს იმის ნიშანია, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, ამ ფაქტზე იმოქმედა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებამ და ასევე მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის შემცირებაზე გავლენა მოახდინა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია“-სთან 30.03.2017 წლის საკრედიტო ხაზის გახსნაზე, ახალი საკრედიტო ხელშეკრულების დადებით, რომლის მიმდინარე ნაწილი, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 9 000 000 ლარს.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეადგინა 0,60 31 დეკემბრის 2017 წლის მდგომარეობით. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირება, ეს მოვლენა გომოწვეული იყო ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,72-დან 0,67-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს, კომპანიის უნარის შემცირებას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის მაჩვენებელი შემცირება, ეს მოვლენა განპირობდა იმ ფაქტმა რომ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შემცირდა, მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით.

საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის ვალუტაში შემცირდა და შეადგინა 0,48, 2017 წელს მდგომარეობით. არის გაზრდილი და შეადგინა 1,08 საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა.

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებელი შემცირა. ეს მოვლენა განპირობებულია იმ ფაქტით რომ, კომპანიის მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან, მოგების მაჩვენებლების შემცირებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის და ერთობლივი აქტივების რენტაბელობის მნიშვნელობის შემცირება დაკავშირებულია კომპანიის მოგების შემცირებასთან. სრული შემოსავლის ანგარიშგებიდან 2017 წელს მდგომარეობით კომპანიის მოგებამ შეადგინა 22 312 000 ლარი, 2016 წელს 38 838 000 ლართან შედარებით. 2017 წლის განმავლობაში სს „თელასი“-ს მოგების შემცირება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

- 1) ხარჯების ზრდა შესყიდულ ელექტროენერგიაზე;
- 2) ხარჯების ზრდა თანამშრომლების ხელფასზე და ანაზღაურებაზე;
- 3) მოგების გადასახადის ზრდა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების საკითხების შესწავლით სპეციალური ეკონომიკური ლიტერატურის დამუშავებისა სს „თელასი“-ს მიმდინარე

აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემების განხილვით შესაძლებელი გახდა მეცნიერული ხასიათის შემდეგი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადებების ჩამოყალიბება:

1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ენერგეტიკულ სექტორში სტრატეგიის შესახებ შემოთავაზებულია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის და ენერგოკომპანიის სტრატეგიის არსისა და მისი ძირითადი მიმართულებების ავტორისეული ფორმულირება, შემდეგი სახით:

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია არის ზოგადი კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად ხდება საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება, გადახდისუნარიანობის დადგენა. ასევე, ფინანსური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა დასახვა და ამისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალური განაწილება.

ამ მიზნის მისაღწევად კი მიზანშეწონილია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიის შემდეგი ძირითადი მიმართულებების გამოყოფა:

- ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის შერჩევა და მომზადება;

- ფინანსური მდგომარეობის ანალიზის გეგმის შემუშავება და მისი შედეგების შეფასება;

- ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების შერჩევა და მათი მნიშვნელობის დასაბუთება;

2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგიისა და მეთოდის კვლევის საფუძველზე შემოთავაზებულია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარება შემდეგი სახით:

- ფინანსური მდგომარეობის ზოგადი შეფასება ფინანსური ანგარიშგების წაკითხვით;

- ფინანსური მდგომარეობის ანალიზი კოეფიციენტების სისტემის გამოყენებით;

- ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის;
- ფინანსური მდგრადობის შეფასების;
- საქმიანი აქტივობის შეფასების;
- რენტაბელობის შეფასების მაჩვენებლები.

3. დაზუსტებულია დარგის მიზედვით აღნიშნულ ჯგუფებში გაერთიანებული ფინანსური კოეფიციენტები და მათი გაანგარიშების ტექნიკა.

4. ჩამოყალიბებულია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სპეციფიკური მიზნები, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის განხილვისა და დამუშავების საფუძველზე წარმოდგენილია საკუთარი ხედვა და განხილულია საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებელთა, რენტაბელობის შეფასების მაჩვენებელთა დინამიკა, ჩატარებულია აღნიშნული მაჩვენებლების ცვლილების ანალიზი და განხილული იქნა მათი დინამიკა.

5. საწარმოს შიდა და გარე ფაქტორების შესახებ სამეცნიერო ნაშრომებში არსებული მოსაზრებების ანალიზისა და ჩატარებული კვლევის საფუძველზე წარმოდგენილ იქნა საწარმოსგან დამოუკიდებელი ანუ გარე ფაქტორების ავტორისეული კლასიფიკაცია:

- პოლიტიკური;
- სოციალური;
- ეკონომიკური;
- ტექნიკური;
- სამეცნიერო-ტექნოლოგიური

წარმოდგენილია ასევე შიგა, ანუ საწარმოზე დამოკიდებულ ფაქტორების კლასიფიკაცია:

- საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;
- მენეჯმენტის პოლიტიკა;
- კომპლექსური მიდგომის შემუშავება კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების ანალიზისას ;

6. გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების პრობლემები არ არის სათანადოდ შესწავლილი. პრობლემები არის კომპლექსური. უნდა ავლნიშნოთ რომ, რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის ფინანსური ანალიზის, სამართლის, ფინანსური მართვის შესწავლის საგანს წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა ახალი კომპლექსური ანალიზის გამოყენება მთელი ამ პროცესის გამოსაკვლევად.

7. გაკოტრების პრობლემის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების განხილვის შედეგად გაკეთებულ იქნა დასკვნა, რომ გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების MDA მოდელებისათვის გამოიყენება მაკროეკონომიკურ დონეზე საკმარისი ოდენობისა საინფორმაციო მასალის და უტყუარი სტატისტიკური მასალის არსებობისას.

ამიტომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისას განხილული მოდელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ანალიზის დამხმარე ინსტრუმენტი. მათ შედეგებზე სრულად დაყრდნობა გონივრული არაა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მექანიკურმა გადმოტანამ შეიძლება გამოიწვიოს გაკოტრების ალბათობის პროგნოზირება მნიშვნელოვანი განსხვავება რეალურისაგან. ვერცერთი მოდელი და მათ შორის ყველაზე გავრცელებული ალტმანის მოდელებიც ვერ უზრუნველყოფენ გაკოტრების ალბათობის ანალიზის სათანადო სიზუსტეს. ამიტომ საჭიროა მათი შედარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სხვა მაჩვენებლებთან (ბალანსის ლიკვიდურობის, ლიკვიდურობის კოეფიციენტების, გადახდისუნარიანობის აღდგენის, ფინანსური მდგრადობის, საბრუნავი აქტივებით უზრუნველყოფის, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტებთან და მნიშვნელოვანი განსხვავების არარსებობისას ე.ალტმანის ან სხვა ზემოთ განხილული მოდელები ჩაითვალოს მოცემული სიტუაციისათვის მისაღებად.

8. უცხოელი ავტორების მიერ შემოთავაზებულ მეთოდებში გაკოტრების პროგნოზირების პერიოდი მერყეობს ორი-ხუთ წლამდე, ზოგიერთ მოდელში კი პერიოდი საერთოდ არ არის მითითებული. განვითარებადი საბაზრო ურთიერთობების პირობებში, კერძოდ, საქართველოში

გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის მიზანშეწონილია ერთი ან ორწლიანი პერიოდის განხილვა.

9. საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების მნიშვნელოვანი რეზერვის - რესურსების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ნორმატივებისა და რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა, დანაკარგების დინამიკის ანალიზი და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავება.

10. ჩვენს მიერ განხილული მეთოდები გააკოტრების სტადიის მოახლოების დადგენის საშუალებას იძლევა, მათი საშუალებით ვერ ხდება სასიცოცხლო ციკლის სხვა ფაზების პროგნოზირება, ამიტომ საწარმოს კრიზისული სიტუაციის შეფასებისათვის მიზანშეწონილია სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების მონაწილეობაც. ამ მიზნით გამოვიყენით ჯ. არგენტის და ტ. სტოუნის ხარისხობრივი მოდელი. შემოთავაზებული მიდგომის საშემოთაფუძველზე დაიგეგმება კომპანიის ფინანსური და მენეჯმენტის რისკის ღონეების პროგნოზირება.

11. სს „თელასი“-ს გადავადებული დებიტორული დავალიანებების ამოღების მიზნით, რომელსაც კომპანია ვერ ახერხებს, კომპანიის ფინანსური გაჯანსაღების მნიშვნელოვანი ღონისძიები.

12. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას შემოთავაზებულია ჯგუფების შესწავლა კომპანიის საქმიანობის სახეების მიხედვით: ტექნიკური საქმიანობა, კომერციული საქმიანობა, ფინანსური საქმიანობა, კორპორაციული საქმიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ. თბილისი, 2007წ. 28 მარტი.
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები. თბილისი, 2009.
3. ბასს 2 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. თბილისი, 2009.
4. ბასს 7 ფულადი ნაკადების ანგარიშგება. თბილისი, 2009.
5. ბასს 16 ძირითადი საშუალებები. თბილისი, 2009.
6. ბასს 21 უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები. თბილისი, 2009.
7. ბასს 23 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. თბილისი, 2009.
8. ეკონომიკური ლექსიკონი. პროფ. ა. სილაგამის ხელმძღვანელობით, თსუ, თბილისი, 2001.
9. ბურდული ფ., ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები. თბილისი, 2000.
10. ინგოროყვა ა., ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი. თბილისი 2011.
11. კაკულია რ., ბახტაძე ლ., თუთბერიძე გ. კორპორაციის ფინანსები. თბილისი, 2009, გვ 419.
12. კოვზანაძე ი. ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისთვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. მაცნე, თბილისი 2001, გვ. 109-121.
13. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, გვ. 422.
14. კოვზანაძე ი. კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირება. „სოციალური ეკონომიკა“. 2000, #1. გვ. 94-106.
15. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. ფინანსური ანგარიშგება. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.
16. ლიპარტია ზ. ეკონომიკური ანალიზი, ნაწილი I-ეკონომიკური ანალიზის თეორია. თბილისი, 2003.
17. ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლანჩავა ე. ეკონომიკური ანალიზი. ნაწილი II-მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი. თბილისი, 2007.
18. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯანჯღავა ნ., ბერიშვილი ხ. კორპორაციული ფინანსები. სახელმძღვანელო, ტომი I. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - „უნივერსალი“, 2012.

19. მიგრიაული რ. შესავალი გაკოტრების სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო), მე-3 გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2006.
20. მუნჯიშვილი თ., „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ლოგიკურ-ალბათური მოდელი“. თბილისი: თსუ-ს შრომები, 2005.
21. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. „რისკოლოგია. ფინანსური და საბანკო-საკრედი- ტო რისკების მენეჯმენტი“. თბილისი: გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2007.
22. ცაავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ. ფინანსური მენეჯმენტი. თბილისი: „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“- უნივერსალი, 2007.
23. ცირამუა ე. ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა-მეთოდოლოგია). თბილისი, 2007.
24. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2011.
25. ჭილაძე ი. მმართველობითი აღრიცხვა, თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2008.
26. ხარაბაძე ელენე. ფინანსური აღრიცხვა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.
27. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.
28. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ. ეკონომიკური ანალიზი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010.
29. ჯიქია მ. ფინანსური ანალიზი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.
30. სს „ლომისი“-ს ფინანსური ანგარიშგების მასალები.
31. სს „ყაზბეგი“-ს ფინანსური ანგარიშგების მასალები.
32. Аистова М.Д., Реструктуризация предприятия. М.: Альпина Паблишер, 2002, 287с.
33. Антикризисное управление: Учебник. 2-е изд. доп. и перераб. Под ред. проф. Короткова Э. М. М.: ИНФРА, 2005.
34. Анализ финансовой отчетности. Учебное пособие Под ред. Ефимовой О. В., Мельник. М. В. М.: Изд. „Омега-Л“, 2004, 10 с.
35. Артеменко В., Беллендир М., Финансовый анализ. М.:ДИС., 1999.
36. Абрютин М.С., Грачев А.В. Анализ финансовой хозяйственной деятельности предприятия. Учебно-практическое пособие. М.: Изд. „Дело и сервис“, 2004, 256 с.
37. Баканов М.И., Шеремет А.Д. Теория экономического анализа. М.:

- „Финансы и статистика“, 2009, 288 с.
38. Баканов М.И., Мельник М. В. , Шеремет А. Д., Теория экономического анализа. Учебник. М.: „Финансы и статистика“ , 2006.
39. Балабанов И.Т., Основы финансового Менеджмента. Учебн. пособие. М.: „Финансы и статистика“, 2003, 480 с.
40. Балдин К. В., Белугина В. В., Галдицкая С. Н., Передеряев И. И., Банкротство предприятия. анализ, учет и прогнозирование. Учебное пособие. М.: издательско-торговая корпорация „Дашков и Ко“. 2007, 130 с.
41. Бердникова Т.Б., Анализ и диагностика финансово-хозяйственной деятельности предприятия. М.: ИНФРА, 2007, 215 с.
42. Бернстайн Л.А., Анализ финансовой отчётности, Пер. с англ. М. 2003.
43. Бирман Г., Шмидт С. Экономический анализ инвестиционных проектов. Пер. с англ. М.2003.
44. Брейли Р., Майерс С., Принципы корпоративных финансов. Пер. с англ. М.: ЗАО „Олимп- Бизнес“. 2004.
45. Градов А., Стратегия и тактика антикризисного управления фирмой. М. 1999. 127 с.
46. Грачев А. В., Финансовая устойчивость предприятия: анализ, оценка и управление. М.: „Дело и Сервис“, 2004.
47. Гиляровская Л. Т., Вехорева А. А., Анализ и оценка финансовой устойчивости коммерческого предприятия. Питер. 2003, 9 с.
48. Глушенко В.И., Фомченкова Л.В., Кризисное состояние предприятия. поиск причин и способов его преодоления М.: „Менеджмент в России и за рубежом“. №1, 1998, 32 с.
49. Дамодарян А., Инвестиционная оценка. Инструменты и техника оценки любых активов. Пер с англ. „Альпина Вукс“,2004.
50. Донцова Л.В., Никифорова Н.А., Анализ финансовой отчётности. Учебное пособие. М.: Издательство „Дело и Сервис“, 2008, 368 с.
51. Дранко О.И., Антикризисный анализ финансово-хозяйственной деятельности. Поиск внутренних резервов. „Управленческий учет“, 2010, №3.
52. Дранко О.И., Модель финансового прогнозирования и сценарии внутренних инвестиций. „Проблемы управления“, 2007.
53. Дранко О.И., Финансовый менеджмент. Технологии управления финансами предприятия. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2004.
54. Драчена И.Н., Стратегия и тактика предотвращения банкротства организаций (предприятий) потребительской кооперации. Учебное пособие. М.: МУПК, 2002.

55. Жарковская Е.П., Бродский Б.Е., Антикризисное управление. М.: „Омега-Л“, 2004, 16-24 с.
56. Зайцева О.П. Антикризисный менеджмент в российской фирме. ”Аваль”, 2008, №11-12, с 66-73.
57. Зинченко С.А., Гончаров А.И., Предупреждение банкротства коммерческой организации. Методология и правовые механизмы. М.: „Юриспруденция“, 2006.
58. Ендовицкий Д. А., Щербаков М. В., Диагностический анализ финансовой несостоятельности организации. ”Экономист”, 2007, 68 с.
59. Ефимова А. В., Мельник М. В. Анализ финансовой отчётности. М.: „Омега-Л“, 2006, 408 с.
60. Ионова А. В., Селезнёва Н. Н. Финансовый анализ. М.: „Проспект“, 2006, 624 с.
61. Карлин Т., Макмин Н., Анализ финансовых отчетов (на основе GAAP) /Пер.с англ./, М. 2004.
62. Кукукина И. Г., Астраханцева И. А. Учет и анализ банкротств. М.: „Финансы и статистика“. 2001, 19 с.
63. Ковалёв А.И., Привалов В.П., Анализ финансового состояния предприятий. М.: Центр экономики и маркетинга, 2005.
64. Ковалёв А.И. Диагностика банкротства. Финстатинформ. М.: 2005 450 с.
65. Ковалёв В.В., Введение в финансовый менеджмент. М.: „Финансы и статистика“, 2001, 768 с.
66. Ковалёв В.В., Финансовый анализ. Управление капиталом, Выбор инвестиций, Анализ отчётности. 2-е изд. перераб. и доп. М.: „Финансы и статистика“, 2007, 512 с.
67. Ковалев В.В., Патров В.В., Быков В.А., Как читать баланс. 5-е издание, перераб. и доп. М.: „Финансы и статистика“, 2006.
68. Коротков Э.М., Антикризисное управление М.: ННФРА, 2000, 128 с.
69. Колас Б. Управление финансовой деятельности предприятия. Пер.с франц. М.: 1997.
70. Крылов Э.И., Власова В.М., Журавлина И.В., Анализ финансовых результатов, рентабельности и себестоимости продукции. Учебн. пособие. М.: “Финансы и статистика“, 2005, 720 с.
71. Любушин Н.П. Экономический анализ. Учебн. пособие. М.: ЮНИТИ – ДАНА, 2007.
72. Любушин Н.П., Лешева В. Б., Дьякова В. Б., Анализ финансово – экономической деятельности предприятия. М.: ЮНИТИ – ДАНА, 2004.

73. Макарева В.И., Андреева Л.В., Анализ финансово-хозяйственной деятельности организации. М.: 2005.
74. Маркарьян Э.А., Герасименко Г.П., Маркарьян С.Э. М.: Финансовый анализ. 2006.
75. Мейер М.В. Оценка эффективности Бизнеса. Пер. с англ М.: „Вершина“, 2004.
76. Негашёв Е. В., Анализ финансов предприятия в условиях рынка. Учебн. пособие. М.: Высш. шк., 2002, 192 с.
77. Павлова Л.Н., Финансовый менеджмент. Управление денежным оборотом предприятия. М.: ЮНИТИ. 2003, 400 с.
78. Петров В.В., Ковалёв В.В., Как читать баланс М.: „Финансы и статистика“. 2000, 256 с.
79. Пожидаева Т.А. Анализ финансовой отчетности. Учебное пособие. М.: КНОРУС, 2000, 320с.
80. Пястолов С.Э., Экономический анализ деятельности предприятия. М.: 2004.
81. Родионова В.М., Федотова М.А., Финансовая устойчивость предприятий в условиях инфляций. М.: „Перспектива“, 2005.
82. Ришар Жак. Аудит и анализ хозяйственной деятельности предприятия. М.: „Аудит“, 1997, 362-370 с.
83. Савицкая Г.В., Анализ хозяйственной деятельности предприятия. М.: ИНФРА, 2009.
84. Савчук В. П. Финансовый анализ деятельности предприятия. Киев: 2004, 154 с.
85. Савчук В. П. Управление финансами предприятия. М. Лаборатория знаний. БИНОМ, 2003.
86. Селезнёва И.Н., Ионова А.Ф., Финансовый анализ. Управление финансами. Учебное пособие. М.: ЮНИТИ – ДАНА, 2006, 639с.
87. Ступаков В. С., Токаренко Г. С Риск-Менеджмент. М.: „Финансы и статистика“, 2007.
88. Федорова Г. В. Учёт и анализ Банкротств. М.: „Омега-Л“, 2008, 248 с.
89. Федорова Г. В., Учет и анализ банкротств. М.: „Омега-Л“, 2006, 11 с.
90. Федотова М.А. Как оценить финансовую устойчивость предприятия. „Финансы, №6, 2005.
91. Шеремет А.Д., Сайфулин Р.С., Финансы предприятий. М.: ИНФРА, 2009, 352 с.
92. Шеремет А.Д., Негашев Е.В. Методика финансового анализа. М.: ИНФРА,

2005, 208с.

93. Шевченко В.А., Несостоятельность производства: предпосылки и механизм оздоровления СПб. 1997, 62 с.

94. Хиггинс Р. С. Финансовый анализ. Инструменты для Бизнес-решений. Пер с англ. М. 2007.

95. Хиггинс Роберт С. Финансовый анализ. инструменты для принятия бизнес-решении. 8-е издание. Москва, Санкт-Петербург, Киев, 2008.

96. Чечевицына Л.Н., Экономический анализ. Учебное пособие. Изд. 2-е доп. и перер. Ростов на Дону.: Изд-во „Феникс“. 2003, 480 с.

97. Чижова А.С., Оценка имущества организации. М.: „Главбух“, 2005, №6, 66-71 с.

98. Финансовый анализ под редакцией Т.С. Новашиной. М.: Московская финан-сово-промышленная академия. 2005.

99. Юн Г.Б., Таль Г.К., Григорьев В.В., Внешнее управление на несостоятельном предприятии. Учеб. практ. пособие. М.: „Дело“, 2003, 374 с.

100. Altman E.I. Corporate Finance Distress and Bankruptcy. Wiley, 3 edition, 2005, 368 p.

101. E.I.Altman. Bankruptcy, Credit Risk, and High Yield Junk Bonds. Wiley-Blackwell, 1 edition, 2002, 576 p.

102. Arnold G., Davies M. Value-base Management, L.Wilys, 2000.

103. Arnold G., The handbook of Corporate Finance.L. Financial Times Prentice Hall. 2005.

104. Bever W.H. Financial Ratios as Predictors of failure Empirical Research in Accounting: Selected Studies Supplement to Journal of Accounting Research.1996.

105. Botheras D.A., Use of a Business Failure Prediction Model for Evaluating Potential Credit Risk. Unpublished M.B.A. Research Project. Simon Fraser University. March 1979.

106. Bonita K. Kramer. Christie Willson Jhonson-Analysis of statements. 2009.

107. Costales S.B., Geza Szurovy-The guide to understand financial statement. 1993.

108. Downes Y.Goodman E.Y.Dictionary of Finance and Investment Terms. 2006.

109. Ellis Y. Williams D Corporate Strategy and Financial Analysis. L. Pitman. 1993.

110. Eugene F. Brigham. Phillip R. Daves. Intermediate Financial Management. Cengage Learning. 2009.

111. Fulmer John G. et al.: A Bankruptcy Classification Model For Small Firms. Journal of Commercial Bank Lending, 1984.

112. James Bondler-How to use Financial statements. 1994.
113. Jerome B. McKinney. Effective financial management in public and nonprofit agencies. Green-wood Publishing Group, 2004.
114. John A. Tracy. How to Read a Financial Report: Wringing Vital Signs Out of the Numbers. Wiley 7 edition May 4, 2009.
115. Harrington D.R. Willson B.D. Corporate Financial Analysis. Richard D. Irwin. Inc 1989.
116. Howard A. Frank.Public financial management. CRC Press, 2006.
117. Pamela P. Peterson. Frank J Fabozzi. Analysis Of Financial Statement Wiley. 2 edition, 2003.
118. Principles of Managerial Finance Lowrence J. Gitman (San Diego State Universiti). Pearson international Edition, 2009.
119. E. Sands & Associates Inc., Insolvency prediction Sam A.A Kubba Property Condition Analysis. McGraw-Hill Professional Publishing, 2007.
120. Sharan. Fundamentals of Financial Management. Pearson Education India, 2008.
121. Shemetev A. Complete finance analysis and bankruptcy prognosis and also financial management-marketing manual for self-tuition group. Saint-Petersburg, LTD „ZODCHIY“, 2012, 750 p.
122. Springate Gordon L.V., Predicting the Possibility of Failure in a Canadian Firm. Unpublished M.B.A. Research Project. Simon Fraser University. January 1978. In: INSOLVENCY PREDICTION. Sands & Associates Inc. <http://www.sands-trustee.com/insolart.htm>.
123. R.J.Taffer. Empirical Model for the Monitoring of UK Corporations. Journal Banking and Finance, 1984, N8.
124. R.J.Taffer Forecasting Compani Failure in the UK using Discriminant Analiysis and Financial Ratio Data journal of the Royal Statistical Society, A Jenera 145, part 3, 1985.
125. White G.I et. al. The analysis Use of Financial Statement. John Wiley &sons, Inc. 1994.
126. <http://www.telasi.ge/> - 17.05.2019.
127. <https://www.matsne.gov.ge/> -01.04.2019.
128. <https://www.geostat.ge/ka> - 03.03.2019.
129. <http://www.gnerc.org/> - 22.02.2019.
130. <http://www.energy.gov.ge/> - 25.02.2019.
131. <https://saras.gov.ge/ka/Ifrs> - 25.02.2019.

132. ბოჭორიშვილი ლ., ღვინიაშვილი ნ. ენერგეტიკული საწარმოების მდგრადობის ფინანსური ანალიზი. "ინოვაციური ეკონომიკა და მართვა", 2017, №4, გვ. 93-101.
133. ავაგუმაშვილი ნ. Z-მოდელის ანალიზი ელექტროგამანაწილებელი კომპანიის მაგალითზე. "ენერჯია", 2018, № 4(88), გვ. 27-31.
134. ავაგუმაშვილი ნ. ფინანსური მდგრადობის შეფასება საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე ენერგოგამანაწილებელი კომპანიის მაგალითზე. "ენერჯია", 2019, № 1(89), გვ. 56-60.
135. ავაგუმაშვილი ნ. კომპანიის ფინანსური კრიზისის პროგნოზის მოდელი ეტაპობრივი ოპერაციების ფორმატში. "ბიზნეს ინჟინერინგი", 2019, №1-2, გვ. 116-119.
136. ბოჭორიშვილი ლ., ავაგუმაშვილი ნ. საწარმოს საქმიანი აქტივობის, ფინანსური მდგრადობისა და ეფექტური საქმიანობის მართვის ანალიზი. "ეკონომიკა", 2019, №3-4, გვ. 87-95.